



№3(32) . 18/1. - 24/1.2001 .  
ფასი 50 თ.

1168  
2001

„შვილი პოლიციისთვის  
არ უნდა ჩამეზარებინა“


ტინა მოდოვი:  
მეძავი, მარქსისტი  
და ფოტოგრაფი

რუსთა შავი შეიღობი

ისევე პალატის თავმჯდომარეა

აღბათ კვლავ გავშვად ყოფნა ყველას გინატრინათ და,  
რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ ეს შეუძლებელია...  
სულაც არა — მთავარი, მონდობეზაა. აი, მე მოვიდნოგი და...

გვ.32



**ბიენაშურები**

„ვისაც ხელში რა უჭირავს“... 3

**პროზა**

რეზო შავიშვილი ისევ  
 პალატის თავმჯდომარეა 4

**კრიტიკა**

როცა ინტელექტი ამერიკულ  
 პასპორტზე კვირალ ფასობს 7

**ადამიანი**

„ბანახენი ჩემს შვილს პირველად  
 მე გაემოვუბანა...“ 8

**ქოლორიტიკი**

ჩვენებური მულაგები კახურად 10

**შეამოვნეთ თქვენი ყოფილი**

ტესტი ერუდინიაზე 12

**პირველი სიყვარული**

ირაკლი წერეთელი:  
 „სიყვარულის ასახსნელად არ  
 მესალა და... ნათია მოვიტაცე!“ 13

**საზოგადოება**

რატომ შემოგვეჩვია  
 „ბელაია ბარიაჩკა“ 14

**აღსარება**

„ჯოჯოხეთიდან სამოთხეში  
 ორჯერ ღაბღრუნდი“ 16

**ანტიდუკანსები**

ინფორმაციულ-შემეცნებითი  
 კოლაჟი გონა ღვალის  
 უბის წიგნაკიდან 18

**ნამდვილი აგაპი**

როგორ იღვანენ სტალინს 18

**კრიმინალი**

- ტრაგედია ბელოვის ღღეს:  
 დედა-შვილი საკუთარ ბინაში  
 მოკლული იპოვეს 20
- რა ელის პოლიციელს  
 მკვლელობისთვის? 21

**შეოქმედი**

ნოღარ მანაგაძე: „ცხოვრება  
 მარტო კინოს არ არის“ 23

**ტესტი**

ერთგული მკითხველი 25

**ჯანმრთელობა**

ბელნიერი სიკვდილი  
 ლამაზმანის გვერდით 26

**სასარგებლო აზრები**

აშორიგმების ენციკლოპედია 27

**მონატრება**

აგაპი ერთი ობოლი ბიჭისა 28

**შეჩვენებული ნაღი**

„ჩემი სიბერის სიყვარული“ 31

**„ცხოვრება მარტო  
 კინოს არ არის“**



ეს კონსულიქტი, ხშირ შემთხვევაში, ცოტა გაზვიადებული და თითოეული გამოწვევილიც კია. მთელი ის უბედურება, რაც კინოს გარშემო გრიალებს, თითქოს მხოლოდ ერთმანეთზე გაღებულეებისკენ არის გამიზნული.

23

**„სიყვარულის ასახსნელად არ  
 მესალა და ...ნათია მოვიტაცე!“**

ახალგაზრდობის დროს, დაახლოებით 37 ქალი მყავდა შეთვალეირებული. სპეციალური სია მქონდა და, ვინც მომეწონებოდა, ამ სიაში შემყავდა.



13

**აგაპი ერთი  
 ობოლი ბიჭისა**




ოვაციები რომ აღარ შეწყდა და კვლავ ობოლას გამოსვლა მოითხოვეს, მიხვდა, რომ ეს სახელი სამუდამოდ შერჩებოდა... მოგვიანებით ღიმილით იხსენებდა ამ ეპიზოდს და ამბობდა კიდევ: ობოლა რომ არ შემრქმეოდა, ალბათ ასეთი პოპულარული არც გავხდებოდიო.

28

**ბანახენი ჩემს შვილს  
 პირველად მე გაემოვუბანა...**

რომ მეცნობდა, ყოველივე ასე განვითარდებოდა, არავითარ შემთხვევაში არ ვურჩევდი გიორგის ჩაბარებას. თავად დაეკავებინა პოლიციას. ამას რომ ვამბობ, ახლობლები მეკითხებიან – დაკავებისას რომ მოვეკლათო?



8

<b>სამყარო</b>	
დიდი კატარა აღამიანები	32
<b>წმინდანები</b>	
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბოლშევიკთა სამსჯავროში	
წმინდა აბგროსი აღმსარებელი	34
<b>ისტორიის გაკვეთილები</b>	
პირველი რესპუბლიკის მწარე გამოსვლილება – მესხეთის ომი და ქართული ჯარი 1919 წელს	35
<b>პროგრესი</b>	
გაბაღული პროგრესები გასული საუკუნის მომავალზე	38
<b>ტაროლოგია</b>	
ნაკლებად ცნობილი ამბავი პოლიტიკური ეკვლელობების ისტორიიდან	41
<b>სტაროტიპი</b>	
იყო თუ არა ვამპირი გრაფი ღრაკულა	44
<b>თაღლითები</b>	
ხელოვნების მსხვერპლნი	47
<b>ესკიზები</b>	
„შენ იალქნით ვინ გაბეჭურავს...“	50
<b>პარაკლავები</b>	
ლაგაგი რომანის სეფიანი დასასრული	52
<b>ნოვალა</b>	
თამაგ ქორქოლიანი. ამნისტია ანუ კომპოსტოსთავიანთა განწყობილების ამპლიტუდა	54
<b>ავტო</b>	
...და ბოთლიდან ამოვიდა... ჯიჰი	56
<b>გაღონარა</b>	
ტინა მოლოტი – მგეს მიფიფსეხული ჭაობის ყვავილი	58
<b>სანოვარი</b>	61
<b>პროსკოპი</b>	
კვირის (22-28 იანვრის) ასტროლოგიური პროგნოზი	62
<b>ტესტი</b>	
როგორი ნერვები გაქვით?	63
<b>კალენდოსკოპი</b>	
ჩრელ-ჩრელი ამბები	64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გახვით „კვირის კალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

## თაღლითები



გერეზას მამა გარდაიცვალა და იმ სკივრში, სადაც, მისი მტკიცებით, თავადური წარმოშობისა და მამულის საბუთები ინახებოდა, მხოლოდ აგური აღმოჩნდა.

47


## ჯოჯონეთიდან სამოთხეში ტრჯერ დაბრუნდი

ცოგა ხანში ისევ დავკარგე გონება და ამჯერად რაღაც ხმა ჩამძახოდა: ალექი და წადი – გაღარჩი და ამისთვის მე მიმალლოდე... დღესაც არ ვიცი, რატომ გადამარჩინა ღმერთმა, ალბათ იმიტომ, რომ თქვენთვის მომეყოლა ის, რაც თავს გადამხდა და რასაც არავის არ ვუსურვებ.



16

## მზეს მიფიფსეხული ჭაობის ყვავილი



ტინა თამამად პოზირებდა. იგი გაშიშვლდა არა მარტო საგრუოს და პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე, არამედ პირველად ცხოვრებაში იგრძნის ის, რაც უნდოდა.

58


## ამნისტიის სხუ ყოფილსკოლსთავიანთს ვანწყობიროების ამპროიფურას

- გამოტყდეს, რომელმა მანდილოსანმა შესცოდა!
- ვიღაც დიდყურა ყოფილა ჩვენ შორის.
- ისე, მეც სიამოვნებით ამოვკრავდი ერთი-ორს.



54

# „ვისაც ხელში რა უჭირავს“...



ახალი წელი, ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული ახალი შარით დაიწყო – „ნულოვანი ვარიანტი“...

მოკლედ, ასეა საქმე: რუსებს ჰქონიათ ჩვენი ვალი; რუსების ვალი ჰქონიათ კამპუჩიას, კუბას, საბერძნეთს და რომის იმპერიას; ჩვენ გვქონია მადაგასკარის, ანტარქტიდისა და შუმერებისაგან აღებული გრძელვადიანი კრედიტის პროცენტები გადასახდელი, ხოლო პიტლერის რაიხსბანკის აქტივები სამართალმემკვიდრეობის წესით რეგება ჰონეკერის „გე-დე-ერ“-ს და საბჭოთა კავშირისათვის უწილადებია...

თავადაც ხელავთ, ყველაფერი დღესავით ნათელია – საქართველოსა და რუსეთს შორის ანგარიში გასწორებულია და ერთმანეთის არაფერი გემართებს ძმობის, სიყვარულისა და მოფერების გარდა!

მაგრამ ესმით ეს ზოგიერთებს?! ჩვენაო, რუსებისგანო, საბჭოთა კავშირის ყოფილი ქონების 1,68% გვერგებაო, მესოპოტამიის ვალი რა ჩვენი გადასახდელიაო, რუსები „გვაწერავენ“, როგორც გოიმებსო, მაგათი დედა, მამა და სხვა ახლობელ-მოკეთეები ასე და ისეო... გამომივიდნენ პატრიოტები!

ხომ გასცა პრეზიდენტმა საკადრისი პასუხი! – დემაგოგები უწოდა და დაუმტკიცა კიდეც!

ჯერ ერთი, პროცენტი და პროცენტ-ნახევარი რა სალაპარაკოა ძმებს შორის, მეორე – იმ 1,68%-ს (ვთქვათ, გადაგვიხადეს) რომ დავხარჯავთ, მერე რას ვაპირებთ?! და მესამე – ისე ვეპოტინებით ამ აბსტრაქტულ ფულს, თითქოს მეტი არაფრის იმედი არ გვქონდეს. ამ სამში, გრძელვადიანი დახმარება არ უნდა გვერჩივნოს?! პოდა, შეეშვით ამ რუსეთს, ხომ ხელავთ, ჩვენზე უარესი მათხოვრები არიან და დასავლეთისკენ გავიხედოთ!..

არ არის საჭირო მსოფლიო პოლიტიკოსობა იმის მისახვედრად, რომ შენზე უარესად გალღეტილის დევნას, – ჩემს ვალს როდის დამიბრუნებო, სჯობს, მდიდარს მიადგე და „ესეხსო“, თან სათქმელიც გექნება: „აგე, ამხელა მუტრუკია და ჩემი ვალი ვერ დაუბრუნებია, ბოლოს და ბოლოს, ვაჩუქე და აღარ ვთხოვ, თავისი გაჭირვებაც ეყოფა...“ ის მდიდარიც სხვა თვალთ შემოგხედავს და სესხსაც, როგორც წყალობას კი არ მოგცემს, არამედ – „გრძელვადიან კრედიტს“ დაარქმევს, რომლის გასტუმრებაც, 50 წლის შემდეგ ვისაც მოუწევს, იმან იკითხოს. ისე, აქაც სამი შესაძლო ვარიანტი: პირველი – რაღაც ფული გვიწყალობონ,

მაგრამ იმ დღესვე მათხოვარი დაგვერქვას, მეორე – ერთი, ან ორწლიანი უპროცენტო („მმაკაცური“) სესხი ავილოთ და შესაბამისად ერთი ან ორი წლის შემდეგ (როცა, რა თქმა უნდა, ვერაფერს დავაბრუნებთ) მოვიპოვოთ მათხოვრის „ოფიციალური სტატუსი“ და მესამე – უფრო დიდი თანხა, ნებისმიერი პროცენტით, მაგრამ გრძელვადიანი კრედიტი (30-50 წლით) ავილოთ და... „დავიკიდოთ“!

ბავშვიც მიხვდება, რომ ამ სამშიც, გრძელვადიანი ვარიანტი სჯობს, ნულარ გავაგრძელებთ კამათს.

ახლა წარმოიდგინეთ ასეთი ვარიანტი: უკვე ცნობილია, რომ ახალმა ბუშმა (ამერიკის პრეზიდენტს ვგულისხმობ), თავის პირველსავე ინტერვიუში განუცხადა „ნიუ-იორკ თაიმსს“: რუსები გრომ-კაპიკს ველარ მიიღებენ ჩემგან, მხოლოდ ბირთვული იარაღის დემონტაჟს დავუფინანსებ და ისიც ჩემი დამკვირვებლების თანდასწრებით უნდა მოხდეს, თორემ ეგენი იმ ფულს არაყსა და „ზაკუსკაში“ დახარჯავენო. ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ჩვენი ყოფილი ძმა ჩვენზე უარესად დაიმშვევა. დაიმშვევა და დაიწყებს „დამნაშავის“ ძებნას, დაიწყებს და იპოვის კიდეც – თქვენ ისინი არა ხართ, 1,68% რომ დამცინცლეთო?! აბა, „ხლოპცი“, ჩვენი „კროვნიე ძენგი“ დავიბრუნოთო და დავკეძგერებიაო... მშიერ რუსეთს, ჩვენთვის კი არა, ჩვენზე გაცილებით დიდი და ძლიერი ქვეყნებისთვის გადაუვლია...


ამიტომ, დავუჯეროთ უფროსს – მართალია, „ქრისტე ღმერთი კი არა, სამჭკუაშვილია“, მაგრამ მაინც უფროსია და ჩვენზე კარგად იცის, ჩვენ რა გვიინდა!

P.S. დღეს არც ხელში გვიჭირავს არაფერი და არც ჯიბეში (ანუ ბიუჯეტში) გვიჭყავის, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, თუ მართლა მოგვაკითხა „უფროსმა ძმამ“ და აქეთ მოგვთხოვა არარსებული ვალი ყველა ურჩ „ყოფილ უმცროს ძმას“, – აბა, ვისაც ხელში რა გიჭირავთ, მაილათ და აქ დააწყეთო, რას ვაპირებთ?! ამიტომ, სჯობს, ახლავე დავიცალოთ ხელი და იქით ვუძახოთ (გულს მაინც მოვიფხანთ): „ავოეე, ვისაც ხელში რა გიჭირავთ.....“ სამაგიეროდ, ჩვენ ხელცარიელები ვიქნებით და აღარც „შეგვეწერება“!

პროპოკატორი

რეზო შავიშვილმა 2000 წლის 19 მაისს კონტროლის პალატის თავმჯდომარეობიდან გადადგომის განცხადება გააკეთა. მას შემდეგ ინტერვიუ არავისთვის მიუცია. ჩვენი ჟურნალის მრავალჯერადმა მცდელობამ შედეგი გამოიღო — ბატონი რეზო საუბარზე დაგვთანხმდა. თუმცა ძალიან ბევრი თემა მან ტაბუ დადებულად ჩათვალა და განმარტებების მოცემაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

რას აკეთებდა რეზო შავიშვილი გუშინ და რას აკეთებს დღეს?



# რეზო შავიშვილი ისევ პალატის თავმჯდომარეა

## გორა ტყეშელაშვილი

— ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა — არაფერი განსაკუთრებული. დაიბადე 1955 წლის მაისში. მამაჩემი განათლებით ინჟინერია და თავისი პროფესიით მუშაობდა, ამჟამად პენსიაზეა. დედაც პენსიონერია. მყავს და-ძმა. ჩემი და, ქეთი იაშვილი, განათლებით მუსიკოსია და დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოდელიერ-დიზაინერია საქართველოში. ჩემი ძმა კი ეკონომისტი გახლავთ, ასე ვთქვათ — ლიცენზირებული აუდიტორი.

### — ფიზიკის ფაკულტეტი შემთხვევით აირჩიეთ?

— ფიზიკის ფაკულტეტზე სწორედ ის ხალხი სვდება, ვისაც ეს მეცნიერება უყვარს. სკოლაში მე ცუდად არ ვსწავლობდი, ფიზიკასა და მათემატიკას კი განსაკუთრებით კარგად ვითვისებდი. სტუდენტური წლები ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი ადამიანისთვის, საუკეთესო პერიოდი იყო. ვსწავლობდით, ვერთობოდით, შიგადაშიგ ვჩხუბობდით კიდევ...

### — სამეცნიერო მოღვაწეობა ალბათ თავიდანვე გიზიდავდათ?

— მქონდა ოცნება, დიდი მეცნიერი, ფიზიკოსი გაემხდარიყავი და მეგონა, რომ ასეც იქნებოდა. თუმცა, ახლავე გეტყვით, რომ ჩემგან დიდი ფიზიკოსი არ გამოვიდოდა... 1986 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

### — დისერტაციის თემა თუ გახსოვთ?

— მე სეისმოლოგი ვარ, ჩემი პროფესია მიწისძვრების შესწავლაა, მა-

გრამ დღეს მიწისძვრები ჩემთვის უკვე ჰობია. დისერტაციის თემა, რა თქმა უნდა, მახსოვს — „აღმოსავლეთ კავკასიის ბლოკური აგებულება და სეისმოკინემატიკა“.

### — რამდენად მდგრადია კავკასია დღევანდელი სეისმოლოგიური თვალსაზრისით?

— მდგრადი ნამდვილად არ არის — არც სეისმოლოგიური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით...

### — ბატონო რეზო, ამას წინათ მოხდა მიწისძვრა თბილისთან ახლოს. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევას დიდი რეზონანსი მოჰყვა და ყველა — იყო კომპეტენტური თუ არა, ამ საკითხში საკუთარ ვერსიებს გამოთქვამდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ის იყო, რომ მიწისძვრა შეიძლება ხელოვნურად იყო მოწყობილი. ვინაშნაგებლებ შემთხვევით და გკითხავთ — შესაძლებელია საერთოდ, ასეთი ხელოვნური მიწისძვრის მოწყობა?

— ამ შემთხვევაში, გამოვრიცხავ მიწისძვრის ხელოვნურობას. თეორიულად, მიწისძვრების გამოწვევა შესაძლებელია. მიწისძვრები შედეგია დედამიწაში არსებული უზარმაზარი დაძაბულობებისა — მათ გამომწვევ მიზეზებზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ, რადგან საკმაოდ ვრცელი თემაა, — თვითონ მიწისძვრა კი, არის ამ დაძაბულობების მოხსნისა და შესაბამისი უზარმაზარი ენერჯის სწრაფი მოთავისუფლების პროცესი. რა თქმა

უნდა, მძლავრმა აფეთქებამ შეიძლება „გამშვები მექანიზმის“ როლი შეასრულოს, რასაც აკეთებს ჩახმახი თოფისთვის, ე.ი. ხელი შეუწყოს დიდი ენერჯის გამოთავისუფლებას... რატომ ვამბობ დარწმუნებით, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია ამასწინანდელი მიწისძვრის შემთხვევაში? საქმე ის არის, რომ ჩვენი ტექნიკური შესაძლებლობების პირობებშიც კი გამორიცხულია, ვერ დავაფიქსიროთ მიწისძვრისწინა აფეთქება. სეისმოგრამაზე კი აფეთქებისა და მიწისძვრის ჩანაწერები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს რომ ასე ყოფილიყო, გარწმუნებთ — მთელი მსოფლიო ალაპარაკდებოდა. ასეთი რამის ჩუმად მოწყობა, დედამიწის ნებისმიერ რეგიონში, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იმ კლასის მიწისძვრებს, როგორც თბილისში მოხდა, მთელი დედამიწის ზურგზე ათასობით სეისმოლოგიური სადგური იწერს.

### — საკუთარ პროფესიაზე დიდი გატაცებით საუბრობთ და ბუნებრივად მიჩნდება კითხვა — სეისმოლოგი კაცი, საქართველოში იმ დროს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში „ჩათრეული“ აღმოჩნდით თუ მოვლენებს თქვენივე ნებით „ჩააყვევით“?

— ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თუ გულისხმობთ — 1988 წლიდან ჩავერთე...

### — რომელ წლამდე?

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღესაც გრძელდება... რაც შეეხება „ჩათრევასა“ თუ „ჩაყოლას“,

ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც, თუმცა ძალით იქ არავინ არ მიუყვანიათ. იმ პერიოდში ეროვნული მოძრაობა მზარდი აქტივობით ვითარდებოდა. ჩემი მეგობრების წრეში ჯერ კიდევ 1988 წელს გაჩნდა აზრი, რომ ხელისუფლების ცვლილება შეიძლებოდა არჩევნების გზით, თუმცა ამ პროცესს მომზადება სჭირდებოდა. ორგანიზაცია საკავშირო არჩევნების შემდეგ, 1989 წლის 14 მაისს ჩამოვყალიბეთ ძირითადად იმ ადამიანებისგან, რომლებიც შედიოდნენ აკაკი ბაქრაძის, ნოდარ ნათაძისა და პარმენ მარგველაშვილის მხარდამჭერ ჯგუფებში საკავშირო უზენაესი საბჭოს არჩევნებისას. შემდგომში დასი პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაიქცა და არჩევნებში მონაწილეობდა. 1990 წლის არჩევნების დროს ჩამოყალიბდა ბლოკი „თავისუფლება“, რომელშიც, დასთან ერთად, გაერთიანებულნი იყვნენ: რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია (ირაკლი შენგელაია), ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნული პარტია (მიხეილ ნანეიშვილი) და მწვანეთა პარტია (ზურაბ ჟვანია). ხოლო 1992 წლის არჩევნებში ბლოკს ერქვა „11 ოქტომბერი“ (რადგან არჩევნები 11 ოქტომბერს იყო დანიშნული) და დასთან ერთად, ბლოკში იყვნენ ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (ირაკლი შენგელაია), „სახალხო ფრონტი“ (ნოდარ ნათაძე) და რესპუბლიკური პარტია (ვახტანგ ძაბირაძე). პირველ არჩევნებზე ჩვენ პარლამენტში ვერ მოვხვდით, სამაგიეროდ, მეორე პარლამენტში საკმაოდ კარგად ვიყავით წარმოდგენილნი. მაშინ ჩვენ საქართველოში მთლიანად, მეორე ადგილი დავიკავეთ არჩევნებში, თბილისში კი გავიმარჯვეთ – ყველას მოვუგეთ.

— **ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისას, თქვენ პარლამენტის გარეთ დარჩით და ოპოზიციაში იყავით. დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ შეაფასებდით თბილისის ომს?**

— შეფასება ერთია: ეს იყო ტიპური სამხედრო გადატრიალება და მორჩა.

— **კი, ბატონო, და-**

**ვუბრუნდეთ 1992 წელს. თქვენ გახდით პარლამენტის წევრი, მაგრამ უცებ აღმოჩნდით კონტროლის პალატის თავმჯდომარის საფარქელში. რა მოხდა?**

— არც ისე უცებ მოხდა ეგ ამბავი. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 1992 წლის მარტის დასაწყისში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ შემოთავაზა ორგანოს ხელმძღვანელობა, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ არც სახელი ერქვა და არც არსებობდა. ვთხოვე, 10 დღის ვადა მოფიქრებისა და საქმეში გარკვევისთვის. ამასობაში, საქართველოში ჩამოვიდა ელუარდ შევარდნაძე, შეიქმნა სახელმწიფო საბჭო და მისი წევრი გავხდი, როგორც დასის თავმჯდომარე. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, შემოთავაზებულ

ნებისა და გადარწმუნების განსაკუთრებული უნარი აქვს-მეთქი... ასე რომ, 1992 წლის 24 ნოემბერს გავხდი კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

— **ბატონო რეზო, მაინცდამაინც თქვენზე რატომ შერჩევა არჩევანი?**

— ეგ უნდა ჰკითხოთ ჯერ თენგიზ სიგუას და შემდეგ ელუარდ შევარდნაძეს.

— **გაამართლეთ თუ არა მათი იმედები?**

— ესეც მათ უნდა ჰკითხოთ.

— **კონტროლის პალატაში მომუშავე კადრებს როგორ არჩევდით?**

— ნაწილი კადრებისა ჩემი მისვლისას დამხვდა, ძირითადი ნაწილი კი, სამსახურში მივიღე ინტელექტის ტესტირების საფუძველზე, 1993 წლის

## ოჯახური პრობლემების მოგვარებას მეუღლე კურირებს. მე ძირითადად ვკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ და მძინავს.

თანამდებობაზე უარი ვთქვი, რადგან ასეთი სამსახურის შექმნაში ჩემი მონაწილეობა მხოლოდ სახელის დარქმევით (კონტროლის პალატა) შემოიფარგლა. პირველ თავმჯდომარედ ავთანდილ სილაგაძე დაინიშნა, თუმცა არჩევნების ჩატარების შემდეგ ეს საკითხი კვლავ დადგა და ამჯერად უარის თქმა აღარ გამომივიდა. მე არაერთხელ მითქვამს — შევარდნაძეს ადამიანების დარწმუ-

მაისში. ერთი სერია გამოცდებისა ჩატარდა იმავე წლის შემოდგომაზე, როცა მთელი პალატის თანამშრომლებმა გაიარეს თეორიული კურსი სპეციალობის მიხედვით. გარდა ამისა, 1996 წელს ჩაუტარდა ატესტაცია ყველა მუშაკს. დაახლოებით ასე ვარჩევდით კადრებს.

— **რამდენად გაამართლა კადრების ასეთმა შერჩევამ?**

— მე ვთვლი, რომ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკულად ნულიდან შეიქმნა საკმაოდ ავტორიტეტული და კვალიფიციური ორგანო, რომელიც, თუნდაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, ჩემი ინფორმაციით, რეიტინგში მეორე ადგილზე არასდროს ყოფილა. რამდენადაც ვიცი, დღესაც ასეა.

— **კონტროლის პალატაში თქვენი მოღვაწეობისას უამრავი საქმე ვერ მივიდა ბოლომდე-რატომ?**

— მიზეზი უამრავია. ამ მიზეზების თაობაზე პალატაში მუშაობისას არაერთხელ გან-

მეცნიერთა წრეში



მიცხადებია საჯაროდ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კაცმა უნდა ილაპარაკო მაშინ, როცა ამ ლაპარაკს შედეგის მოტანა შეუძლია. დღეს ამ თემაზე საუბარი სრულიად ზედმეტად მიმაჩნია.

— როგორც ვატყობ, კონტროლის პალატაზე საუბარი კატეგორიულად არ გსურთ, მაგრამ დღეს ხომ ისევ პალატის თავმჯდომარე ხართ?

— ეს უკვე სხვა პალატაა. კონკრეტულად, მას ჰქვია „თბილისის საარბიტრაჟო პალატა“. საქმე ის არის, რომ 1997 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი — „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. ჩემმა მეგობრებმა მოიფიქრეს ასეთი სტრუქტურის დაარსება და მეც მიმიწვიეს ამ საქმეში.

— რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც ამ სტრუქტურაში მუშაობა?

## ეს სრულიად ახალი და ვთვლი, რომ პერსპექტიული საქმეა. როგორც მთელ მსოფლიოში, არბიტრაჟი საქართველოშიც უნდა არსებობდეს...

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს სტრუქტურა ჩემს მეგობრებთან ერთად დავაფუძნეთ. მეორე — სრულიად ახალი და ვთვლი, რომ პერსპექტიული საქმეა. რადგან მიმაჩნია: ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, არბიტრაჟი საქართველოშიც უნდა არსებობდეს, თუნდაც იმიტომ, რომ სადავო საკითხების გადაწყვეტად ჩვენმა ბიზნესმენებმა არ ირბინონ ლონდონის, სტოკჰოლმის, პარიზის და სხვა არბიტრაჟებში და სასამართლოებში. რადგან სასამართლო პროცესები ზოგჯერ წლობით გრძელდება, ეს მოდავე მხარეებს უზარმაზარ ზარალს აყენებს. არბიტრაჟმა გადაწყვეტილება საქმის მიღებიდან ერთ თვეში უნდა გამოიტანოს და გადაწყვეტილება საბოლოო და საჯალდებულოა მხარეთათვის. და კიდევ ერთი, არცთუ ისე უმნიშვნელო ფაქტორი: კარგად მუშაობის შემთხვევაში, საკმაოდ დიდი ანაზღაურება გვექნება.

— ბატონო რეზო, რადგან ანაზღაურება ახსენეთ, გკითხავთ: კონტროლის პალატიდან უკვე რვა თვეა წამოხვედით,

არსად გიმუშავიათ და აქაც, მხოლოდ მომავალი კარგი ანაზღაურების იმედად ხართ. დღეს რითი ცხოვრობთ?

— ამ რვა თვის განმავლობაში კონტროლის პალატიდან მივიღე დაახლოებით 2.000 ლარი — რამდენიმე წლის გამოუყენებელი შვებულების საფასური და რამდენიმე თვის აუღებელი ხელფასი. დაახლოებით ასეთივე დანაზოგი მქონდა. სულ ეს არის. ვნახოთ, რა იქნება იმედიან მომავალში.

— მეუღლე თუ მუშაობს?

— მეუღლე, მარიამ თამაზაშვილი არის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი, რომლის შენატანები საოჯახო ბიუჯეტში, ცხადია, უმნიშვნელოა, რასაც ვერ ვიტყვი ყველა დანარჩენ ოჯახურ საქმეზე — აქ ის აშკარა ლიდერია, მე უბრალოდ უფროსი ვარ... გვყავს 8 წლის ვაჟი, გიორგი, რომელსაც აშკარად სურს,

— ჯერჯერობით არ მაქვს. — როგორია რევაზ შავიშვილი ოჯახში? უმუშევრობის პერიოდში, დრო გექნებოდათ საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად.

— უკვე გითხარით, რომ ოჯახური პრობლემების მოგვარებას მეუღლე კურირებს. მე ძირითადად ვკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ და მძინავს.

P.S. რეზო შავიშვილთან ერთი შეხვედრა და ინტერვიუს აღება რამდენიმე დღით ადრეც მოვახერხე და ის საუბარი, ჩვენი განზრახვით, ჟურნალის წინა ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო. მაშინ მან დიქტოფონის გამორთვა მთხოვა: უშუალო საუბარი გულწრფელად სანდომიან ტონალობაში წარიმართა, ბატონმა ბეკრი საინტერესო და, ვფიქრობ, საზოგადოებისთვის უცნობი ინფორმაციაც მომაწოდა, მაგრამ, მისი თხოვნის საპასუხოდ, პირობა მივეცი, რომ ინტერვიუს მის დაუკითხავად არ დავებქვალავდი. როგორც ჩანს, ბატონ რეზოს მაინც შეეპარა ეჭვი და ერთი კვირის წინ დაგვირეკა: ინტერვიუ ხომ არ იბეჭდებაო. კიდევ ერთხელ დავუდასტურეთ, რომ ოდენ სენსაციებს გამოკიდება არ გვჩვევია... ასე შედგა მეორე საუბარი, რომელმაც მისი მეუღლეს გააკვირვა: როგორ მოახერხეთ, რეზო ინტერვიუზე რომ დაითანხმეთო...

იყოს ოჯახში ლიდერიც და უფროსიც ერთდროულად და ხანდახან ახერხებს კიდევ.

— საცხოვრებელი პირობები თუ გაიუმჯობესეთ ბოლო 8 წლის განმავლობაში?

— ჯერ ვერა, ვცხოვრობ ჩემს ორთახიან ბინაში, თუმცა, მაქვს საკმაოდ კარგი ბინის ორდერი, რომელიც მომცა ქალაქის მერიამ, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ორდერია — სახლის, რომლის მშენებლობა მთაწმინდაზე ჯერ არ დაწყებულა. ასე რომ, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პერსპექტივაც არსებობს.

— აგარაკი და მანქანა?

რემო შავიშვილი ცოლ-შვილთან ერთად







ელენე სალარიძე

სადაც მივიდა, ყველგან დელიკატური უარით გამოისტუმრეს. ან კიდევ, არც „ჰო“ უთხრეს და არც „არა“. არც მისი გარეგნობა მოუვიდათ თვალში (არადა, მშვენიერი გოგონაა), არც საერთაშორისო იურისტის წითელი დიპლომი (სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი დაამთავრა), არც ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა. ამ აღმა-დაღმა სიარულში კომპიუტერიც ისწავლა, ბუღალტერიაც, გერმანულსაც დაეუფლა...

მერე აქეთ-იქით უაზრო ხეტიალიც მობეზრდა. როდემდე ყოფილიყო მამის კისერზე?! ვერც ჟურნალისტი მეუღლის ხელფასითა და პონორარით გაიტანდნენ თავს. პატარა ათინათი (ასე ეძახიან მის თინათინს) გამომცდელად შეხედავდა დედიკოს და ჰკითხავდა ხოლმე – როცა ფული გვექნება, ჩემხელა დათუნიას ხომ მიყიდო...

ჰოდა, წავიდა! ამერიკაში... ეს თექვსმეტი თვის და სამი დღის წინ იყო – ასე ითვლიან დროს თამარ ნონიაშვილის თბილისში დატოვებულ დიდ და პატარა ოჯახში.

რა არ გადაიტანა ამ თექვსმეტ თვეში, რამდენჯერ გაუწია გულმა აეროპორტისკენ.

გაუძლო. ახლა ნიუ-იორკშია. ბრუკლინის საიმიგრაციო ცენტრში მუშაობს. არ გასჭირვებია საკონკურსო ციებ-ცხელების გადატანა. „ამერიკული გამოცდაც“ ახლად ჩაბარებული ჰქონდა – მაშინ, როცა „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტად მიიღეს.

# როსა ინტელექტი ამერიკულ პასპორტში ძვირად ფასობს

საინტერესო რეპორტაჟებს გადმოსცემდა რადიოთი. ხან ჩეჩნეთის ომის ამბავთა უცნობ ფაქტებს აწვდიდა თანამემამულეებს, ხან კლინტონის მოგზაურობათა დეტალებს, ხანაც „ამერიკელ“ ქართველთა ცხოვრებაზე მოუთხრობდა.

თითქოს საკუთარი თავი იპოვა, მოხუცი ამერიკელი ქალბატონის მოვლით დაღლილმა, მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოდ ორი თვე გაგრძელდა.

საიმიგრაციო სამსახურმა თამუნას ლეგალური მუშაობის უფლება არ მისცა. თუმცა, როცა იმავე სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, დაუყოვნებლივ შესთავაზეს სამსახური. ისიც უთხრეს: ჩვენ ინტელექტი ამერიკულ პასპორტზე ძვირი გვიღირსო.

ახალგაზრდა კლერკს არ უჭირს ამერიკული სტილით მუშაობა. ოღონდ ეს არის, როცა ბედის მადიებელ ქართველებთან შეხვედრა უწევს, ცდილობს, როგორმე დაეხმაროს მათ.

... დროს რომ გამონახავს, ხატავს ხოლმე. ეს მისი ძველი გატაცებაა: ხუთი წლისა არც იყო, როცა თეირანში მისი ნახატების გამოფენა მოეწყო და დიდი წარმატებაც ხვდა წილად (მშობლები აღმოსავლეთმცოდნეები არიან და იმ პერიოდში ირანში მუშაობდნენ).

ახლა ავანგარდული სტილით მუშაობს – მისი ნამუშევრები მკვეთრი, კონტრასტული ფერებით გამოირჩევა. მისი „მარიამ სტიუარტი“ 800 დოლარად გაიყიდა. დამენანა, მაგრამ მაშინ სხვა გზა არც მქონდაო, იგონებს თამუნა, რომელიც მცირე გამოფენის მოწყობასაც აპირებს...

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული თამუნა ნონიაშვილი ლექსებსაც წერს, თუმცა გულდაწყვეტილი ამბობს – დღეს ლექსები აღარავის სჭირდებაო.

აი, ერთი მათგანი – „საავდრო ექსპრომტი“, რომელიც ახალგაზრდა ქალის ტკივილიან განწყობას გადმოსცემს:

„დარდი მტანჯავს რის?!  
წვიმაა და – ცრის.  
... წლების ცაზე ავდრის  
მეტი  
მე რა მქონია...  
დარდი მტანჯავს რის?!  
ქარია და – ქრის...  
ლურჯ ლარნაკში ვარდებს  
აჭკნობს მელანქოლია“.

... ფუფუნების უფლებას თავს მხოლოდ ტელეფონზე საუბრისას აძლევს: ხანდახან დღეში რამდენჯერმე რეკავს ხოლმე თბილისში.

თამუნა დიდხანს ვეღარ გაძლებს ამერიკაში. ერთი წლის შემდეგ ჩამოვალთ, ამბობს. შეიძლება სილამაზის სალონიც „ჩამოიტანოს“, რომელიც უნდა, ბევრისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

კიდევ: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემული მითოლოგიური ანთოლოგიის მისეულ თარგმანს ჩამოიტანს, რომელზეც უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს და რომლის შევსებაც ივანე ჯავახიშვილის „ქართული მითოლოგიით“ განუზრახავს.

მერე რომელიმე სერიოზულ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, ასევე სერიოზული თანამდებობის დასაკავებლად და სჯერა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს...





1999 წლის 23 დეკემბერს დასრულდა თბილისის უნივერსიტეტის ეზოში 19 წლის გია კრიხელის მკვლელობის გამო უზენაეს სასამართლოში მიმდინარე გახმაურებული პროცესი. 1981 წელს დაბადებულ გიორგი შუბლაძეს თვრამეტი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, მკაცრი რეჟიმის სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში მოხდით, თუმცა განაჩენს ბრალდებულის მხარეც და დაზარალებულიც ასაჩივრებენ.

# განაჩენი ჩემს შვილს პირველად მე გაპოუზბანე...

## გორა ტყეველაშვილი

მოხდა დიდი ტრაგედია, რომლის გამოწვევად მიზეზებსა და კონკრეტულ ფაქტებზე ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში (№23, №29) გვქონდა საუბარი, ამიტომ ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდოდა, გაგვემახვილებინა თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ საკმაოდ იშვიათ შემთხვევაზე: მკვლელი სამართალდამცავებს საკუთარმა მამამ, თამაზ შუბლაძემ, 2000 წლის 7 იანვარს – მკვლელობიდან ზუსტად ორ კვირაში ჩააბარა.

ამ კაცთან შეხვედრა დიდი ხანია მანტრერესება: მინდოდა გამეგო, რამ გადააწყვეტინა, შეილისთვის ერჩია, სამართალდამცევებს ჩაბარებოდა, ან რა გავლენა ჰქონდა მკვლელ შვილზე ისეთი, რომ მისმა სიტყვამ კრიტიკულ დროსაც იმოქმედა.

ტელეფონით ვესაუბრე, შეხვედრა ვთხოვე და ჩვენი შესაძლო საუბრის თემაც გაკუმხილე. მცირე ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა. რამდენიმე დღეში უნდა დაგვკავშირებოდა. სიტყვა არ გატენა, ოღონდ ერთი პირობა დაამატა: ჩვენს შეხვედრას მისი მეუღლე, მარინა თათარიშვილიც უნდა დასწრებოდა.

ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ეზოში შევაბიჯე და უსიამოვნო გრძობა დამეუფლა. ძველით ახალ წელს, 14 იანვარს სტუმრად მივდიოდი ოჯახში, სადაც ინტერვიუ უნდა ჩამეწერა მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მეორე სართულზე ხის კიბით ავედი და გაცრეცილ კარზე დავაკაკუნე. საშუ-

ალო ასაკის მამაკაცმა გამილო, თუმცა შესვლას არ ვჩქარობდი, რადგან გვერდით უშველბედი ღოგი ედგა. შემოდით, არ იკბინებო – მითხრა და ძაღლის თავზე ხელი თითქმის ძალით გადამასმევინა. გრევი (ასე ერქვა ძაღლს) უცებ დამიმეგობრდა, მაგრამ მე მაინც ვვრთხილობდი, თუმცა მისი მადლიერიც დავრჩი, – შეხვედრის პირველი მომენტის უხერხულობა მომიხსნა...

პატარა ოთახში მაგიდასთან მიმიპატიჟა, ბატონი თამაზის მეუღლეც გამოვიდა და ყველანი დავსხედით. ჩემი მასპინძლები ამკარად ნერვიულობდნენ, მაგრამ გადავწყვიტე ემოციებს არ ავეოლოდი და სათქმელი პირდაპირ მეთქვა.

— **ბატონო თამაზ, მინდა გთხოვოთ, ჩემი ვიზიტი არ აღიქვამთ, როგორც პატივისცემის გამოხატვის ან არგამოხატვის ფორმა. მინდა ერთადერთ საკითხში გამარკვიოთ: რატომ გადაწყვიტეთ, გიორგი სამართალდამცავებისთვის ჩაგებარებინათ?**

– მინდა თავიდანვე გამოვხატო ჩემი მწუსარება მომხდარის გამო და კიდევ ერთხელ თანავუგრძნო კრიხელების ოჯახს... ჩემს თავზე დიდი პასუხისმგებლობა ავიღე – ჩემი შვილი დამწავეა და ფაქტობრივად, პირველად განაჩენი მე გამოვუტანე... ის უნდა დაისაჯოს, მაგრამ



უნდა დაისაჯოს კანონის შესაბამისად, კანონით კი მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა არ ეკუთვნის... მე არ ვამბობ, 7 ან 8 წელი უნდა მიესაჯათ-მეთქი, მაგრამ წინათ 15 წლის ზემოთ დახვრეტა იყო და ამ კონკრეტულ შემთხვევაში 18 წელი შეიძლება იმავეს ნიშნავდეს... ჩემს გადაწყვეტილებაზე, როგორც განწყნებულ მოვლენაზე, ვერ ვისაუბრებ, ამიტომ ვთხოვთ, ნება მომცეთ, ცოტა შორიდან მოვუარო... თქვენც თუ დამეხმარებით კითხვებით, მადლობელი დავრჩებით.

კიდევ უფრო მეტი ნერვიულობა შევატყვე მასპინძლებს და ამიტომ მათ ნებას დავყვე.

— **მაშინ მოკლედ ვერ თქვან ოჯახის შესახებ მიაბნეთ.**

**თამაზ შუბლაძე:**

– 1945 წელს ვარ დაბადებული, მარინა ჩემზე ორი წლით არის უმცროსი. 30 წლის ვიყავი, როცა გავიცანი, მომეწონა და ხელი ვთხოვე. 1976 წლის 31 იანვარს შევუღლდით. ჩვეულებრივი ქართული ოჯახი შევქმენით, მომავლის რწმენითა და იმ იმედით, რომ შვილები გვეყოლებოდა და სასახელო ადამიანებად გავზრდიდით... ოთხი წელი ბავშვი არ გვიჩნდებოდა, მხოლოდ 1980 წელს შეგვეძინა დათო, რომელიც დღეს სტუდენტია, ხოლო გიორგი – 1981 წლის 26 აპრილს, აღდგომა დღეს გაგვიჩნდა. ჩვეულებრივად იზრდებოდნენ, ეგ იყო ოღონდ, გიორგი იმთავითვე ფიცხი და რაღაცნაირად, თითქოს სიმართლის მაძიებელი იყო, ოღონდ სულელური სიმართლის მაძიებელი კი არა – ყოველთვის ცდილობდა, დაჩაგრულს დახმარებოდა...

**მარინა თათარიშვილი:**

– ჩემი შვილი სიყვარულმა და პატივმოყვარეობამ დალუპა.

**თამაზ შუბლაძე:**

– ჩვენ შესახებ თავიდანვე ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდა – თითქოს შეძლებული ხალხია, თამაზ შუბლაძე გავლენიანი პირია, ბინები აქვსო... ისიც თქვეს, პოლკოვნიკიაო. ეს სიმართლეს არ შეეფერება. 1970-დან 1992 წლამდე მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მეცნიერ-თანამშრომლად ვმუშაობდი, მერე კი ჩემი მეუღლის მშობლების დანატოვარი ბინის გაქირავებიდან მიღებული თანხით ვირჩინდი თავს. შემდეგ ისიც გავყვიდით და აქ, ჩემი დედამამის ბინაში ვადმოვდივით. აქ კი ყველაფერი ხელისუფლება და ვფიქრობ, ჩანს, რაც გვაბადა. ჩემი მეუღლე ბავშვთა ტრავმატოლოგია და ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მუშაობს. ასე რომ, ყველაფერი გაბუქებული იყო, რასაც ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან ვთვლიდით, რომ შვილმკვდარ დედას ყველაფრის თქმის უფლება ჰქონდა, სასამართლოზე კი სიმართლე გაირკვეოდა. ასე ვფიქრობდი მაშინაც კი, როცა გიორგის ველაპარაკე და ჩაბარება ვურჩიე, თუმცა დღეს რომ ვუყურებ, მწარედ მოვტყუვდი და ჩემმა შვილმაც კი მისაყვედურა – უსამართლო ქვეყანაში სამართლიანობას ელოდებოდით?!

– **ბატონო თამაზ, თქვენი ნათქვამიდან — კიდევ ერთხელ თანავუგრძნობ კრიხელების ოჯახსო, სიტყვები „კიდევ ერთხელ“ უცნაურად მომეჩვენა...**

**თამაზ შუბლაძე:**

– როგორც კი ეს ტრაგედია მასმედიაში ფურადღების ცენტრში მოექცა, ბუნებრივია, მეც ხშირად მისვამდნენ შეკითხვებს. პირველსავე დღეს დაზარალებული ოჯახის მიმართ სამძიმრისა და თანაგრძნობის სიტყვებით დავიწყე საუბარი, მაგრამ ეს ნაწილი ყველა საინფორმაციო საშუალებამ ამოჭრა. იცით, რა არის? არ შეიძლება ადამიანის უბედურებაზე ითამაშო, მე ხომ ვერ დავიწყებდი იმისთვის ბრძოლას, თანაგრძნობა მათქმევინეთ-მეთქი, რადგან ამის მორალური უფლება არ მქონდა.

**მარინა თათარიშვილი:**

– მე შვილი მკვლელად არ გამიზრდა, მას ხელს არ ვაფარებ, მაგრამ გაირკვეს და ითქვას ბოლომდე იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ მოხდა ყველაფერი.

**— დღეს თუ გადადგამდით იგივე ნაბიჯს?**

**თამაზ შუბლაძე:**

– რომ მცოდნოდა, ყოველივე ასე განვითარდებოდა, არავითარ შემთხვევაში არ ვურჩევდი გიორგის ჩაბარებას. თავად დაეკავებინა პოლიციას. ამას რომ ვამბობ, ახლობლები მეკითხებიან – დაკავებისას რომ მოეკლათო? შეიძლება, ეგ უკეთესი გამოსავალიც ყოფილიყო. 23 დეკემბერს, ტრაგედია რომ მოხდა, მე და ჩემი მეუღლე პოლიციაში წავიყვანეთ, იქ ჩემთვის არავის არავითარი გარანტია არ მოუცია, ოღონდ ჩავგბარდეს და ასე იქნება ან ისეო. ვუთხარი – მე კარგად ვიცნობ ჩემს შვილს და ზუსტად ორი კვირაში მოგვეკრით-მეთქი. დამიჯერეს და 24 დეკემბერს გავეგზავნე ზუგდიდში. მეგონა, სოფელ მარანში, ნათესავებთან წავიდოდა გიორგი. 27 დეკემბერს კი მას თვითონ დაურეკავს მეზობელთან და მარინასთან უსაუბრია.

**— ქალბატონო მარინა, როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია?**

**მარინა თათარიშვილი:**

– არავის ვუსურვებ ჩემს დღეში ჩავარდნას... ეს რა საშინელება ჩაიდინეთქი, ვუყვირე. გიორგიმ არ იცოდა, რომ ვინა კრიხელი გარდაიცვალა. მოვანერხე და ვუთხარი, რომ მის საქმეზე მამამისი იყო წასული.

**— თქვენი საუბარი როგორ წარმართა შვილთან?**

**თამაზ შუბლაძე:**

– ძალიან მძიმედ. ამბობდნენ, ორი კვირის შემდეგ იმიტომ ჩაბარდა გიორგი, რომ მამამისი ამ დროს საქმეს „აწყობდა“... ხომ გამოჩნდა, რასაც ვაწყ-

ობდი!.. ტელეფონით ვესაუბრე ჩემს შვილს და ვუთხარი – ასე სჯობს, სასჯელი უნდა მოიხადო-მეთქი. იცით, რა მითხრა? საშინელ პიროვნებად, ცივისისხლიან მკვლელად გამომიყვანნო. მე შეძლებისდაგვარად დავამშვიდე – სასამართლოზე ყველაფერი გაირკვევა-მეთქი და დამიჯერა. გენერალურმა პროკურატურამ კი გიორგის სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. თავისუფლების აღკვეთის ძირითადი არსი ხომ ის არის, რომ დამნაშავემ პასუხი აგოს თავის ქმედებაზე და მოინანიოს, თუ გნებავთ – გამოისყიდოს საკუთარი დანაშაული. ამ შემთხვევაში კი გამოვიდა, რომ გიორგი გაწირეს და ზოგიერთი აბსურდული დამატებითი ბრალდებაც წაუყენეს. კი, ბატონო, თვითონ აღიარებს და ამბობს – მე ჩავიდინე დანაშაული და უნდა დავისაჯო, მაგრამ რა შუაშია კრიხელის ებრაელობა? თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ვინა კრიხელის მოკვლა არ უნდოდა, მან სულ არ იცოდა, რა ეროვნებისა იყო. კიდევ კარგი, არ თქვეს – ამ ნიშნით შეარჩია მსხვერპლიო...

**— ბატონო თამაზ, გთხოვთ...**

**თამაზ შუბლაძე:**

– მესმის თქვენი თხოვნის – არ გადაუხვიო შეთანხმებულ თემას, მაგრამ გთხოვთ, მათქმევინოთ ზოგიერთი რამ, რაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ეს ჩემი სიტყვები არ არის – მიხეილ სააკაშვილმა თვითონ განაცხადა, რომ გენერალური პროკურატურა სინაგოგად არის გადაქცეული, და სწორედ ამ სიტყვებშია ძალის თავი დამარხული...

– გიორგის ახლაც უყვარს თამარ გოგიაშვილი და ვერ იტანს, მასზე აუგს რომ იტყვიან. სხვათა შორის, თავის მეგობრებსაც მისწერა – ზედმეტი არაფერი აკადროთი. ჩემი აზრით, სწორედ ამაშია მომხდარის მთავარი მიზეზი. აქვე კიდევ ერთხელ საზგასმით გეტყვი: ჩემს შვილს არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ, მაგრამ ის, რომ გიორგიმ ცინიკურად მოკლა ვინა კრიხელი – ტყუილია. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელია, დამნაშავეა და დასასჯელია, მე მჯერა მისი. ოღონდ სასჯელი სამართლიანი უნდა იყოს, ის ოჯახი ხომ დაინგრა და დაინგრა, არც ჩვენ ვართ უკეთესი დღეში. მე უკვე 55 წლის კაცი ვარ, დედამისი 53-ის. გიორგი რომ ციხიდან გამოვა, თუ ამ ქვეყანაზე დავრჩით მანამდე, 70 წელს გადაცილებულები ვიქნებით...

# ჩვენებური მულაბები კახურად

ძველით ახალ წელს მშობლიურ კუთხეს — კახეთს მივაშურე. რედაქტორს დავპირდი, დაბრუნებისას ხელს კახურ ნობათს გამოვაყოლებ-მეთქი, ოღონდ ცხელ-ცხელი შოთების, კამკამა კახური ღვინისა და ცივი დედლების მაგივრად, ხალასი იუმორით და ენამახვილობით სავსე „ხურჯინი“ ჩამოვიტანე...

როდესაც თანასოფლელებს ვუთხარი, სამხიარულო რაღაცები უნდა მიამბოთ-მეთქი, ცოტა არ იყოს, გაიოცეს — რას ამბობ, გოგო, ჟურნალში უნდა დაგვბეჭდო?! მაგრამ მალე, ისე გამხიარულდნენ ძველი ამბების გახსნებით და ისეთ ეშში შევიდნენ, რომ ერთმანეთს აღარ აცლიდნენ: არა, ეს ამბავი მოჰყვევი, არა ისო... დროდადრო მაფრთხილებდნენ კიდევ: ეს, ცოტა არ იყოს, „ისეთია“, „იმნაირია“ და აბა, როგორ მოგიყვეთო? თავიდან კი, იმაში გასარკვევად — კახეთში რომელი სიტყვის ხმარებაა სწორი და რომლის — შეცდომა, ერთ საქორწინლო კურიოზს გავიხსენებ, რომლის უშუალო მომსწრეც თავად გახლდით.



ნინო ჩავახიშვილი

## ქორწილი და სიყვარულის ახსნა

ბავშვობის მეგობარი საბურთალოსე, ვეძისში გაგვითხოვდა. გოგოც კარგი იყო და სიძესაც წუნს ვერაფერში დასდებდი. მინი-ქორწილი ჩვენთან, სოფელში გადაიხადეს. დღე და ღამე-სავით განსხვავდებოდა საქორწინლო სუფრის ორი ნაწილი — ერთ მხარეს თბილისიდან ჩამოსული მყარი — ტალიკ-ტალიკი, თეთრ პერანგებში გამოწყობილ-გამოწკეპილი, ჩაჰალსტუხებული ბიძები (სიძის მეგობრები) ისხდნენ, მეორე მხარეს — პატარძლის იქაური ნათესავ-ახლობლები

— ულვაშა, ღიპიანი და მრგვალ პირისა ხიანი ჩაპუტკუნებული ბიძები და კეკლუცად მორთულ-მოკაშმული დეიდა-მამიდები. კახელები ის ჩაცმულობაში რატომღაც შავი ფერი ღომინირებდა. თამადა და პატარძლის ბიძა გახლდათ და სულ ულვაშების გრეხა-გრეხით ამბობდა სადღეგრძელოებს. ზოგჯერ, უკაცრაული ნათქვამია და, მორცხვად ისწორებდა ღიპზე შემოტევილი „საროჩკას“ და მალულად ღილებს იმოწმებდა — აქაოდა და, მეტიმეტი დაჭიმვისაგან რომელიმე ხომ არ ამწყდაო... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გაავარძელო, სუფრა ბებია-ბაბუების სადღეგრძელომდე მივიდა. თამადამ დაამთავრა სათქმელი — ჩვენ პაპებსა და ბაბოებს გაუმარჯოსო და ჯერი სტუმრებზე მიდგა. წამოდგა ერთი ყმაწვილკაცი და მთელი თავისი მჭევრმეტყველება უხვად გადმოაფრქვია და გამოამზეურა კახელების „თვალის დასაყენებლად“. როგორც იყო, დაამთავრა და დასალევადაც მოეშადა, მაგრამ ნურას უკაცრავად! თამადამ ის-ის იყო ღვინოში ჩამბა-

ლი „ქორფა“ ულვაშები „სალფეტკით“ შეიმშრალა, მერე ღინჯად წამოდგა და ზრდილობიანად მიმართა თანამესუფრეს: — ხო, გენაცვალე, ეჭიქა კი დალიე, მაგრამ იცი, რაშია საქმე? ჩვენა კახეთში ბაბუებ რო არა ვხმარობთ? სტუმარი, რბილად რომ ვთქვათ, გაოგნდა და უსიტყვოდ და უაზროდ მიაჩერდა სუფრის „უფალს“. კაი ხანს ხმას ვეღარ იღებდა. ბოლოს, როგორც ჩანს, გამბედაობა მოიკრიბა და ძლივს ამოღერდა: — როგორ თუ არა ხმარობთ? — როგორა და, აი, ეგრე. კახეთში ჩვენა ბაბუებ არა ვხმარობთ, პაპებსა ვხმარობთ, პაპებსა, გაიგე?! ხოდა, მანა გთხოვ, შვილო, მანამ კახეთში ხარ და ჩვენი სტუმარი გქვია, შენც პაპა იხმარე ხოლმე... ალბათ მიხვდით — თამადას უბრალოდ უნდოდა ეთქვა: — კახეთში სიტყვა „ბაბუას“ არ ვხმარობთო... რადგან სატრფიალო თემით დავიწყე, აქვე გაგიმხელთ, როგორ უმჟღავნებენ კახელები გულის სწორს თავიანთ გრძნობებს (ყოველგვარი ხუმრობის გარეშე): — შეიძლება დევნა დაგიწყო? — შეეკითხება ვაჟი ოცნების ქალს. თუ ქალმა უარი არ თქვა „დევნის“ პერსპექტივაზე და თმა არ „გაიწიწა“, ესე იგი, თანახმაა. თუ არა და, ვაჟი უტყუარი აღლოთი ხვდება უარის მიზეზს და პირდაპირ — არც აციებს, არც აცხელებს — ისე დაახლის ტყვიასავით: — რატო არ გიყვარვარ, რა, უკვე გვევანან? (ანუ სხვა ვინმე გიყვარსო?)

ჩემი ერთი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ჩემი მეგობარი თავისმა „პაკლონიკმა“ კაფეში — არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად „ერთ-ორ ჭიქა ყავაზე“ მიიპატიჟა და იქ აუხსნა „სიყვარულები“... რას იზამ, სიყვარული ყველას უნდა...

ისეთი წინადადება დამისახელი, სადაც პირის ნაცვალსახელი იქნება გამოყენებული. „კისკისა“ არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

– მაგას რა უნდა, მასწ! – მე შენკენ, შენ – ეშმაკებისკენ! ერთი კი არა, სამი ნაცვალსახელია შიგა...

მედიკო გაცეცხლდა და რა გაცეცხლდა. მაგრამ რას იტყვოდა! სასწრაფოდ გამოიძახა მეორე მოსწავლე – ერთი წინადადება დაფაზე დაწერე და სინტაქსურად გაარჩიეო. კლასიდან ოპერატიულად „ჩავაწოდეთ“ წინადადება: „პაპას გაუთბა ძვლებია“. არ ვიცი, ბიჭმა მართლა ვერ გაიგო, თუ „ოხუნჯობა“ გადაწვიტა და დაფაზე გულმოდგინედ გამოიყვანა: პაპას გაუტკბა ბებია.

რადღას იზამდა – მასწავლებელმა არაფერი შეიმჩნია და გამწარებულმა, პირველი კითხვა ჯიქურ „აჯახა“ მოსწავლეს:

– რომელია მანდ ქვემდებარე? – ბებია, მასწ.

– ცეცხლი ვნახე შენს უტვინო თავზე მოკიდებული – ქვემდებარე რომელია-მეთქი! მთელი წელი მაგის გარჩევას გასწავლით, მაინც ვერაფერი გაგაგებინეთ?!

– რა გინდათ ჩემგან, მასწ! ქვემდებარე „ბებიაა“-მეთქი, გეუბნებით.

– რას ამბობ, ბიჭო?! – ამოიკენესა საცოდავად, – ერთი მითხარი, „გაუტკბა“ რაღაა?

– გაუტკბა? გაუტკბა – ნამდვილად არ ვიცი რა არის, მაგრამ ბებია ქვემდებარე როა და პაპა – ზემდებარე, მაგაში დარწმუნებული ვარ...

მედიკო ლამის მოკლა ამ ახალდამოჩენილმა წინადადების წევრმა – „ზემდებარე“. მოკლა კი არა და, შეარცხვინა და მთელი რაიონის მასშტაბით მოსჭრა თავი... თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც მედიკო მასწავლებელმა მეორე დღეს დააწია ჩვენს ხუმარა კლასელსა და მის მშობლებს...

ბიძაჩემი განთქმულია სოფელში ოხუნჯობით. ერთხელ, მოსწავლეობის დროს, კლასელი გოგონების შეშინება



გადაუწვევტია და ძალიან ეფექტურადაც გამოსვლია.

– ჩემ უკან ორი გოგო იჯდა. გაკვეთილზე უცებ მომაფიქრდა – მოდი, შიშით გულებს დაუხეთქავ-მეთქი. მერხის ქვეშ ჩავძვერი, მიწოდა მათ შორის ამომეყო თავი, მაგრამ ეტყობა, კარგად ვერ მოვზომე და პირდაპირ ერთ-ერთი მათგანის ფეხებს შუა არ აღმოვჩნდი?! უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა... შიშისაგან ისეთი კივილი ატეხა, მთელი სკოლა ფეხზე დააყენა. რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი თავზე ჩამომამსო და ცემატყეპა ამიტეხა, თან... აღარც „ტყვეობიდან“ მათავისუფლებდა... როგორ არ ვეხვეწე – გამიშვი, კისერში ნუ გამწვიტებ, არ მიწოდა, მანდ შემთხვევით აღმოვჩნდი-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა?!. ისევ ილო მასწავლებელმა „მიშველა“ – დაფასთან გამიყვანა და რაც იმ გოგომ დამაკლო, თვითონ „მომითავა“, თან დამყვიროდა: – შე ასეთო და ისეთი, მამ მაქედან გამოიძვერი, მანდ რო მიძვრებოდიო?!.

**როგორ ვაჭრობენ კახელები**

ჩვენი სოფელი შალო (შინაურობაში იგივე შალიკო), თურმე რაიონში წვრილმანებით ვაჭრობდა. ერთი ლოდი ჰქონდა ამოჩემებული

ბაზართან და ის იყო მისი სავაჭრო დახლიცა და „საჯლომიც“. ახალგაზრდა გოგონებს მისგან ორი საღეჭი რეზინი უყიდიათ და 10 მანეთიანი მიუწვდიათ. შალომ თურმე დიდხანს იქექ-იჩენა თავის „ბიუჯეტში“ და დიდხანს ეძება ხურდა, მაგრამ ვერაფრით მოუყარა თავი. ამასობაში ერთ-ერთმა „კევი“ უკვე გახსნა და ყბები ენერგიულად ამომძრავა. შეწუხებულმა შალომ ცერად გადაჰხედა წინამასწარა კლიენტს და გაბრაზებულმა უთხრა:

– ქალო, უკვე შაიდე?! გამაიდე, გამაიდე – ხურდა არა მაქ...

სხვა რამე-რუმეებთან ერთად, შალო თურმე ქართულ „პამპერსსაც“ – შიბაქსაც ყიდდა. ჩამოუვლიათ რუსებს და გაკვირვებულებს – ეს სტალინის ჩიბუხიაო? – უკითხავთ. – და მაშინვე პირში „უტაკები-ათ“. ახლა შალოს გაოცების მომენტი დადგა, თუმცა მალე გამოერკვა და მიუთითებია:

– მანდ არა, კაცო, მანდ არა, ВНИЗУ, ВНИЗУ!..

**სიკვდილ-სიცოცხლის მღვარმე...**

სოფელში ძალიან მაღალი კაცი ცხოვრობდა – გოგი ერქვა, მაგრამ ყველა „ალანდარას“ ეძახდა. იმსი-გრძე იყო, ბოლომდე თვალს ვერ ააწვდენდი. ერთხელ შვილი ცუდად გაუხვდა და თბილისში ექიმებთან ჩამოიყვანა. დაინახა სოფელელმა („ოსპანელას“ ეძახდნენ მეტსახელად), რომ „ალანდარას“ თავისი ბიჭი მხრებზე შეუსვამს და ჰკითხა:

– რა იყო, გოგი, საით გაგიწვიათ ეგრე დაღონებულსა?

– რა ვი, კაცო, აი, ბაღლ გრიპი შეხვდა, ალბათ გაცივდა და ექიმ უნდა გავასინჯო.

„ოსპანელამ“ თვალი ძლივს „უწია“ „ალანდარას“ მხრებზე არხვინად შემოსკუპებულ მერაბს და გაეცინა:

– კაცო, ე იალბუზზე რო შავის-


# ტესტი ერუდიციაზე

## 1. ჩაის სამშობლოა:



- ა) ჩინეთი;
- ბ) ინდოეთი;
- გ) ცეილონი.

## 2. გაზაფხულის რომელი თვის კვილქართული სახელია მირკანი:



- ა) აპრილის;
- ბ) მარტის;
- გ) მაისის.

## 3. რომელი ოპერა ეპოქის ინტალიელ კომპოზიტორ როსინის:



- ა) „სევილიელი დალაქი“;
- ბ) „ტრავიატა“;
- გ) „კარმენი“.

## 4. კათოლიკური და ზომიერთი მართლმადიდებლური ეკლესიის განვითარებას რომის პაპის მეთაურობით ვიძინა:



- ა) ალიანსი;
- ბ) უნია;
- გ) ბლოკი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ვამ ბალდი, ცოტა დაბლა ჩამაიყვანე, დასთბება მაინცა...

მაროს სიძე – დის ქმარი გარდაეცვალა. შინაურებმა დაუმალეს: თვითონაც ქმარმკვდარი ქალია და ჯერ არ ვუთხრათ, ძალიან არ ინერვიულოსო... დასაფლავების დღეს მარო ლეღვის ხეზე ავიდა და პირი ჩაიტკბარუნა. საღამოს ოჯახის წევრებმა ნელ-ნელა „შეაპარეს“ ნიკალას გარდაცვალების ამბავი, თან სასტიკად გააფრთხილეს – ხომ იცი, შენი ნერვიულობა არ შეიძლება და აბა, შენ იცი, თავს გაუფრთხილდიო. მარომ მუხლები გამოითქვიფა, ბევრი ივიშვიშა და ცრემლებიც აღვარღვარა – არა გრცხვენიათ, რატო აქამდე არ მითხარით. სოფელში ვინ რაი იტყოდა – ნიკალა მკვდარი ყოფილა და მე ლეღვი ხეზე ასულ რო დამინახავდნენო...

შინაურებმა თავი იმართლეს – რა ვიცოდით – ვიფიქრეთ, თან არ გადაჰყვესო... მარომ გულწრფელად გაიკვირვა:

– რას ამბობთ, ქა? ჩემ მიშოი (ქმარს) არ გადავყოლილვარ და მაი, ნიკალაი მივაკვდებოდიო...

მაროს ქმარს ოპერაცია გაუკეთეს. ექიმებმა სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. ოპერაციის შემდეგ ერთ-ერთმა ექიმმა, მაკრატლით აიღო ნაწლავი (მთავარი „დამნაშავე“) და მაროს აჩვენა: აი, ეს იყო, რაც იყოო... მაროს გაოცებისაგან პირი ღია დარჩა:

– ე ნაწლავი ჰო, მაგრამ ამოდენა მაკრატელი როდისღა გადაყლაპა ჩემმა ბედოვლათმა ქმარმა, ჰა?!

კაი დრო რომ იყო, ბრიგადირმა მიშას უთხრა – ვენახია გასაუქმებელი, ერთი სამი დღის საქმეა და აბა, შენ იცი და შენმა კაცობამო. სამუშაოდ გამზადებული მიშა მეზობელმა მწვადზე მიიპატიჟა. მიშას სულ გადაავიწყდა ბრიგადირიცა და ვენახიც და იმ დღეს მამაპაპურად მოუღვინა. დილით, „ნაპახმელიევის“ ისევ „უფროსმა“ მოაკითხა – გუშინ სადაც იყავი, ისევ იქ წადიო. მიშამ იფიქრა: ეგრე არ უნდა, სეირს გაჩვენებო, ადგა და ისევ მეზობელთან გადავიდა: „პახმელიაზეც“ შენთან გამოვიდალო... ისევ კარგად იქეიფა, წამოვი-

და და მშვიდად დაიძინა. მესამე დღესაც შეახსენა ბრიგადირმა – შენი ჭირიმე, ცოტალა იქნება დარჩენილი და ბარემ წადი და მოამთავრეო.

მიშა მესამე დღესაც მეზობელს რომ მიადგა „პურის საჭმელად“ და მოსალხენად, მასპინძელს გაუკვირდა – რაშია საქმეო. გაიგო საქმის არსი და ბრიგადირს მიუვარდა გაცეცხლებული:

– აღარ დაგინახო, მიშა ვენახის გასაუქმებლად გაგზავნო, ჩემი სახლი რესტორანი ხომ არ გვონიათ, უკვე მესამე დღეა ჩემთან ქეიფობსო...

## ძუნწი კახელები

გურჯაანში ერთ-ერთ ჯიხურზე აბრაა გამოკიდული, რომელიც კატეგორიულად გვაფრთხილებს: „ნისიაზე ლაპარაკიც ზედმეტია!“

ნაცნობ-მეგობარს, რომელსაც „მწარე-მწარე“ სიტყვით იცნობენ, სტუმარი ეწვია. გადაეკიდა – გინდა თუ არა, არაფი დამალევიწიო. მასპინძელი არ იყო ჭამა-სმის ხასიათზე და პირდაპირ, კახურად გამოუცხადა: არ მინდა და არ დაგალევიწიებ, შენი თავი არა მაქვსო. აღარ მოეშვა სტუმარი, იფიქრა, როგორ ვერ „შევაბამო“ და ბოლოს, ვითომ გაეხუმრა:

– რა იყო, შე კაი კაცო, იქნება ფეხმძიმედა ვარ და როგორ მინდა არაფი, ბავშვი ბრმა არ გამომივიდესო...

მასპინძელმა ჯერ მუცელი შეუთვალიერა სტუმარს, ახელ-დახელა და უთხრა:

– რა ვქნა, მე რას შემომჩივი, მე დაგაორსულე თუ?!..

კახეთში საახალწლო-საშობაოდ დიდი „ქელები“ იმართება ხოლმე. ძუნწი მეზობელი გვეყვდა – ზამთარში თოვლს არ გასესხებდა. ჩამოვივლიდა ხოლმე სიკო მეზობლებს და ჯერ მათ ჰკითხავდა, თუ ჰყავდათ დასაკლავი ღორი. ვისაც ჰყავდა, იმას დიდი ამბით ეპატიუებოდა: მწვადებზე ვიქეიფოთო და თუ ვინმე უარს განუცხადებდა, სიკო აუღელვებლად ჩაილაპარაკებდა: – არა გყავს და მეყოლე ვარდივითო!.. ასე ტოვებდა სიკო ღარბ მეზობლებს საახალწლოდ უმწვადოდა და „უქეიფოდ“...

# ირაკლი წერეთელი:

## სიყვარულის ასახსნელად არ მეცალა და... ნათია მოვიტაცე!



ვარულისთვის?

– კი, მე მას ვუძღვნიდი ლექსებს. თუ როდესმე კრებულის გამოცემას გადავწყვეტ, ამ ლექსებსაც აუცილებლად შევიტან.

– როგორი იყო ნათიას რეაქცია, თქვენი პირველი ლექსი რომ წაუკითხეთ?

– ყველა ქალს და მით უფრო ამბიციურ ქალს, სიამოვნებს, ლექსებს რომ უძღვნიან. ეს ცნობილი ჰუმანიტარია. აქ უკვე რეაქციას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს.

– ნათია თუ იზიარებს თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს?

– მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერ საქმიანობაში ცოლი ქმრის თანამზრახველი უნდა იყოს. ამის გარეშე ოჯახში ჰარმონია ვერ დამყარდება. მხოლოდ თანამზრახველი, რადგან აუცილებელი არ არის, ცოლი და ქმარი პოლიტიკურადც „დაწყვილდნენ“. ცოლი ქმრის პარტიის პარტიული მუშაკი არ უნდა იყოს. ნათია ჩემს შეხედულებებს თანაუგრძობს იმდენად, რამდენადაც, ცოლი უნდა გულშემატკივრობდეს ქმრის საქმიანობას.

– ახლა მეჩვენება, რომ წერეთელი „აზიატი“ ქმარი იქნება.

– არა, სახლში დიქტატორი არ ვარ!

სიმართლე გითხრათ, ვერ ვიცილი ოჯახისთვის. ისევე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. ტრადიციული ქართული ოჯახი კი, ისეთი, როგორც მე მინდა მქონდეს, მხოლოდ ქალის და კაცის ურთიერთობა არ არის. კორპუსებში მცხოვრები ოჯახი არ მიმაჩნია ტრადიციულ ქართულ ოჯახად. სახლი ბლენანით გარემორტყმულ ციხესიმაგრეს უნდა ჰგავდეს, იმ სახლში ლამაზი ცოლი უნდა გყავდეს, ოჯახი მრავალშვილიანი უნდა იყოს და ა.შ. მე კი ვჯერჯერობით მხოლოდ ნათიაში გამომართობა. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ დღეს ერთად არ ვიქნებოდით.

სამწუხაროდ, პირველი სიყვარული ყოველთვის ოჯახის შექმნით არ მთავრდება. ხშირ შემთხვევაში, ოჯახის შენარჩუნებაც ვერ ხერხდება. არც ღირს შეინარჩუნო ოჯახი, თუ აღარ არის სიყვარული, რომანტიკა, ემოცია... ჩვენ, უბრალო მოკვდავნი ხომ, მუდღეობს სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით არ ვიარჩევთ. ასე რომ იყოს, მე ერთ ცოლს აფხაზს მოვიყვანიდი და შემოვიერთებდი აფხაზეთს, მეორეს ოსს და დავიბრუნებდი სამაჩაბლოს, მესამე სომეხს, მეოთხეს თათარს... და ა.შ. მაგრამ რადგან ქრისტიანები ვართ და საქართველოში მრავალცოლიანობა არ არის დაშვებული, ჩვენი, როგორც კაცების ვალია, პირველი სიყვარულიც, ცოლქმრობაც და ოჯახური ურთიერთობებიც ქართული შარავანდით შევმოსოთ და ნაღდ გრძობასა და ჯანსაღ ემოციაზე დავაფუძნოთ. ■

### ნანა კიბიშაური

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერს, ირაკლი წერეთელს ჭაბუკობის დროს ბევრი გატაცება ჰქონია, სიყვარული კი – ერთადერთი! თუმცა, ამ სიყვარულის ასახსნელად ვერ მოუცლია, „დროში იწვოდა“ და, როგორც თვითონ გვითხრა, საკითხი ერთი ხელის მოსმით, რომაული პრინციპით გადაწყვეტილია: „მივედი, დავეკარი, გავათავე!“

– ახალგაზრდობის დროს, დაახლოებით 37 ქალი მყავდა შეთვალეობის. სპეციალური სია მქონდა და, ვინც მომეწონებოდა, ამ სიაში შემყავდა. ბოლოს, ამ გოგონებიდან შესანიშნავი შეიღებული ამოვარჩიე. ამ შეიღებულში მოხვდა ჩემი მომავალი მეუღლე – ნათია ნაროზაული, რომელიც ვერ ჩემი პირველი, სერიოზული სიყვარულის ობიექტი გახდა, შემდეგ კი – მეუღლე. უნდა თქვას, რომ ამ ქორწინების მიზეზით, სხვა ქალები (ვინც დიდ სიაში იყვნენ) გადავიმტერე და ბევრი ახალგაზრდა ამომჩრეველიც დავეკარე.

როდესაც ნათიას ცოლად მოყვანა გადავწყვიტე, ისეთი დრო იყო, რომ სიყვარულის ასახსნელად და სალაპარაკოდაც ღიად არ მეცალა. თანაც, ვიცოდი, უარს მეტყვოდა, რადგან ვერ სტუდენტი იყო და გათხოვებას არ აპირებდა. სხვა ფაქტორიც იყო: მე, ქართველ კაცს რომ შეეფერება, მეტისმეტად ამაყი ვარ და, თუ ქალი ერთხელ უარს მეტყვის, მეორედ მისკენ არც ვაფიქსირებ. ამ შემთხვევაში კი, თავს ვატყობდი, ეს „არ განხვდა“ ძალიან გამიჭირდებოდა. ამიტომ ბევრი არ მიფიქრია – მივიღე გადაწყვეტილება. მეგობრებს მოველაპარაკე და ნათია მოვიტაცე!

– იქნებ, უფრო დეტალურად მოგიყვებოდა

მოტაცების ამბავი?

– ნათია სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. ის ნანა კაკაბაძესთან ერთად ცხოვრობდა. სასახლეში აღმოვაჩინე აპირებდნენ წასვლას. მე მანქანა შევთავაზე. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ნანა მანქანიდან გადავიდა, რომ ბავშვი გამოეყვანა ბაღიდან. მე ნათიას ვუთხარი, გავიაროთ, სიგარეტს ავიღებ-მეთქი. მანქანა დავძარი და ჩემი ნათია ქსნის ხეობისკენ გაეაქანე.

– რა უღმერთობა! არ შეგეცოდათ?

– გზაში ატირდა. ისე ტირიდა, მარტო მე და ის რომ ვყოფილიყავით, ნამდვილად მოვაბრუნებდი მანქანას. საერთოდ, ქალებთან მიმართებაში ძალიან სუსტი გულის კაცი ვარ. ატირებულ ქალთან კი... მოკლედ, რომ არა მეგობრები, ნამდვილად დამიყოლიებდა და უკან დავაბრუნებდი.

– მერე?

– მერე, ეტყობა, იფიქრა – მართლა არ გადაიფიქროსო და გაჩუქდა...

– თქვენი შშობლები როგორ შეხვდნენ „ბიჭის“ მოულოდნელ დაოჯახებას?

– „ბიჭი“ მაშინ უკვე 30 წლის იყო და, რა თქმა უნდა, შშობლებს გაუხარდათ მისი დაოჯახება. ნათია ძალიან მოეწონათ. მოგვიანებით კი ქორწილიც გადავიხადეთ. ახლა ერთი გოგონა გყავს – გვანცა წერეთელი. მშვენივრად მღერის, ლექსებსაც წერს, მუსიკასაც. მე და ნათიას ძალიან გვიხარია მისი წარმატებები.

– თქვენ თუ მიგიძღვნიათ ლექსი პირველი სიყ-



ჭიჭიკია გალოთდა. ერთხელაც, გალენილ მთვრალს უმშენიერესი ქალი გამოეცხადა.

— რომელი ხარ, გოგო, შენუ?

— პკითხა ვნებამორეულმა.

— ვერ მიცანი? ბელა ვარ.

— რომელი ბელაივ, ავქსენტიეს?

— ავქსენტიეს კი არა, „ბელაია გარიარკა“ გახლავარ და თბილისში, ასათიანის ქუჩაზე რომ სერიოზული დაწესებულებაა, იქ უნდა ნაგვიყვანო — მიიღო პასუხად.

ეს ანეკდოტი ენაკვიმატმა ქუთაისელებმა მოიგონეს. სხვათა შორის, ის ახლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ამ ბოლო დროს ამკარად შეიმჩნევა საქართველოში ალკოჰოლიზმით დაავადებულთა სიჭარბე. არადა, არცთუ ისე შორეულ წარსულში საქართველოში თითხე დასათვლელი თუ იყვნენ ლოთები. უფრო მეტიც, ქუჩაში მთვრალი გამოსვლა სირცხვილადაც კი ითვლებოდა. რესპუბლიკის ქალაქებში სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოსაფხიზლებლები ლოთების დაჭერის „გეგმას“ ვერ ასრულებდნენ და თუ ასრულებდნენ, ისიც რუსეთიდან საგასტროლოდ ჩამოსული „ბოსიაკების“ ხარჯზე. ხშირად გამოსაფხიზლებლების თანამშრომლები, გემისა და თავიანთი ჯიბის შესავსებად, ღამის საათებში რესტორნების წინ მორიგეობდნენ, თანაც რესტორნის თანამშრომლებს წინასწარ ტუალეტს აკეტვინებდნენ და როცა რომელიმე ნაჭიფარი კაცი, ბუნებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეზოს მიაშურებდა, იქ მას უკვე მილიციელები ელოდნენ...

გამოსაფხიზლებლების ერთ-ერთი მუდმივი კლიენტი ვასილ შაპილოვი იყო, რომელიც თბილისის ლოთებში ვასკა რუსად არის ცნობილი. მას ლოთობის 40 წლის სტაჟი აქვს და თავის დროზე ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ორგანიზაციის მთავარ საქონელმცოდნედ მუშაობდა. აი, რა გვიამბო მან:

„შეძლებულ და განათლებულ ოჯახში დავიბადე. დედაჩემი თბილისის ერთ-ერთ რუსულ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა, მამა ადვოკატი მყავდა. მეც უმაღლესი განათლება მივიღე და მუშაობა დავიწყე. მალე



# რატომ უემოგვიჩვია

## „ბელაია გარიარკა“

### გვიან ჩაკვეტაკე

დავოჯახდი. 30 წლის ისე გავხდი, ბურახიც კი არ მქონდა გასინჯული. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელად ცოლი გამექცა და ბავშვებიც თან გაიყოლა. თურმე სხვა კაცი შეჰყვარებია. პირველად მაშინ დავლიე დარდის გასაქარებლად ასი გრამი, მერე კიდევ ასი და წავიდა... ვიცოდი, ვიღუპებოდი, მაგრამ დარდს, ახლა სტრესს რომ ეძახიან, ვერაფრით მოვერიე. მშობლებიც ჩემს დარდს გადაჰყვნენ, მაგრამ მანამდე ძალა და მონღომება არ დაუკლიათ, რომ სმისთვის თავი დამენებებინა. მამაჩემმა იმდენი „იჩალიჩა“, იძულებითი მკურნალობაც კი მომიხაჯეს ორი წლით საგარეჯოს კოლონიაში, მაგრამ იქიდან სულ ხელიდან წასული გამოვედი.

რუსეთიდან ჩამოსული სტაჟიანი ლოთები ახალბედებს გვასწავლიდნენ, თუ როგორ გაგვენეიტრალებინა იმ წამლების მოქმედება, რომლებსაც სამკურნალოდ გვასმევდნენ. უამრავი ხერხი არსებობს... ერთხელ, რუსეთში რომ ვიყავი, ფული არ გვქონდა. ეს არაფერი — მათხოვრობა ან, ბოლოს და ბოლოს, მაღაზიის გატეხა შეიძლებოდა, მაგრამ იქ, სადაც ვიყავით, არყის და ღვინის ნასახი არსად იყო. ერთი გზა დაგვრჩა — სოფელში „სამაგონი“ ვიყიდეთ. მოვიტანეთ, ჭიქებში ჩამოვასხით, მაგრამ ისეთი სუნი გვეცა, ცხვირზე

თითები წავიჭირეთ და ისე დავლიეთ. როგორც მერე გავიგეთ, იმ სოფელში არაყს, ბოდიში და, ფეკალური მასისგან ხლიდნენ(!)...

ლოთობის გამო მშობლების დატოვებული ბინა გავყიდე, ავეჯიც დიდი ხანია იმავე გზას გავუყენე და ახლა ამ ერთ ოთახში ვცხოვრობ. მეტი აღარ შემიძლია, ამოიღე, ეგ არაყი დამალევენე“, — შემევედრა ვასკა რუსი.

ჯიბიდან არყის ბოთლი ამოვაცოცე. სულწასული შესცქეროდა სანუკვარ სითხეს. მერე აცახცახებული ხელი წაავლო ჭიქას და სწრაფად მიიტანა პირთან. ხარბად სვამდა, შესივებულ ტუჩებზე წვეთ-წვეთად მოწანწკარებდა არაყი, ხელზე ეღვრებოდა. ისე ჩქარობდა, თითქოს ეშინოდა, არავინ წამართვასო... დალია. სული მოითქვა და სადღეგრძელო მერე თქვა — ამ დღეში ღმერთმა ნურავინ ჩააგდოსო და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო:

„კომუნისტების დროს ერთ ჭიქა ღვინოს და არაყს არავინ დაგამადლიდა. ერთი ხანობა, სოფელ დიდმის სახინკლე მქონდა ამოჩემებული. მაშინ იმ სახინკლის უფროსი სლავა მეტრეველი იყო. ვეცოდებოდი და ხშირად თავის კაბინეტში მასმევდა. მერე კუკიაზე, სასაუხზე „საიქიოსთან“ ვიდექი „პოსტზე“. ყველაზე მეტად გორბაჩოვის მშრალი კანონის დროს გამიჭირ-



და, მაგრამ მალე ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის შეზღუდვა გაუქმდა და ლოთებმაც ამოვისუნთქეთ.

ერთხელ ნებისყოფა მოვიკრიბე და ექიმს მივმართე, მერე მღვდელსაც, მაგრამ არაფერმა მიშველა. უკვე ისე ვარ „დასპირტული“, ჩემი ორგანიზმი უბრალო წამალსაც ვეღარ იღებს. ერთ მშვენიერ დღეს რომ გავცივდე, ველ-არაფერი მიშველის, ისე გავალ „გაღმა, მარილზე...“

სამწუხაროდ, ვასკა რუსის დღეში დღეს ათეულათასობით ქართველია. ამ სერიოზულ პრობლემასთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს ნარკოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ზურაბ შენგელია**:

**— რამ გამოიწვია საქართველოში ალკოჰოლიზმის ფართო მასშტაბით გავრცელება?**

— ალკოჰოლიზმის გავრცელებას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველი — დუხჭირმა მდგომარეობამ უკიდურესად მძიმე დღეში ჩააგდო ხალხი, უმრავლესობა დაუსაქმებელი დარჩა. სრულიად ჯანმრთელ, შრომისუნარიან მამაკაცებს გაუჩნდათ თავისუფალი დრო, რომელიც არ იცინა, როგორ მოკლან. მეორე — შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მეომრები სასმლის ჭარბად მიღებას შეაჩვია, რათა გაიოლებოდათ კაცის კვლა; მოგვიანებით, სამოქალაქო ცხოვრებას დაბრუნებული ყოფილი ჯარისკაცები ომის საშინელებათა დავიწყებას სპირტიანი სასმელებით ცდილობდნენ.

მესამე — რესპუბლიკაში სპირტიანი სასმელებს საკვებად უვარგისი ეთილით

ან ტექნიკური დანიშნულების სპირტისაგან ამზადებენ. ასეთი სპირტი არცის დასამზადებელ ქარხნებს გროშებად შემოაქვთ და მას, როგორც ხორბლის სპირტს, ისე ასაღებენ. არც სპირტსა და არც მისგან დამზადებულ პროდუქტიაზე კონტროლს არავენ ახორციელებს... დმერთმა იცის, რა არის ბოთლში ჩასხმული. ასეთი რამ მსოფლიოში, საქართველოს გარდა, არსად ხდება. მეოთხე მიზეზი ის გახლავთ, რომ მაგარ სპირტიან სასმელებს უფრო, თრობის ეფექტის სწრაფად მისაღწევად ეტანებიან. მაგარ სპირტიანი სასმელი აჩქარებს ალკოჰოლიზმის, როგორც დაავადების ჩამოყალიბების პროცესს...

ამჟამად საქართველოში, ალკოჰოლიზმის გავრცელების მხრივ, საგანგაშო მდგომარეობაა. ჩვენი ვარაუდით, ალკოჰოლიზმის მძიმე ფორმით უკვე დაავადებულია 200 ათას კაცამდე. თუ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვლება, 2-3 წელიწადში შეუქცევადი პროცესი დაიწყება.

**— რატომ არ მიმართავთ სახელმწიფოს, პრეზიდენტს, პარლამენტს, ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს?**

— აღნიშნული მძიმე მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია აქვს ყველა სახელმწიფო სტრუქტურას. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ დღითი დღე მატულობს ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რაოდენობა. მაგრამ სახსრების უქონლობის გამო, სახელმწიფოში არ არსებობს ალკოჰოლიზმთან ბრძოლის მიზანმიმართული პროგრამა.

უფრო მეტიც, გაუქმდა რესპუბლიკაში წინათ არსებული ნარკოლოგიური კაბინეტებიც, რომლებიც მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებდნენ ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. სახელმწიფო დიდი გაჭირვებით აფინანსებს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ

პირთა ჰოსპიტალიზაციას და დეტოქსიკაციას, თანაც იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფი საშიშროებას წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის. ყველა სხვა, თუნდაც მძიმედ დაავადებული ალკოჰოლისტი უფასო მკურნალობისთვის სახელმწიფოს ფული არა აქვს. ჩვენ მივმართეთ შესაბამის უწყებებს თხოვნით, თუნდაც 1%-ით გაეზარდათ ალკოჰოლური სასმელების ღირებულება, ხოლო მიღებული თანხა ალკოჰოლიზმთან ბრძოლას მოხმარებოდა, მაგრამ უშედეგოდ.

**— რა გზა არსებობს შემქმნილი სიტუაციიდან თავის დასაღწევად?**

— მხოლოდ ის, რომ ნაკლები ვსვამთ. ჩვენ, ქართველებს სმის კულტურა სხვისგან არ გვესწავლება. ქრონიკული ალკოჰოლიზმის მორჩენა დღევანდელ მედიცინას არ შეუძლია. არც ის დაიჯეროთ, როცა გაზეთებში შარლატანი ექიმები ალკოჰოლიზმისგან განკურნებას 1-2 დღეში გპირდებიან. შეიძლება ლოთმა 5 ან 6 წელი არ დალიოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის განიკურნა. საკმარისია, ხელი შეავლოს ჭიქას, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყება.

**— როგორც შევითქვით, გუშინ თქვენს ინსტიტუტში პოლიციამ ორი ბავშვი მოიყვანა...**

— ორივე ბავშვი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ერთი 6 წლის, ხოლო მეორე 10 წლის გახლდათ. ორივემ აღიარა, რომ წებოს სურნელი შეუსუნთქავთ(!). ეს ბავშვები თავიანთ ამხანაგებს ასწავლიან, ისინი კიდევ სხვებს და ამას რაც მოჰყვება, იოლი წარმოსადგენია. ნარკომანებზე რატომ არაფერს მეკითხებით?

**— რა, ამ მხრივ უფრო კარგი მდგომარეობა გვაქვს?**

— როგორ გეკადრებათ?! მდგომარეობა იქ უფრო მძიმეა. ვინ არის, ძირითადად, ნარკოტიკების მომხმარებელი?! 18-40 წლის ასაკის ადამიანები, ანუ საქართველოს გენოფონდი. ახლა თქვენ განსაჯეთ, რა თაობა დაიბადება...

რა გვიშველის? რა გადაგვარჩენს? სახელმწიფოს უბრალო ადამიანებისთვის არ სცალია. მათი მკურნალობისთვის საჭირო სახსრების სხვა წყაროც არ ჩანს და პრობლემა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იძენს. ■

საქართველოს ნარკოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ზურაბ შენგელია**:



ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება ისეთი მომენტი, როცა ჭირს საკუთარი თავის კონტროლი, როცა გადარჩენის, ხსნის გზას ვერ პოულობ და სასონარკვეთას ეძლევი. კარგია, თუ საკუთარ თავთან ბრძოლას წარმატებით დაასრულებ და გამარჯვებული გამოხვალ. დამარცხებული ადამიანი კი ხშირად იმ უკიდურეს ზომას მიმართავს, რასაც თვითმკვლელობა ჰქვია.

ჩემი რესპონდენტი, საბედნიეროდ, ის კაცი აღმოჩნდა, ვისაც ორჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, მაგრამ განგებამ არ განირა და ახლა თავისი მწარე გამოცდილების საქვეყნოდ გამოტანის საშუალებაც აქვს.



# ჯოჯოსათიდან საერთოზე ორჯერ დაპბრუნდი

## ნინო მებარღნაძე

— ადამიანი ღმერთის ტრაგედიას — უთქვამს შოპენჰაუერს. ჭეშმარიტად ასეა. რანაირადაც არ უნდა ვალამაზებდეთ ჩვენს ცხოვრებას, მარტობა და ტრაგიზმი მეტ-ნაკლებად ყველას ხვედრია. თითოეული ჩვენგანი დაბადებასაც ტირილით იწყებს და მთელი ცხოვრებაც რაღაცას მისტირის: ბავშვობას, სიჭაბუკეს, საამურად გატარებულ დროს. ხან წარსულს უფრო მეტი მადლიერებით შესცქერის, ვიდრე აწმყოს, ხან რაცა აქვს, ისიც არ ჰყოფნის და მუდმივი უკმაყოფილების ჭია უღრღნის გულს. ბევრი იქამდეც მიდის, თავის გაჩენის დღესაც კი წყევლის. თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს: ადამიანმა ხომ ღვთის წინაშე სამოთხეშივე გამოავლინა უმაღურობა. ამიტომ, როგორც არ უნდა ეცადოს, დედამიწაზე სამოთხეს ვეღარ მოიწყობს. ილუზია კი ამ შემთხვევაში ყოველთვის ხელის შემშლელი რამ არის...

მეც სწორედ ერთ-ერთი მათ-

განი ვარ, ვისაც ცხოვრების სამოთხედ მოწყობა სურდა და ჯოჯოხეთად ექცა. ამ ცხოვრებამ უხილავ სამყაროშიც მომახვედრა. თუკი იქ სამოთხის კარი ჩარაზულია, სამაგიეროდ, ეს კარი ჯოჯოხეთს საერთოდ არა აქვს. ეს არის პირდაღებული უფსკრული, რომელშიც ძალიან ადვილია მოხვედრა.

ჩემი ფილოსოფიური მსჯელობა დიდს ვერაფერს შეცვლის, მაგრამ რასაც ახლა მოგიყვებით, შეიძლება ბევრისთვის ყურადსაღები აღმოჩნდეს — რათა სიკვდილსიციცოცხლის გასაყართან საკუთარი სურვილით არ მივიდეს, არ გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც თვითმკვლელის სახელით წარადგენს ღვთის სამსჯავროზე.

ოჯახის დანგრევამ ჩემი სული კარგა ხნის განმავლობაში გამოამწყვდია მორალურ ნანგრევებში. სულიერ სიცივეს ისე შევეჩვიე, საკუთარი სხეულის და სისხლის სითბოს ვეღარ ვგრძნობდი. ნარკოტიკებს მივეძალე, მინდოდა ყველაფრის დავიწყება, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მაშინაც გონება ისე ფხიზლობდა, ვერც ამან მიშველა. ერთი წელიწადი დასჭირდა, ამ საშინელებისაგან თავი რომ დამეღწია. მალე მეორედ დავოჯახდი, ვაჟიც შემეძინა, მეგონა, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.

წლები გადიოდა და ცხოვრებაც რთულდებოდა. ვშრომობდი და

ოჯახსაც ვარჩენდი. პირველ ცოლსაც ყოველთვიურად ფულს ვუზახავნიდი. მაგრამ ამ ცხოვრების მიერ თავსმოხვეულმა ბიზნესმა ოჯახი გამიკოტრა. ჩემს ვალებს საშინელი მუქარა მოჰყვა: ჯერ შვილის მოტაცებით მაშინებდნენ, შემდეგ სასიკვდილოდ დამსდევდნენ. ჩემთან რომ ვერაფერს გახდნენ, მშობლებს მიაღვინ — ბინა დაგვიცალეთო... აი, მაშინ მოხდა ჩემში ის, რასაც სულის ამბოხი ჰქვია. ამ ჭიდილში მეც დაემარცხდი და ჩემი სულიც.

ერთხელ, შუაღამისას, როცა ყველას ეძინა, რაღაც ძალამ ლოგინიდან წამომავლო, აივანზე გამიყვანა და სარეცხის თოკით თავის მოკვლა გადამაწყვეტინა. სკამი მოვიტანე, სანამ ზედ შევდგებოდი, ჩამოვჯექი და სიგარეტს მოკვიდე. უცებ ყურებში საოცარი გრუხუნი მომესმა. გონება დავკარგე და დავვარდი... მახსოვს, რაღაც შემზარავ ადგილას ვიდექი, ჩემ უკან ვილაც იყო, სახეს არ მიჩვენებდა და ისე ჩამძახოდა: ადექი, ჩქარა, არ გადაიფიქრო — შენ იქ გელოდებიან, შენ უკვე ჩემი ნადავლი, ჩემი კერძი ხარ! მალე, თორემ ძალას ვკარგავო... მერე დატანჯულ სახეებს მოვკარი თვალი... ისევ ის ხმა ჩამძახის — იქით ნუ იყურები, შრომას წყალში ნუ ჩაყრი, შენს სულში შემოძრომა არც ისე იოლი იყო. ახლა თუ ხელიდან დამისხლტე-



ბი, მერე მაინც ჩამი-  
ვარდებიო... ჩემი  
მეუღლის ხმა გავ-  
იგონე და მივხვდი,  
რომ ისევ სააქაოს  
ვიყავი...

ისევ საშინელი რე-  
ალობის წინაშე აღ-  
მოვჩნდი. ყველა სი-  
კეთესთან ერთად, კუ-  
ჭიდან ფარული სისხ-  
ლდენა დამეწყო და  
ძლივს გადავჩრჩი. მე-  
ვალეებმა იფიქრეს,  
კვლევას, ფულს მერე  
ვინ გადაგვიხდისო და  
ჩემი მშობლები უბი-  
ნაოდ დატოვეს... კუ-  
ჭის საშინელმა ტკი-  
ვილებმა ისევ ნარკო-  
ტიკებს შემაჩვია. როცა მევალეე-  
ბის მუქარა შეწყდა, ბელად სამ-  
სახურიც გამომიჩნდა და, შესა-  
ბამისად, ფულიც ვიშოვე. რომ  
მეგონა, ცოტა მშვიდობიანი დრო  
დადგა ჩემს ცხოვრებაში-მეთქი,  
სწორედ მაშინ ამიყვანა პოლი-  
ციამ: ნარკოლოგიურში წამიყვ-  
ანეს. ფულს მთხოვდნენ, ისეთ  
თანხას, რომელიც მე არ გამაჩნ-  
და. ყალბ საბუთზე ხელი უნდა  
მომეწერა, რასაც არ დავთანხმდი,  
შემდეგ აგენტობას მთავაზობდნენ.  
ისე ოსტატურად მცემდნენ, რომ  
სილურჯეც არ დამიტოვეს სადმე:  
პირდაპირ ყურებში მირტყამდნენ...  
ბოლოს ერთი პიროვნების ზარმა



გაჭრა და, ასე გაუბე-  
დურებული, ქუჩაში  
აღმოვჩნდი. სახლში  
აღარ მიმესვლებოდა,  
ყურშიც არაფერი მეს-  
მოდა.

ჯიბეში მეგობრის  
სახლის გასაღები  
მქონდა – ავლექი და  
იქ მივედი. მეგობარი  
არ დამხვდა. თავის  
მოკვლა უკვე გზაშივე  
მქონდა გადაწყვე-  
ტილი. კარი ჩავკეტე,  
ფარდები ჩამოვაფარე.  
საათისთვის არც და-  
მიხედავს, ისე მოვიხ-  
სენი და იქვე ლოგინ-  
თან დავაგდე. მერე,  
ხან დანით და ხან

„ბრიტვიტ“ ვენების გადაჭრა დავი-  
წყე. სისხლისაგან ჩქარა რომ დავ-  
ცლილიყავი, ფეხის ვენებიც გა-  
დავისერე... გონება დავკარგე...  
ვხედავ საშინელ სურათს: ნამდ-  
ვილი ჯოჯოხეთი იყო, ტანჯვისა-  
გან შეშლილი ხალხის გა-  
მომეტყველების გახსენება ახლაც  
მზარავს, საშინლად იგრიხებოდ-  
ნენ ტკივილებისაგან და საოცარ  
ხმებს გამოსცემდნენ.

სწორედ ის ხალხი იყო, ვისაც  
პირველი თვითმკვლელობის მცდე-  
ლობისას მოვკარი თვალი, როცა  
გონება დავკარგე. ახლა ისინი  
სულ ახლოს იყვნენ ჩემთან. ისე  
შემეშინდა, „მამაო ჩვენოს“ ლოც-  
ვა დავიწყე და, რომ დავას-  
რულე, დავინახე, როგორ  
გაიხსნა ცა და ყველაფერი  
განათდა. თეთრი, კაშკაშა  
სხივები სვეტებად აღიმა-  
რთა. მერე ბერიკაცი  
გამოჩნდა მთელი ტანით,  
თეთრი წვერით და თეთრი  
სამოსით. ჩემგან რაღაცას  
ელოდა. მე კი ხმას ვერ  
ვიღებდი, ერთი სიტყვის  
თქმაც კი ვერ შევძელი...

გონს რომ მოვედი,  
სისუსტისაგან ფეხზე ველ-  
არ დავდექი. მივხვდი, რომ  
სისხლში ვცურავდი. ცოტა  
ხანში ისევ დავკარგე გონე-  
ბა და ამჯერად რაღაც ხმა  
ჩამძახოდა: ალექი და წადი

– გადარჩი და ამისთვის მე მი-  
მადლოდეო... დღესაც არ ვიცი,  
რატომ გადამარჩინა ღმერთმა,  
ალბათ იმიტომ, რომ თქვენთვის  
მომეყოლა ის, რაც თავს გადამხ-  
და და რასაც არავის არ ვუსურ-  
ვებ. შემიძლია ვთქვა, რომ ჯო-  
ჯოხეთი ვნახე, იქ ვიყავი და  
სამოთხეში დავბრუნდი. დანაშაუ-  
ლიც კი არის, სააქაოს პრობლე-  
მები, გასაჭირად ჩათვალო ჯოჯოხ-  
ეთთან შედარებით...

ასე მგონია, ხელმეორედ დავი-  
ბადე. იმდენ ცვლილებას ვამჩნევ  
თავს, მიკვირს კიდევ. სინანულის  
გრძნობაც საოცრად მოზღვავედა  
ჩემში. ყველაზე მეტად კი ის  
მაწუხებს, რომ დაშვებული შეც-  
დომების გამოსწორებას ბევრი დრო  
სჭირდება.

დღევანდელი ჩემი მდგომარეო-  
ბის შესახებ, ბუნებრივია, თქვენც  
გაგიჩნდათ კითხვები – სად არი-  
ან ახლა ჩემი მშობლები, მაქვს  
თუ არა სამსახური და ა.შ.  
გეტყვით: მშობლები მეგობრის ბი-  
ნაში ცხოვრობენ, მე – ნაქირავებ-  
ში. ის მაიმედებს, რომ სამსახური  
არ დაუკარგავთ, ორივე უმაღლესი  
განათლების და საკმაო ავტორი-  
ტეტის მქონე თანამშრომლები არი-  
ან. ვიცი, ჩემ გამო სინდისი ქენ-  
ჯნით, მაგრამ რახან ღმერთმა არ  
გამწირა, ვეცდები, ყველაფერი გამ-  
ოვასწორო. უკვე სამსახურსაც შემ-  
პირდნენ. ისიც ვიცი, მკვდარს არ  
ემშველება, თორემ ცოცხალს, „მკვ-  
დარი“ თუ არ ეთქმის, რაღაც  
სარგებლობის მოტანა მაინც შეუ-  
ძლია. აი, ზომ ხედავთ, თქვენ წინაშე  
იმდენი ვილაპარაკე, ვეღარც მაჩ-  
ერებთ. ღმერთის წინაშე კი ხმის  
ამოღებაც ვერ შევძელი...

სათქმელი, მოსანანიებელი საკ-  
მაოდ მქონდა და მაქვს. არ ვიცი,  
ამდენ ხანს რწმენის გარეშე  
როგორ ვიცხოვრე. კიდევ კარგი,  
თვალი ამეხილა, მაგრამ უფრო  
კარგი იქნებოდა, ეს რწმენა აღრი-  
დანვე ჩასახულიყო ჩემში. ახლა  
კი მიხარია, ეს რომ შევიგნე, მიხ-  
არია, რომ ამიერიდან ჩემი ცხოვ-  
რების გზის გამკვალავი მხოლოდ  
ღმერთი და მისდამი უსახლვრო  
რწმენაა...



ინფორმაციულ-მედიის სფეროში

ეონი დვალის უბის წიგნაკრები:


1. ამერიკელები ტორნადოებს ქალის სახელს არქმევენ. „ბერტა“, „დოროტი“, „ვესიკა“ – ამ „ქალბატონებს“ მრავალი საცხოვრებელი სახლი აქვთ დანგრეული.

2. უინსტონ ჩერჩილის მამა სიფილისით გარდაიცვალა.

3. 14 წლის ვლადიმერ პუტინმა „სეველიელი დალაქი“ 14 დღეში დაწერა.

4. ჟან-ჟაკ რუსო მუსიკის ისტორიაში შევიდა, როგორც კომიკური ოპერის „სოფლის ჯადოქრის“ ავტორი.

5. ამერიკული ტარაკანი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში. მისი მაქსიმალური სიჩქარე წამში 1 მეტრია. P.S. ჩვენი რომ ტარაკანაც არ ვარვართ!



6. „ქოქა-ღუღალ-ღუღა!“ ასე ყვივს ინგლისელი მამალი.

7. ძმები ლუმიერების პირველი ფილმის სენსი 10 წუთს გრძელდებოდა.

8. მიხეილ გორბაჩოვის პრეზიდენტობის დროს საქართველოს ტელევიზია ძალზე ერიდებოდა მარიონეტების თეატრის სპექტაკლის „კოჯრის ტყის სიზმრების“ ჩვენებას. ამ სპექტაკლში მთავარი გმირი მთელი ხმით გაჰყვირის: „ახ, რაია, რაია, ჩემი გულის ცენტრალნაია!“

9. ავსტრალიური ხოჭო-მკვლეელი საკვებს ობობებს ჰპარავს.

10. უოლტერ სკოტის მიერ აღწერილი აშბი დე ლა ზუშის რაინდთა ასპარეზობაზე ოცდაათზე მეტი რაინდი დაიჭრა და დასახინდა. ოთხი რაინდი დაიღუპა. P.S. დაღუპულთაგან ერთ-ერთი საკუთარი აბჯრის სიმსურველემ დაახრჩო.

11. ატლანტა CNN-ის მშობლიური ქალაქია.

12. კორნეი ჩუკოვსკის წიგნი – „От двух до пяти“, პატარა ბავშვების გამონათქვამებისგან შედგება და რუსული ენის ლინგვისტურ ანალიზს შეიცავს. P.S. კორნეი ჩუკოვსკის ნამდვილი გვარი კორნეიჩუკოვია.

13. გერმანიის სადაზღვევო აგენტების ფანტაზიას სახელგანიერია არ აქვს. ბევრ გერმანელს მათი რეკომენდაციით საკუთარი ბავშვები დაზღვეული ჰყავს იმ შემთხვევისგანაც კი, თუ მათ სტუმრად ყოფნისას რაიმე ნივთი გაუტყდათ.

14. პაპი ასე ეძახდნენ პირველ ხანებში ყველა ეპისკოპოსს ბერძნული სიტყვის, „პაპას“.

# წიგნით იცობენ სტალინს

## თენგიზ თხილაკა

1941 წლის შემოდგომა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისათვის. გერმანელები იმდენად მიუახლოვდნენ მოსკოვს, რომ კრემლს საველე ღურბინდებით უყურებდნენ.

საბჭოთა მთავრობა კუიბიშევიში გაიხიზნა. მოსკოვში მხოლოდ სტალინი და რამდენიმე კაცი დარჩა.

მოსკოვი ქუჩებში ბრძოლისათვის ემზადებოდა – იღებოდა ტანკსაწინააღმდეგო ბოქინტები და „ზღარბები“, ეწყობოდა ბარიკადები. სასტიკი სასჯელი გამოცხადდა პანიკორებისათვის. მილიციას და შინაგან საქმეთა სხვა სტრუქტურებს უფლება მიეცათ, სისხლის სამართლის დამნაშავეები, დანაშაულზე წასწრებისას, ადგილზევე დაეხვრიტათ.

ამავე დროს, ქალთა საპარტიო მუშაკებთან რიგები იდგა: მოსკოველი, ფეხმსლბეუნი დიაცები გერმანელი ჯარისკაცების საერთაშორისო სტანდარტებით დახვედრისათვის ემზადებოდნენ.

ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ე.წ. „თვალსაჩინო აგიტაციას“ და ამგვარი აგიტაციის საუკეთესო მაგალითი იყო სამხედრო აღლუმში წითელ მოედანზე, 1941 წლის 7 ნოემბერს. საჭირო იყო მოსკოვის დამცველთა გამხმევა და ყველასათვის იმის ჩვენება, რომ სტალინი მოსკოვშია. თანაც, ჰიტლერმა რამდენჯერმე დაიქანდა, 7 ნოემბერს გერმანული ჯარების აღლუმს მივიღებ წითელ მოედანზეო და ამ ქაღალის გაქარწყლებაც უდიდესი საქმე იყო.

აღარ შეუვდებოდა აღლუმის აღწერას. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ სწორედ 7 ნოემბერს ერთი ძალზე საინტერესო ამბავი მოხდა, რომელიც მისი არაერთი მონაწილის მონათხრობით არის ცნობილი.

აღლუმს კინოქრონიკის რამდენიმე ჯგუფი იღებდა. ამათგან ერთს სამთავრობო ტრიბუნისა და უშუალოდ სტალინის გადაღება ევალებოდა. აღლუმის ცენტრალური ეპიზოდი სტალინის საზეიმო სიტყვა იყო და გადა-



ღებმა ჯგუფმაც, რასაკვირველია, სიტყვა თავიდან ბოლომდე გადაიღო. სიტყვის წარმოთქმისას, თუ მისი დამთავრების შემდეგ (თვითმხილველები სხვადასხვანაირად იხსენებენ), ოპერატორმა და ხმის ოპერატორმა რეჟისორს ჩუმად უთხრეს, რომ სინქრონი არ მიდიოდა, ე.ი. გამოსახულებას კი იღებდნენ, მაგრამ ხმა რაღაც ტექნიკური მიზეზის გამო, არ იწერებოდა.

რეჟისორს ტანში გაცრა, მაგრამ რაღას იზამდა – ამ ამბავს ხომ ვერ დამალავდა! სამთავრობო ტრიბუნაზე, რატომღაც მოსკოვში დარჩენილი კინოსა და კინოფიკაციის სახალხო კომისარი იდგა. რეჟისორმა გადაღების გაგრძელება ბრძანა, თვითონ კი სახკომთან მიიძურწა და ეს თავის მომჭრელი ამბავი აცნობა.

სახკომს რეჟისორზე მეტად გაცრა ტანში, როცა წარმოიდგინა, როგორ აღიარებინებდნენ აბვერთან, სიგურანცასთან, იტალიის, უნგრეთის, ფინეთისა და სლოვაკეთის დაზვერვებთან და ესპანეთის „ციფერი დივიზიის“ სადაზვერვო სამსახურთან კავშირს, მაგრამ ვერც ის იზამდა ვერაფერს – სჯობდა, ახლავე მოეხსენებინა ამხანაგი სტალინისათვის ყველაფერი, იქნებ იმის გენიას რაღაც გამოსავალი მოენახა. თორემ მერე, როცა სტალინი გადაღებული მასალის ნახვას მონიღომებდა და საკუთარ გამოსახულებას ხმის გარეშე იხილავდა... ახლა სახკომი მიიძურწა სტალინთან და ყველაფერი უთხრა.

– კეთილი! – მშვიდად მიუგო სტალინმა. – მაგრამ ახლა ხელახლა ხომ არ ვიტყვი ამ სიტყვას. ღამით

კრემლში განმეორებით გადავიდით.

სახკომმა შვებით ამოისუნთქა და რეჟისორს უთხრა სტალინის პასუხი. რეჟისორსაც გულზე მოეშვა და ჯგუფის წევრები დაამშვიდა, თან საგანგებოდ გააფრთხილა, ღამით ასეთი ამბავი აღარ განმეორდესო.

შუალამისას სახკომმა გადამღები ჯგუფი კრემლის ერთ-ერთ ოთახში მიიყვანა. აქ სახელდახელო დეკორაცია აეგოთ ტრიბუნის ფრაგმენტის სახით. სტალინიც მოვიდა, შედგა დეკორატიულ ტრიბუნაზე და საზეიმო სიტყვა ხელახლა წარმოთქვა (ზეპირად, „შპარგალის“ გარეშე).

მართალია, ერთი შეუსაბამობა მოხდა – მაგზოლუუმის ტრიბუნაზე სტალინს ყურებიანი ქული ეხურა, კრემლის თბილ ოთახში კი უბრალო „ფურაჟკით“ მოვიდა, მაგრამ შენიშვნის მიცემას ვინ გაბედავდა – ისედაც წამხდარი ჰქონდათ საქმე! ასევე დარჩა ეს კადრები – ვისაც კინოქრონიკა უნახავს, იქნებ ყურადღება მიაქცია: საერთო პლანებსა და მხვილ პლანზე – სიტყვის წარმოთქმამდე და წარმოთქმის შემდეგ სტალინს ყურებიანი ქული ახურავს და პირიდან ორთქლი ამოსდის, სიტყვას კი საჩიხიანი ქულით ამბობს და ორთქლსაც არ უშვებს. ამიტომაც იყო, პერესტროიკის დროს ზოგიერთი ექსპერტი, რომ ამტკიცებდა – აღლუმის დროს სტალინი მოსკოვში კი არა, რომელიღაც თბილ მხარეში იყო და იქ გადაიღესო. არა, ბატონო! სტალინს რა ცოდვებიც აქვს, ისიც ეყოფა, აღლუმის დროს კი ნამდვილად მოსკოვში იყო, წითელ მოედანზე, მაგზოლუუმის ტრიბუნაზე!

სტალინი ჯერ კიდევ საზეიმო სიტყვას წარმოთქვამდა განმეორებით, რომ ხმის ოპერატორმა რეჟისორს უჩურჩულა, სინქრონი ისევ არ მიდისო. რეჟისორს გული გაუსკდა, მაგრამ სტალინისათვის სიტყვის შეწყვეტინებას როგორ გაბედავდა!

სტალინმა სიტყვა დაამთავრა და უკვე ოთახიდან გადიოდა, რომ რეჟისორმა მთელი თავისი სიმამაცე მოიკრიბა და დაუძახა:

– ამხანაგო სტალინი!

სტალინი მობრუნდა.

– ამხანაგო სტალინი, მაპატიეთ... მაგრამ რადგან ახლა უკვე დადგმულ სცენას ვიღებთ... კინოში დუბლების გადაღებაა მიღებული.

სტალინმა რეჟისორს ეჭვით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მობრუნდა, ისევ ავიდა დეკორაციაზე და უკვე მესამედ წარმოთქვა თავისი სიტყვა. ამჯერად სინქრონი წავიდა, ხმა ჩაიწერა.

გადამღებმა ჯგუფმა მასალა სასწრაფოდ გაამზადა.

დოკუმენტური ფილმი წითელ მოედანზე ჩატარებული საშვიდნოემბრო სამხედრო აღლუმის შესახებ, რა თქმა უნდა, პირველად სტალინმა ნახა.

ფილმის მსვლელობისას სტალინს არაფერი უთქვამს, დამთავრების შემდეგ კი მოიწონა და შემქმნელი ჯგუფი შეაქო. მხოლოდ ბოლოს, როცა კინემატოგრაფისტები უკვე გადიოდნენ, კინოსა და კინოფიკაციის სახკომი შეაჩერა და ღმილით უთხრა:

– იცით, ისე, ის თქვენი რეჟისორი...

ძალიან გულადი კაცი ყოფილა!

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკედან:

მიხედვით, რაც ქართულად მამას ნიშნავს.

15. პაპად აირჩიოდა ყოველი იტალიელი, რომელიც არ იყო რომელიმე სამეფო გვარის ნათესავი, არ ითვლებოდა სხვა ქვეყნის კარდინალად და სხვა დამსახურებასთან ერთად ჰქონდა წელთა სიმრავლე (55 წლის მაინც უნდა ყოფილიყო). P.S. ბენედიქტე IX პაპად თორმეტი წლისა აირჩიეს.

16. იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ ხშირად შეხვდებით ასეთ ბარბარიზებს: ფფი, სტოლი, შკოლა, კარანდაში, სტაქნი, მელი (ჯარჯი), კრავატი.

17. „ეთერი ბაირაღების“ ერთ-ერთ პერსონაჟს, კაკო დევიდრიანს – ლიზონას, ბავშვობაში სიციფემდე უყვარდა ცივი კატლეთი თეთრ პურთან ერთად.

18. ვეერესტზე ასვლისთვის მერაბ საბაზი ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული. P.S. მისი ორი წლის ქალიშვილი, სოფო საბაზი, შეუესვენებლად ადის მერვე სართულზე.

19. პოლ მაკარტნი ოცდაათ მილიონიანი ქონების პატრონია.

20. „ვეფხისტყაოსანი“ უკრაინულად ნიკოლა ბაჟანმა თარგმნა.

21. ინოკენტი VII-ს ხალხი „ნამდვილ მამას“ (PAPA-ს) ეძახდა. P.S. მას თექვსმეტი შვილი ჰყავდა. P.P.S. ამ პაპის შესახებ აკაკი გელოვანმა ენამოსწრებულად შენიშნა:

„ის გალობდა სულთათნას, მეგობრობდა სულთათნაც“.

22. სიარულის უნარის დაკარგვას აბაზია ჰქვია.

23. ნიურნბერგის პროცესზე განსასჯელებს 27 ადვოკატი იცავდა.

24. რომში პუბლიუს ვალერიუსს, რესპუბლიკის დამაარსებელს, ხალხი პოპლიკოლას (ხალხის მეგობარს) ეძახდა.

25. ერთხელ ალექსი ჭინჭარაულმა რუსთაველის გამზირზე ჩრდილოელ მანდილოსანთან ერთად მოსიერნე გურამ დონიანაშვილს მოჰკრა თვალი და მაშინვე გაუღეკა:

„ნა პროსპექტე რუსტაველი, ვოზლე კაფერესტორანა გულიალი უტრამ რანა დონიანა ი დონ ივანა“.



# ტრაგედია ბედობის დღეს: დედა-შვილი საკუთარ ბინაში მოკლული იპოვეს

## მეზი სანავა

ახალი წლის მეორე დღეს, მთელი თბილისი შემზარავმა ამბავმა შეძრა. 2 იანვარს, დიდუბის რაიონში მცხოვრები დედა-შვილი საკუთარ ბინაში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს. სამართალდამცავთა თქმით, მკვლეელი მსხვერპლთა ახლო ნათესავი აღმოჩნდა.

49 წლის მანანა ეგრიშელაშვილი და მისი ვაჟი, 26 წლის გიორგი (გოგლიკო) ხერკილაძე 2 იანვრის ღამით გიორგის ბიძაშვილმა – 20 წლის პაატა ხერკილაძემ მაკაროვის სისტემის იარაღიდან გასროლით მოკლა. მკვლელობა ერთი კვირის შემდეგ გაიხსნა. პაატა ხერკილაძე, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღის მანძილზე ჩადენილ დანაშაულს არ ამხელდა. თუმცა, როგორც ჩანს, გამოძიება რაღაცით დააეჭვა, რადგან 9 იანვარს მაინც დააკავეს.

დაპატიმრებულმა პაატა ხერკილაძემ დანაშაული აღიარა. მისი მონათხრობის მიხედვით, მკვლელობა წინასწარგანზრახული არ იყო:

2 იანვარს, ღამით, დაახლოებით 11-დან 12 საათამდე, პაატა ხერკილაძე თავის ბიძაშვილთან – გიორგი ხერკილაძესთან სახლში მივიდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ გიორგიმ შეამჩნია, რომ პაატა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და უსაყვედურა. რჩევა-დარიგება მალე ხმამაღალ შელაპარაკებაში გადაიზარდა. ამან პაატა ძალიან გააღიზიანა, ბიძაშვილის მხრიდან დარღვევა და საყვედური არ ესაიძვნა, ეს აგრძობინა კიდეც და ჩხუბი დაუწყო. ზედმეტად აღზნებულმა პაატამ მაკაროვის სისტემის იარაღი (რომელიც რატომღაც თან ჰქონდა) ამოიღო და ბიძაშვილს ორჯერ ესროლა. მიუხედავად იმისა, რომ იარაღს ხმის დამხშობიც ჰქონდა, მეორე ოთახში მყოფმა გიორგის დედამ – მანანა ეგრიშელაშვილმა გასროლის ხმა მაინც გაიგონა და შეშინებული გამოვარდა. ძირს დავარდნილი შვილი რომ დაინახა, განწირული ხმით იკივლა. სწორედ ამ დროს პაატა ხერკილაძემ ორი ტყვია თავის ბიძისა და ცხელიც ესროლა...

სასიკვდილოდ დაჭრილი დედა-შვილი ადგილზევე გარდაიცვალა. მკვლეელი კი შინ წავიდა. თავისი ოჯახის წევრებისთვის მომხდარის შესახებ მას არაფერი უთქვამს.

პაატა ხერკილაძის ამ მოულოდნელმა

აღიარებამ ძალზედ უცნაურად გაიჟღერა მას შემდეგ, რაც იგი მოკლულ ბიძისა და ბიძაშვილს, მეზობლების თქმით, საკმაოდ ბუნებრივად ჭირისუფლობდა. მიუხედავად ამისა, დიდუბის რაიონის პროკურატურაში, სადაც აღნიშნული მკვლელობის გამოძიება მიმდინარეობს, სამართალდამცავები ძირითადად, სწორედ, ხერკილაძის ამ ჩვენებას ეყრდნობიან. თუმცა, არსებობს ბევრი სხვა ვერსია, რომელიც მნიშვნელობას მოკლებული ნამდვილად არ არის.

ერთ-ერთი ვერსიით, 2 იანვარს ჩადენილი დანაშაული თბილისში კარგად ცნობილი, კანონიერი ქურდის – „საულას“ მკვლელობას უკავშირდება. „საულა“, იგივე ტარიელ ხერკილაძე, მოკლულების – მანანა ეგრიშელაშვილის ქმარი და გიორგი ხერკილაძის მამა გახლდათ. იგი 1995 წელს თბილისში, სასტუმრო „საქართველოში“ სავაჭრო ცენტრის – „მორკინალის“ დირექტორმა ჯონი გივანმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. თუმცა, ცნობილი ბიზნესმენი ამისთვის არავის დაუჭერია – პროკურატურამ მას თავდაცვის მიზნით, აუცილებელი მოგერიების დროს ჩადენილი მკვლელობის მუხლი შეუფარდა.

ამ ორი მკვლელობის შესაძლო კავშირზე უფრო მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ცნობილი გახდა, რომ იმავე დღეს – 2 იანვარს, თბილისში, ნოქალაქევის ქუჩაზე მეორე გავლენიანი ქურდი – არსენ ედიშერაშვილი მოკლეს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელიც მაკაროვის სისტემის იარაღით გახლდათ დაცხრილული... აღნიშნული ვერსიით, ყველა ეს მკვლელობა კონკრეტული პირის ან ჯგუფის მიერ



შურისძიების მოტივით არის ჩადენილი. ვერსიის ავტორები, პაატა ხერკილაძეს ამ დონის გავლენიან პირად არ მიიჩნევენ. თუმცა, ეს ვარაუდი პროკურატურაში თავად ხერკილაძის ჩვენებებით ქარწყლდება...

მოკლულთა ნაცნობებისა და მეზობლების თქმით, „საულას“ მკვლელობის შემდეგ დედა-შვილი განსაკუთრებით ფრთხილობდა, იმდენად, რომ კარს მხოლოდ კარგად ნაცნობ, ახლობელ ადამიანებს უღებდნენ.

იმავე მეზობლების თქმით, მანანა და პაატა ხერკილაძეები ყოველმხრივ დადებითად ხასიათდებოდნენ. სამართალდამცავების ინფორმაციით, გიორგი ხერკილაძის ცხოვრება და საქმიანობა „შავ სამყაროს“ არ უკავშირდებოდა და, აქედან გამომდინარე, მისი მკვლელობა ამ მოტივით რეალურ საფუძველს მოკლებულია. ასევე ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, იგი ლიქიორის ქარხნის მოწილე გახლდათ, თუმცა დანაშაული არც კომერციულ საქმეებში უთანხმოებას ან ამ მიზეზით გაჩენილ მტრებს უკავშირდება.

დიდუბის რაიონის პროკურორმა, ლენა კაპანაძემ დედა-შვილ ხერკილაძეებისა და „საულას“ მკვლელობების ურთიერთკავშირი ჩვენთან საუბრისას არარეალურად მიიჩნია.

### ლენა კაპანაძე:

– ამ ორ მკვლელობას ერთმანეთთან კავშირი, არა მგონია, ჰქონდეს. ჯერჯერობით ტარიელ ხერკილაძის მკვლელობის საქმე ქალაქის პროკურატურიდან არ გამოგვითხოვია და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს ვერსია არარეალურად მიმაჩნია. დამნაშავე უკვე დაკავებულია და იგი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. პაატა ხერკილაძე ოპერატიული გზებით დავაკავეთ. იმას, რომ მკვლელობა ახლობლის ჩადენილი იყო, თავიდანვე ვეჭვობდით, რადგან კარი გასაღებით იყო გაღებული. მიგვხვდით, რომ კარი შიგნიდან გაუღეს ახლობელს – ისინი უცნობებს შინ არ უშვებდნენ. ეს ვარაუდი დადასტურდა კიდეც. სხვათა შორის, პაატა ხერკილაძე თავიდანვე საეჭვოდ იქცეოდა. მკვლელობის მეორე დღეს, 3 იანვარს, როცა გვამების დათვალიერებას ვაწარმოებდით, იგი მოსული გახლდათ და თავი ოჯახის მეგობრად წარმოგვიდგინა. თანაც, მომხდარის შესახებ, არაბუნებრივად შეწუხებული ლაპარაკობდა.

1980 წელს დაბადებულ პაატა ხერკილაძეს ბაღდათის რაიონის პოლიცია დაემებდა. მას ადამიანის სხეულის დაზიანებასა და იარაღის უკანონოდ ტარებაში ედება ბრალი. გარდა ამისა, სამართალდამცავთა თქმით, ხერკილაძე ნარკოტიკული ნივთიერებების აქტიური მომხმარებელიც არის.

# რა ელის პოლიციელს ეკვლელობისთვის?

21 წლის ვახტანგ თიგიშვილის ძეგვია საპარშრუტო ტაქსის მძღოლი იხსენიება

## მეგი სანავა

ვახტანგ თიგიშვილის საქმეს, ამჟამად, უზენაეს სასამართლოში განიხილავენ. განსასჯელი სამარშრუტო ტაქსის მძღოლის, 39 წლის ჯიმშერ ჯანჯულიას განზრახ მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს და დასძენს, რომ იგი მას გაუფრთხილებლობის გამო შემოაკვდა. თიგიშვილი ასევე არ ადასტურებს უკვე ნახსენები გოგონების — დები ნატო და თამარ ლორთქიფანიძეების ცეცხლსასროლი იარაღით დაშინებასა და მათი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას. თუმცა, საქმის მასალებში არსებული მოწმეთა ჩვენებები საპირისპიროს ცხადყოფს.

მკვლელობის დღეს, 28 მაისს, დილის 10 საათზე, თიგიშვილმა სამსახურში, თათბირის შემდეგ თავის ცეცხლსასროლი იარაღში ჩადებული ტყვიები თანამშრომელს, გვარად აბუანდაძეს გადასცა, თავად კი მხოლოდ ერთი დაიტოვა. ღამით, პოლიციაში მორიგეობა აბუანდაძეს უწევდა. სწორედ, ამ მიზნით გადასცა თიგიშვილმა მას ტყვიები. დანარჩენ თანამშრომელთა ახსნა-განმარტებით, იმ პერიოდში აღნიშნულ სამმართველოში ტყვია-

2000 წლის 28 მაისს, თბილისში, მეტრო „სარაჯიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, საღამოს 11 საათისთვის ქუჩაში ატეხილი ჩხუბი სისხლის ღვრით დასრულდა. პროკურატურის ინფორმაციით, დამნაშავე, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღით ჯერ ორი გოგონა დააშინა, მერე კი სამარშრუტო ტაქსის მძღოლი მოკლა — ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომელი, 21 წლის ვახტანგ თიგიშვილია.

სახლში, წვეულებაზე მივიდა. ცოტა ხანში მან ოჯახური პრობლემები მოიმიზეზა და, რამდენიმე ჭიკა ღვინის დაღვევის შემდეგ, მეგობრის სახლი დატოვა და მეტრო „სარაჯიშვილის“ მიმართულებით წავიდა. იქვე, სიგარეტის გამყიდველი გოგონა — ნატო ლორთქიფანიძე შეამჩნია, მასთან მივიდა და გამოლაპარაკება სცადა.

**ნატო ლორთქიფანიძის ჩვენებიდან:**

„... უცნობი ახალგაზრდა მომიახ-



ჯიმშერ ჯანჯულია

რომ ჩემი ნათესავი ხარ და თავს დაგანებებო. ამასობაში, თიგიშვილიც მოგვიახლოვდა — თურმე გამომყოლია. ხელი გადამხვია, მეორეთი კი იარაღი ამოიღო, ჯერ ჰაერში, მერე კი სამარშრუტო ტაქსის მიმართულებით, კარისკენ გაისროლა. მძღოლმა მანქანა დაძრა და წავიდა“.

შორიასლოდან მომავალმა თამარ ლორთქიფანიძემ თავისი და და უცხო პიროვნება შეამჩნია. მიხვდა, რომ ნატოს რაღაც უსიამოვნება შეემთხვა და მათკენ გაემართა. მან დის წაყვანა სცადა, მაგრამ, მათივე თქმით, თიგიშვილმა იარაღი მათაც დაუმიზნა, სცადა გასროლა, სასხლეტს ხელი გამოჰკრა კიდეც, თუმცა პისტოლეტი ცარიელი აღმოჩნდა.

გოგონების ყვირილზე, იქვე მომუშავე, დები ლორთქიფანიძეების ნაცნობი ორი მამაკაცი — ანზორ ფეტვიაშვილი და ეგნატე ნახუციშვილი მათკენ გაემართა. თიგიშვილმა მისკენ მომავალი კაცები რომ დაინახა, გოგონებს თავი დაანება და გაიქცა. ამ დროს მას ჟილეტი დაუვარდა. ნახუციშვილმა და ფეტვიაშვილმა ჟილეტში მისი საბუთები იპოვეს, საიდანაც შეიტყვეს, რომ პოლიციის თანამშრომელი იყო.

ლორთქიფანიძეების თქმით, ცოტა ხანში, მეტრო „სარაჯიშვილის“ მახლობლად, გზაჯვარედინთან მათ გაჩერებული სამარშრუტო ტაქსი შენიშნეს, რომლის ირგვლივ ბევრი ხალხი შეკრებილიყო. აღმოჩნდა, რომ მძღოლი — ჯიმშერ ჯანჯულია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად გარ-

**„ხელი გადამხვია, მეორეთი კი იარაღი ამოიღო, ჯერ ჰაერში, მერე კი სამარშრუტო ტაქსის მიმართულებით, კარისკენ გაისროლა. მძღოლმა მანქანა დაძრა და წავიდა“.**

წამლის დეფიციტი იყო და უსახსრობის გამო, პოლიციელებს ვერ ურიგებდნენ, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, ტყვიები თავად შეეძინათ. თუმცა, ხშირად ვერც ყიდვას ახერხებდნენ და ერთმანეთს სთხოვდნენ. თიგიშვილმაც აბუანდაძეს სწორედ ამის გამო გადასცა ტყვიები.

იმავ დღეს, საღამოს 7-სა და 8 საათს შორის, ვახტანგ თიგიშვილი გლდანის რაიონში მცხოვრებ მეგობართან, შს სამინისტროს თანამშრომელ ავთანდილ ნემსიაშვილთან

ლოვდა (როგორც მოგვიანებით დადგინდა — ვახტანგ თიგიშვილი), სახელი მკითხა, ჩემთან გამოლაპარაკება უნდოდა. შევატყვე, რომ მთვრალი იყო და ვთხოვე, წასულიყო. მიუხედავად ამისა, დაჟინებით მოითხოვდა, დავლაპარაკებოდი და გავცნობოდი. სწორედ ამ დროს ჩვენ წინ სამარშრუტო ტაქსი გაჩერდა. მძღოლმა, რომელსაც არ ვიცნობდი, მანიშნა, მასთან მივსულიყავი. როცა მივუახლოვდი, მან მანქანის კარი გამოაღო და მითხრა — მივხვდი, რომ ეს ბიჭი გაწუხებს, ნუ გეშინია, თქვი,

დაცვლილიყო. იგი სწორედ ის მძლო-ლი გახლდათ, რომელმაც ნახევარი საათის წინ ნატო ლორთქიფანიძეს დახმარება შესთავაზა. როგორც გაირკვა, ვახტანგ თიგიშვილის მიერ ნასროლმა ტყვიამ ჯანჯუღია სასიკვდილოდ დაჭრა. პოლიციამ დამნაშავე იმ დღესვე აიყვანა.

აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში ფიგურირებს მეორე ვერსიაც, რომელიც თავად განსასჯელმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა წამოაყენეს. სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას თიგიშვილმა 2000 წლის 28 მაისს სამარშრუტო ტაქსისა და ჯიმშერ ჯანჯუღიას ნახვის ფაქტი საერთოდ უარყო.

**ვახტანგ თიგიშვილი, განსასჯელი:**

„ავთო ნემსიაშვილის სახლიდან წამოსვლის შემდეგ ცოტა ხანს ქუჩაში ვიდექი, ტრანსპორტს ველოდებოდი. რადგან სამარშრუტო ტაქსები აღარ გამოჩნდა, გადავწყვიტე, მეტრო „სარაჯიშვილამდე“ ფეხით ჩავსულიყავი. გზაზე სიგარეტის გამყიდველი გოგონა შევნიშნე, რომელიც სახით მეცნო. ვიფიქრე, იქნებ ნაცნობია, მივალ, გამოვეცნაურები-მეთქი. მივუახლოვდი და სახელი ვკითხე. სწორედ ამ დროს ვიღაც კაცები მოვიდნენ და ჩხუბი დამიწყეს – გოგონას თავი დაანებე და აქედან წადიო. მე შევეცადე მათთვის ამეხსნა, რომ გოგონასთვის ცუდი არაფერი მიკადრებია და მასთან მხოლოდ გამოცნაურება მინდოდა. მათ ჩხუბი მაინც განაგრძეს, ერთერთმა ხელი მკრა, რის გამოც ძირს დავეცი. ძირს დაცემულს კი ცემა დამიწყეს. მე მათთვის არ მითქვამს, რომ პოლიციელი ვიყავი, თუმცა იარაღი ამოვიღე, რის შემდეგაც ისინი გაიქცნენ. ვიფიქრე, შესაძლოა დაბრუნდნენ-მეთქი და გადავწყვიტე პისტოლეტში ჯიბეში ჩატოვებული ერთი ცალი ტყვიაც ამომეღო, რადგან არ მინდოდა, რამე მომხდარიყო. ვცადე, იარაღის ზედა ნაწილი გადამეწია, როცა მოულოდნელად ტყვია გავარდა, არ ვიცი როგორ... პისტოლეტი ჩავიდე და ქუჩის მეორე მხარეს, ისევ გოგონებთან მივედი. მინდოდა, მათთვის იმ პირთა ვინაობა მეკითხა. ამ დროს ვიღაც ორი მამაკაცი მოვიდა ჩემთან, ერთმა ხელი გადამიგრიხა, მეორემ დაწყნარება დამიწყო. მალე პოლიციამაც ამიყვანა. სამარშრუტო ტაქსის მძღოლის სიკვდილის შესახებ პოლიციელებ-

ისგან შევიტყვე...“

თიგიშვილი ამტკიცებს, რომ ჯიმშერ ჯანჯუღია პისტოლეტიდან მოულოდნელად გავარდნილმა ტყვიამ იმსხვერპლა. „ის მე განზრახ არ მომიკლავს“ – განაცხადა მან სასამართლო პროცესზე. რაც შეეხება დები ლორთქიფანიძეების ჩვენებას, განსასჯელი მას მთლიანად უარყოფს, გარდა იმ ნაწილისა, სადაც ნათქვამია, რომ იგი ერთ-ერთ მათგანთან – ნატოსთან გამოსალაპარაკებლად მივიდა.

„ლორთქიფანიძეებს თავიანთი ვერსიის განვითარება იმიტომ აწყობთ, რომ იმ ორი პიროვნების დასახელება, რომელთაც თიგიშვილი სცემეს, არ სურთ. ცხადია, დები მათ ძალიან კარგად იცნობენ, ახლა კი მათი საქმეში გარევა არ უნდათ და ხელს აფარებენ“ – ასეთია განსასჯელის მხარის ვარაუდი.

ცემის ფაქტის დასადასტურებლად ადვოკატები – როსტიაშვილი და ფრანგიშვილი თიგიშვილზე 28 მაისს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას იშველიებენ, სადაც ნათქვამია, რომ მას სხეულზე „რადაც ბლაგვი საგნის ზემოქმედებით მიყენებული სისხლნაჟღერები და ნაჭდევი ალენიშნება, რომლებიც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს და არ განეკუთვნება სიცოცხლისთვის საშიშ სხეულის დაზიანებებს“. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ექსპერტიზის დასკვნით, დაზარალებული ლორთქიფანიძეების ჩვენების სრულიად გაბათილება მაინც უსაფუძვლო იქნება, რადგან არ არის გამორიცხული, თიგიშვილი იმ დღეს ნამდვილად ეცემათ, მაგრამ ეს მომხდარიყო ნატო ლორთქიფანიძესთან გამოლაპარაკებამდე. იმდენად, რამდენადაც წვეულებიდან წამოსვლის შემდეგ (დაახლოებით 19.30-20.00) სიგარეტის გამყიდველ გოგონასთან მისვლამდე (დაახლოებით 22.30-23.00), საკმაო დრო, სულ მცირე – საათ-ნახევარი მაინც იყო გასული. ამ დროის მანძილზე ნასვამ თიგიშვილს ადვილად შეიძლებოდა, ვინმესთან ჩხუბი მოსვლოდა. დებ ლორთქიფანიძეებს, ისევე როგორც მოწმე ფეტვიაშვილსა და ნახუციშვილს, შესაძლოა, სიბნელეში, რასაც თან დაბნეულობა და დაძაბულობა ერთვოდა, თიგიშვილზე ცემის კვალი ვერც შეენიშნათ.

განსასჯელი ირწმუნება, რომ ის მხოლოდ ცოტათი იყო ნასვამი და საკუთარ მოქმედებებს აკონტროლებდა, თუმ-

ცა ფეტვიაშვილისა და ნახუციშვილის განცხადებით, „თიგიშვილი სიმთვრალისგან ფეხზე ძლივს იდგა“.

სასამართლო პროცესი თითქმის ორი თვეა მიმდინარეობს. როგორც ამბობენ, საქმის განხილვა კიდევ კარგა ხანს გასტანს. დაზარალებულები ამაში განსასჯელის მხარეს და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატებს ადანაშაულებენ. მათი თქმით, როსტიაშვილი და ფრანგიშვილი ხელოვნურად აჭიანურებენ პროცესს, რათა წინა პლანზე თავიანთი ვერსია წამოსწიონ. ამავე აზრისაა სახელმწიფო ბრალმძებელიც: „ადვოკატმა ფრანგიშვილმა განაცხადა, რომ თიგიშვილმა ჯიმშერ ჯანჯუღიას მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. ამით მან თავის დასაცავს უფრო მძიმე მუხლი წაუყენა, ვიდრე გაუფრთხილებლობის დროს ჩადენილი მკვლელობა ითვალისწინებს და რასაც თიგიშვილი თავად აღიარებს. ვფიქრობ, ფრანგიშვილმა როსტიაშვილთან შეთანხმებით ეს სპეციალურად გააკეთა, რათა სასამართლო გამოძიებაში საქმის დაბრუნების აუცილებლობა დამდგარიყო“ – დასძინა მან ჩვენთან საუბრისას.

მოსამართლე ილიაშვილმა საქმე სასამართლო გამოძიებაში დააბრუნა. განსასჯელის ადვოკატები მის გადაწყვეტილებას სამართლიანად მიიჩნევენ, რადგან თვლიან, რომ მოწმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებში ბევრი წინააღმდეგობაა, რასაც გარკვევა სჭირდება. თუ რას გაარკვევენ ხელახალი გამოძიებისას, მალე შევიტყობთ, სრულყოფილი ანალიზის გაკეთება ალბათ მაშინ უფრო შესაძლებელი გახდება. ■





ლელა ჯიყაშვილი

ნოდარ მანაგაძესთან ურთიერთობისას ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ადრეც იცნობდი. საუბარიც ძალიან ჩვეულებრივი გამოდის, ყოველგვარი პათეტიკისა და „ცრუ“ აღტაცებების გარეშე. რამდენჯერაც მისი პიროვნების ირგვლივ ვცადე სიტყვის ჩამოგდება, იმდენჯერ მორიდებით „განმიდგა“ და თავის საყვარელ კინო-ფილმებს უგაფარა თავი.

სისხლსა და ხორცში გამჟღარო მოკრძალებულობა, როგორც ჩანს, ფილმების – „საერთო კედელი“, „ზამთრის დღე“, „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“, „ამაღლება“, „კაშხალი მთაში“, „გაცოცხლებული ლეგენდები“, „ეი, მესტრო“, „ნოე“, „ნათლისღება“, „ანგელოზის გადაფრენა“ რეჟისორს სხვაგვარი მოქცევის საშუალებას არ აძლევდა. მაგრამ კინო და ნოდარ მანაგაძე ნამდვილად განუყოფელია, ამიტომ ხელოვნება თითქმის სრულყოფილად შეტყვევებს მის შესახებ, მით უმეტეს, რომ შინაც – სახელოვანი მამის შოთა მანაგაძის ოჯახშიც პირადი ცხოვრება კინოს სამყაროში ცხოვრებას ნიშნავდა.

– ბავშვობიდან კინოს გარემოში ვიზრდებოდი. თავიდან გაუცნობიერებლად მიმჩნეოდა, რომ მეც ამ გზას უნდა გავყოლოდი, თუმცა კინორეჟისორობა რას ნიშნავდა, არც კი მესმოდა... ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. მხოლოდ I კლასის პირველ მეოთხედში მქონდა „ხუთები“. იმის შემდეგ ფრიადოსანი აღარ ვყოფილვარ. IV კლასში კი რამდენჯერმე ავად გავხდი, ასე ვთქვათ, ჩამოვრჩი, ქიმიკაში, ფიზიკაში და მათემატიკაში აღარც შემიწუნებია თავი, რომ პროგრამას დავწეოდი. მიუხედავად ამისა, ყოველთვის მეკითხებოდნენ: „მანაგაძე, თანახმა ხართ ოთხიანზე?“ ეტყობა, ასეთი კარგი შეხედულება ჰქონდათ ჩემზე. კლასელებს ეცინებოდათ, ამ შეკითხვას რომ მისვამდნენ ხოლმე. ჩემი განათლების საკითხში არც დედა ჩარეულა, არც მამა, არც რეპეტიტორი ჩაურევიათ. მამა გეოლოგობას მირჩევდა, საინტერესო საბუშაო გეჟნება, იმოგზაურებ, საქართველოს შემოივლიო. კინოხელოვნება ძალიან მძიმე შრომას მოითხოვსო, მაგრამ რაკი დავიფინე, ხელი არ შეუშლია. თეატრალურ ინსტიტუტ-



ში ჩავაბარე. ძალიან საინტერესო სტუდენტური წლები მქონდა, დღე და ღამე ინსტიტუტში ვიყავით, ერთმანეთს ვეზმარებოდით, სპექტაკლებს ვდგამდით, ვმონაწილეობდით კიდევ. სასწავლო ნაწილის გამგე გვყავდა – საშა კიკნაძე, იმის არეალში ვიყავით: ვერც ლექციას გაავაცდენდით, ვერც დავიგვიანებდით...

უსაზღვროდ დიდ პატივს ვცემ თეატრს, მაგრამ მე მაინც კინოსკენ მიმიწევდა გული. პირველი 8 წელი მამასთან ერთად ვიმუშავე. „ხევსურული ბალადისა“ და „ავგარცმული კუნძულის“ გადაღებისას, მეორე რეჟისორი ვიყავი... მერე თანადამდგმელად ვიმუშავე „მოლოდინზე“, „წუთისოფელზე“... მამაჩემს არანაირი თანადამდგმელი არ სჭირდებოდა, არასოდეს არავისთან არ წავიდოდა ამ კომპრომისზე, მაგრამ ჩემი მომავლისათვის იზრუნა ასე, ვაზ გამიხსნა. მაშინ გაცილებით რთული იყო პირველი ფილმის გადაღება, ვიდრე ახლა. თვითონ მამა 56 წლის იყო, როცა ფილმების სისტემატური გადაღება დაიწყო.

– როგორი იყო თქვენი და ბატონი შოთას — ორი კინორეჟისორის ურთიერთობა? ძალიან მკაცრი?

– სახლშიც და სამსახურშიც კინოს ირგვლივ ვცხოვრობდით. ერთმანეთს ვუკითხავდით, ვაჩვენებდით მასალას. ამას არასოდეს ჰქონია პედანტური ხასიათი, თავისუფალი ურთიერთობა გვქონდა.

– ძალიან რთულია კინორეჟისორობა?

– რთულია... უამრავ ადამიანთან გიხდება ურთიერთობა. ეს დიდი წარმოებაა: ლაბორატორიაც არის საჭირო, ტექნიკაც. რეჟისორმა სწორი ორგანიზება უნდა გაუკეთოს ყველაფერს. მართლ ნიჭიერება არ კმარა. ჩანაფიქრის რეალიზაცია მეორე ხელოვნებაა. მოთმინებაა საჭირო, ძალა და ნებისყოფა.

– როცა რენუარს პკითხეს, რომელი კომპონენტია ხელოვნებაში უპირატესი: „რა“ თუ „როგორ“, უპასუხა — მთავარია, „ვინ“. კინოშიც ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ თვისებებს.

– კინო ხომ შენი ცხოვრების ნაწილია, შენი ხედვაა. იქ აუცილებლად ჩანს ხასიათი, ტემპერამენტი, სიკეთე თუ ბოროტება, შენდა უნებურად, ყოველთვის იმას ეძებ, რაც შენს ბუნებაშია. რომც

არ ეძებო და გინდოდეს, გაექცე, შენს თავს ვერ გაექცევი. საბოლოოდ ის გამოდის, რაც შენ ხარ... საერთოდ, მე დიდ ყურადღებას ვაქცევ პიროვნებას. შეიძლება რაღაც მივუტევეო კიდეც არაპროფესიონალიზმში, მაგრამ მთავარია, ადამიანი იყოს დადებითი. ეკრანზე ყოველთვის ჩანს ეს პიროვნული მომენტი.

**— თქვენ მრისხანე რეჟისორი ბრძანდებით?**

— ბოლო 10-15 წლის განმავლობაში თითქმის არ მაქვს ე.წ. მრისხანების თამაშის სურვილი. არ ვოვლი სწორად, როცა ერთი ადამიანი ყველაფრის უფლებას ანიჭებს თავს. როცა გვჯერა, რომ ყველაფრის უფლება გაქვს — ყვირილის, ლანძღვა-გინების. ახალგაზრდობაში უფრო მქონდა ასეთი „ამოვარდნები“, ზოგჯერ უფრო მკაცრი ვიყავი... არა მგონია, რომ ამის გამო უფრო მეტს მივალწიე. ჩემ გარშემო ვისაც უშუშავია, ყველას სურდა ფილმი კარგი გამოსულიყო და თუ უნებურად შეეშალათ რაიმე, ხომ ვერ ვუყვირებ... იგივე, შეიძლება, მეც მომივიდეს... ეს არ ნიშნავს, რომ მე მშვიდად ვუყურებ ყველაფერს. მაგრამ თავი და ტვინი იმისთვის მაქვს, რომ საკუთარი მოქმედება ვარეგულირო, უბრალოდ, არ ვაწყენინო ვინმეს.

**— ამბობენ, კინო მარტო-ბისგან იწყება...**

— ამას ბევრი ამბობს, მაგალითად, ანდრეი ტარკოვსკი... კინოში, ამ „ქარხანაში“ უნდა მოახერხო მარტო იყო, შენი აზრი ყველაფრისაგან დაიცვა და გამოხ-

**გადასაღებ მოედანზე**

ატო ის, რისი თქმაც გინდა. ამაში, რასაკვირველია, შემოქმედი მარტო უნდა იყო.

**— არსებობს სხვა, ტკივილიანი მარტობაც...**

— მხოლოდ რეალურ ცხოვრებაზე არ შეიძლება იფიქრო. შენთან ერთად არის ყველა, ვინც გიყვარს. არსებობს გონი და ირეალური ცხოვრებაც, მე ძალიან გამიჭირდა უმამობა. მამა ჩემთვის ყველაფერი იყო. უცებ, გამომეცალა ხელიდან ადამიანი, რომელთან ერთადაც ვსუნთქავდი. ეს ცხოვრებაა, რას იზამ... მე მაინც ყოველთვის ვესაუბრები მას ჩემს გონებაში კინოს, ცხოვრების თაობაზე. ისიც მპასუხობს... დიალოგს ვაგებ ხოლმე...

მასსოვს, „კოტორაშვილის“ პრემიერაზე და განხილვაზე მამა არ წამოვიდა, არ ვარ კარგად... ძალიან ნერვიულობდა.

მეც, კინოთეატრში რომ დავდიოდი, როცა მამაჩემის ფილმები გადიოდა, საშინლად განვიცდიდი. ჩვენი მაყურებელი ცოტა თავისუფალია და ბევრის უფლებას აძლევს თავს დარბაზში. მე ისე მიჭირდა ამის ატანა... ხან გავიდოდი, ხან შემოვიდოდი...

საოცარი ბუნებისმოყვარე იყო მამაჩემი... გადაღების დროს ობიექტებს რომ მოამზადებდნენ, აუცილებლად მართლა დათესავდა რამეს: ლობოს, კარტოფილს... რაც კარმიდამოს სჭირდებოდა, ყველაფერს აკეთებდა. ამოწმებდა, ყოველთვის მოეწონებოდა ნარგავებისთვის, მოერწყათ... თვითონაც, ხესაც კი შემოუბარავს არ დატოვებდა გადასაღებ მოედანზე, როცა წასვლის დრო დადგებოდა. ორბეთისაკენ, ერთხელ, წყაროც კი მონახა და გამოიყვანა.

**— თქვენც ასე ძლიერ გიყვართ ბუნება?**

— მიყვარს. განსაკუთრებით მთა მომწონს. ხშირად გადაღებიდან ფეხით წამოვსულვარ, მიუხედავად სიშორისა. როგორც ბედნიერ დროს, სულ ისე ვინსუნებ პერიოდს, როცა ხე-

სურეთში ვიღებდი, სულ ვცდილობდი, კადრებით გადმომეცა ბუნებისა და ადამიანის ერთობა, ბუნების სიდიადე... მცენარეების გაშენებისა და მოვლის საშუალება, მართალია არ მაქვს, რაკი თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი სახლის წინ 2-3-ჯერ დავრგე ვაზი და სხვა ხეები. ვერაფრით ვერ გავახარე. ბავშვები ტეხდნენ. რატომღაც. ისიც არ მინდოდა, რომ ბარიკადები გამეკეთებინა ნარგავების გარშემო, „თოფიან კაცს“ ხომ არ დავაყენებდი! 2-3 წელი ვიწვალე ასე და დავანებე თავი... ახლა სტუდიაში, ჩემი ოთახის ფანჯარაზე გადმოვიყვანე ვაზი, წელს პირველი მოსავალიც მქონდა...

**— უკვე გადაღებული ფილმების მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— ბევრი ჩანაფიქრი, ბევრი განსახორციელებელი, ბევრი საჭოჭმანო რამ რჩება. რაღაც ვერ გააკეთე — ეს ფილმის არშემდგარი ეპიზოდი იქნება, თუ სხვა რამ... მაგრამ მე გარკვეულწილად იმ ძველი ფილმებითაც ვცხოვრობ, რომლებიც კარგა ხანია დავამთავრე, მათ თავისი გზა და ცხოვრება აქვთ...

**— ყველაზე ხშირად მაინც „კოტორაშვილის ამბავს“ უჩვენებენ ტელევიზიით.**

— იმდენად ხშირად აჩვენებენ, რომ ზოგჯერ ნერვებიც მეშლება. არ შეიძლება ასე ხშირად სურათის ჩვენება. მე ვგრძნობ, ყველაფერი ეს შემთხვევით ხასიათს ატარებს. დრო უნდათ შეავსონ და უშვებენ ამ ფილმს. ისე, ეს, ფაქტობრივად, ჩემი პირველი დიდი სურათია და, სხვათა შორის, ხშირად წამდგომია ავტონისპექტორებთან ურთიერთობაში.

**— თქვენს შემოქმედებაში პირველი პერიოდი თითქოს უფრო „ნათელია“, ბოლო ფილმები მძიმე, მუქი ფერების ასოციაციას იწვევს.**

— არ ვიცი... ისე თუკი რაიმეს აკეთებ მუქ ფერებში, იმის იმედიც გაქვს, რომ ნათელში გამოხვალ. ბოლო ფილმებშიც მთავარი, სიბნელეში სინათლის შეღწევის სურვილია. ზოგჯერ შეიძლება გავვიადებულიც იყოს რამე, მაგრამ ხელოვნება თავისთავად წარმოდგენების საზგასმაა.

**— როცა ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებელი არ იყო, ხელოვნებას უფრო მეტი წინაღობა ხვდებოდა...**

— იყო წინააღმდეგობა, მაგრამ პატ-





არა გამარჯვებებიც. მაშინ ძნელი იყო დადებითად გეჩვენებინა ეკლესია, ზარის ხმა... ეს ეჭვს იწვევდა. არც სასულიერო პირის სრულყოფილად ჩვენება შეიძლებოდა, არც საკუთარი ისტორიის ნორმალურად წარმოდგენა სოციალური დაყოფის გარეშე. მშრომელი უნდა ყოფილიყო მარტო ის, ვინც მიწაზე მუშაობდა. თავადები ან მალაღობის წოდების „წიგნზე მშრომელნი“ სულელებად უნდა გამოგვეყვანა. მე ეს ზღვარი ჩემს ფილმებში არ გავატარე... დღესაც არ შეიძლება ხალხის დაყოფა... ერი არის მთლიანი, ამ სოციალისტური პრინციპების გარეშე. იყო ხალხი, რომელიც ამ უბედურებას ებრძოდა და თავისი ხასიათით გაჰქონდათ პრინციპი. ამის გამო ჰქონდა „ქართულ ფილმს“ თავისი სახე. ყველა დროში, რაც უნდა ტოტალური და დამორგუნველი იყოს, შეიძლება რაიმეს მოხერხება. ბევრი მოღვაწე თავისუფალი აზროვნებისათვის ფიზიკურად გაანადგურეს, მაგრამ ამით თვითონ თავისუფალი აზრის არსებობა არ შეწყვეტილა. მამაჩემმა პირველი სურათი ომის დროს გადაიღო – „ჭირვეული მეზობლები“. ამის შემდეგ ფილმების გადაღება აკრძალული ჰქონდა. 1955 წლამდე ახმოვანებდა კინოსურათებს რუსულიდან ქართულად, იღებდა პატარ-პატარა ფილმებს, აკეთებდა კინოჟურნალებს. ამას გაუძლო და 1956 წლიდან დაიწყო სერიოზული მუშაობა. 10 თუ 11 ფილმის გადაღება მოასწრო. არავის ახსოვს, როცა მამაჩემი შეზღუდული იყო, წონასწორობა

დაეკარგოს, ვინმეს შესკლომოდეს, ეჩხუბოს. მისი მოთმინება იყო ძლიერი და არა დათრგუნვილი.

**— კინოს გარშემო ხმაურიანი შესლა-შემოსლა დღეს უფრო ხშირია.**

— მე ვთვლი, რომ ეს კონფლიქტი, ხშირ შემთხვევაში, ცოტა გაზვიადებული და თითიდან გამოწოვილიც კია. მთელი ის უბედურება, რაც კინოს გარშემო ტრიალებს, თითქოს მხოლოდ ერთმანეთზე გადაბრალებისკენ არის გამიზნული. საერთოდ, მუშაობის პრინციპი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ერთ ფილმზე 10 წლის განმავლობაში მუშაობა დამლუპველია. უნდა მოიფიქრო რაღაც, რომ ფილმი შედარებით მოკლე დროში გადაიღო, ამასთანავე ხარისხიანადაც და ისეც, რომ საჭირო იყოს საზოგადოებისათვის. ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, საქმეს კი არავინ აკეთებს. ძნელიც არის. ყველას უჭირს და რა უნდა მოსთხოვო... მაგრამ, რომ წავიდეთ და კინოთეატრში ფილმი ვნახოთ, — ამასაც რომ არ ვაკეთებთ! ამიტომ საზოგადოების ენებათაღელვა კინოს გარშემო ცოტა ზედაპირულია.

**— თქვენთვის რა არის ყველაზე აუცილებელი?**

— მუშაობა... ბევრი საინტერესო რამ შემემძლო გამეკეთებინა, მაგრამ... სერიოზულად ვაკეთებდი ჩემს საქმეს, თუმცა, ნება-ნება, თავისუფლად — თავს ძალას არ ვატანდი... ყოველთვის ვფიქრობდი, ახლა ამ ფილმს დავამთავრებ და შემდეგ უფრო სრულყოფილს გავაკეთებ მეთქი. ძნელია ახლა რაიმეს დაწყება და გადაღება, მაგრამ ვერც კინოს გაცეცლები ადვილად: ჩემი საქმეა ეს და ჩემი ცხოვრება.

**— ხელოვანი იქნება თუ მეცნიერი, საზღვარგარეთ უფრო მეტ პირობებს უქმნიანო მუშაობისთვის...**

— შეიძლება, ზედაპირულად ვთქვა — რომ წავსულიყავი, უკეთესი იქნებოდა მეთქი, მაგრამ რეალურად ეს არ მინდა. კარგად თუ ცუდად, აქ მინდა ვიყო. ჯერ ერთი, ცხოვრება მარტო კინოც არ არის... ეს არის ოჯახი, მეგობრები, გარემო. საზღვარგარეთ ვერ გადავიღებ ფილმს, იქაური ცხოვრებაც ნაკლებად ვიცი. ამისთვის „საზღვარგარეთელიც“ უნდა გავხდე... სხვაგან უნდა დავბადებულიყავი, გავზრდილიყავი, სხვა მშობლები მყოლოდა. ამაზე ფიქრიც არ მინდა...

# ერთგული გკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავიჭირდებათ პასუხის გაცემა...

**1. რა ეროვნებასაა მაიკლ დუშლასი?**



- ა) ინგლისელი;
- ბ) ებრაელი;
- გ) ჰოლანდიელი.

**2. რა ჰქვია თონაზე მიხმარა პურს?**



- ა) ფაფხაჭა;
- ბ) ხრატუნა;
- გ) ხუხუნა.

**3. ვის ეპუთვნის სიტყვა „შპშის საერთო რაოდენობა დედამინაზე უცვლელია... მოსახლეობა კი განუწყვეტილი იზრდება“?**



- ა) არტურ ბლოხს;
- ბ) ნოდარ დუმბაძეს;
- გ) ალექსანდრე მაკედონელს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

სათქმელს დამაინტრიგებელი კითხვით დავიწყებთ: რა აერთიანებს რომის პაპს ლეონ მეშვიდეს (რომელიც X საუკუნეში ცხოვრობდა), დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, ლორდ პალმერსტონს (XIX ს.) და მულტიმილიონერ ნელსონ როკფელერს (XX ს.)?

სრული პასუხი წერილის ბოლოს არის, ვრცელი კი, ძალზე მარტივი ცნობით იწყება: სექსუალური აქტივობა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებასთან ერთად (განსაკუთრებით, ფრიად მონიფულ ასაკში) საშიშია ჯანმრთელობისთვის, ხშირად კი — თვით სიცოცხლესაც უქმნის საფრთხეს.

# ბედნიერი სიკვდილი ლაგანის გვერდით



## გალაქტიონ ტაბანაშვილი

თუმცა, ისიც საკითხავია, არის თუ არა საფრთხე და უბედურება, სასიყვარულო ექსტაზში სიცოცხლესთან განშორება?!.. გადაჭრით პასუხს ვერავინ გაცემთ — ვარდაცვლილებს ხომ ვერაფერს ჰკითხავ...  
არადა, ირბი „პასუხი“ მინც არსებობს — ნეტარი გამომეტყველება მიცვალებულის სახეზე, რომელსაც ტანჯვის ნასახიც არ ეტყობა.

... ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ 35 წლის მანძილზე, სერიოზული კონფლიქტი თითქმის არ ჰქონიათ. ქმარი სანიმუშო ყურადღებას იჩენდა ცოლის მიმართ, ჩვეულებრივ, ყოველდღე ურეკავდა სამსახურიდან, უბრალოდ რომ მოეკითხა — რას აკეთებდა, როგორ გუნებაზე იყო. ცოლმა ყოველი მისი ნაბიჯი იცოდა.

ეს სიახლოვე ოდენ სულიერი არ ყოფილა: ქალი იმით იყო განსაკუთრებით ბედნიერი, რომ მიუხედავად განვლილი წლებისა, ქმარს ფიზიკურადაც იზიდავდა: — ბევრი ახალგაზრდა წველისთვის შესაშური იქნებოდა ის ვნებაცა და რეგულარობაც, რითაც მამაკაცი თავის „ქმრულ მოვალეობას“ ასრულებდა...

იმ ღამითაც ყველაფერი საუცხოოდ წარიმართა. დასასრულიც „საუცხოო“ აღმოჩნდა, თუმცა საბრალო ქალს, დიდი ხნით შემორჩა დაუვიწყარ კოშმარად... დილით, გაღვიძებისთანავე, რაღაც ავისმომასწავლებელმა გრძნობამ შეიპყრო. ქმრისკენ მიბრუნდა და... გაცივებულ სახეზე სწორედ ის ნეტარი გამომე-

ტყველება შერჩენოდა, წელან რომ ვახსენეთ... ეჭვგარეშეა, კაცი მათი მორიგი, მგზნებარე სიახლოვიდან სულ ცოტა ხანში გარდაცვლილიყო...

ძველი მეგობრების ოჯახში მომხდარი ამ ამბის კომენტარი გამოცდილ სექსოპათოლოგს ვთხოვე. უყოყმანოდ დამთანხმდა, თუმცა მკითხველისთვის თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

— არსებობს საინტერესო სტატისტიკა: ინტიმური სიახლოვის დროს გარდაცვლილ 8 მამაკაცზე მხოლოდ 1 ქალი მოდის. დასკვნის გაკეთება მედიცინაში ჩაუხედავ კაცსაც შეუძლია: სექსუალური აქტის დროს მამაკაცს გაცილებით დიდი დატვირთვა აქვს, ვიდრე ქალს. ამას ისიც ემატება, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს უფრო ხშირად აწუხებთ... თავად განსაჯეთ: თუ ჩვეულებრივად, ადამიანი წუთში 16-18-ჯერ ჩაისუნთქ-ამოისუნთქავს, სექსუალური აქტის დროს ეს ციფრი 40-მდე აღწევს, არტერიული წნევა, რომელიც 120/80-ზე აქვს, 180-200/100-120-მდე აღის... „რისკის ჯგუფში“, არითმიით, ჰიპერტონიით, ასთმით დაავადებულები, ინფარქტგადატანილები არიან...

რასაკვირველია, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ასაკს აქვს: მოწიფულობისას მამაკაცებმა სიფრთხილე და ზომიერება უნდა გამოიჩინონ, არ გადაიტვიტონ და წარმოიდგინეთ, აქტის დროს, ამ თვალსაზრისით ხელსაყრელი პოზიციც აირჩიონ — ისეთი, რომელშიც მეტი ფიზიკური დატვირთვა

პარტნიორ ქალზე მოდის.

შემიძლია 35-ოდე შემთხვევა გავისწავლო, რომლის კვლევაში, როგორც ექსპერტს მიმიღია მონაწილეობა. მათ შორის საკმაოდ სკანდალური ამბებიც იყო, რადგან საქმე ცნობილ ადამიანებს შეეხებოდა... ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, ცხადია, ვერც ერთ მათგანს ვერ დავასახელებ, თუმცა ვინაობას ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარი ის არის, რომ თითოეული ამ მამაკაცთაგანი სასიყვარულო ექსტაზის დროს დაიღუპა და უმეტესად, თავისზე გაცილებით ახალგაზრდა ქალის გვერდით. ამ, ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორს ორი მიზეზი განაპირობებს: პირველი — ასაკობრივი ზღვარი, რომელიც მამაკაცს აიძულებს, რაც შეიძლება უკეთ წარმოაჩინოს თავი და დაუმტკიცოს ახალგაზრდა პარტნიორ ქალს, რომ არაფრით ჩამოუვარდება მის თანატოლებს; მეორე — სტრესი, თუნდაც უხილავი და თუნდაც თავად სუბიექტისთვის დაფარული — გაცილებით დიდია ახალ პარტნიორთან ურთიერთობისას...

ზედმეტი გადაღლის და, ასე განსაჯეთ, „გადაწვის“ მიზეზი ხშირად მასტიმულირებელი პრეპარატებიც გამხდარა, რომელთაგან ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედი ჟენშენი, ელეუტეროკოკი, სტრიქინინი — რომლებსაც, პოტენციის გასაძლიერებლად მცირე დოზებით უნიშნავენ სექსოლოგები. ბოლო წლებში, ბევრი დაიწერა ვიაგრის შედეგად მომხდარი ტრაგედიების შესახებ, ამიტომ აღარ გავიშე-

ორებ. მოკლედ ვიტყვი მხოლოდ: კვალ-იფიცური ექიმი, ვიდრე რომელიმე პრეპარატს გაუწევდეს რეკომენდაციას, ვალდებულია, პაციენტს კარდიოგრა-მის გადაღება მოსთხოვოს და, უპირველესად მისი გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა გამოიკვილოს..

ჩემი პრაქტიკიდან განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ერთი „ცელქი“ მამაკაცის ამბავი, რომელმაც ძალიან „გაუტია“ ხანდაზმულობის ჟამს... თითქმის მთელი ცხოვრება ვიცნობდი და წესიერების განსახიერებად მიმაჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ – მართლა ასეთი კაცი იყო. ყველაფერს შესაბამისი პირობები სჭირდება – ჩანს, ცხოვრებაც ისე აეწყო, რომ ახალგაზრდობაში აქეთ-იქით გახედვის შესაძლებლობაც ნაკლებად ჰქონდა: ჯერ იყო და, მონდომებით სწავლობდა, ხელმოკლე ოჯახის შვილი, თავს სირბილისა და დროს ტარების უფლებას ვერ აძლევდა. მერე მუშაობა დაიწყო და ოჯახსაც მალე მოეკიდა, ჭაპანს ეწეოდა და არც მაშინ მიეცა გალადების საშუალება. შვილები რომ წამოეზარდნენ, საქმეებიც თანდათან კარგად აეწყო, ფულიც იშოვა და გახედვა-გამოხედვასაც უმატა, მაგრამ სანამ ცოლი გვერდით ჰყავდა, მაინც თავშეკავებულად იქცეოდა, აი, მოულოდნელად რომ გარდაეცვალა და ეს ჩვეული „კონტროლიც“ გამოეცალა – მაშინ კი „აუშვა აფრები“ და „გააჭენა“. სხვათა შორის, ამ მოვლენასაც აქვს სპეციალური სახელი – ფსიქიატრები ბონგევერის სინდრომს უწოდებენ. თუმცა ჩემს მეგობარს სულ არ აინტერესებდა ეს სამედიცინო ტერმინოლოგია და რა კვალ-იფიკაციაც არ უნდა მიეცათ ამ მოვლენისთვის, მისთვის მთავარი, თავისი გატაცება – ახალგაზრდა ქალებთან გართობა იყო, რომელმაც სრულად დაიპყრო.

იმ დროს უკვე კარგად შეძლებულს, პირადი ექიმებიც ჰყავდა, რომლებიც მისი ჯანმრთელობის (და ამასთანავე, თავიანთი ჯიბეების) მდგომარეობას ადევნებდნენ თვალყურს და გამუდმებით სთხოვდნენ, თავშეკავება გამოეჩინა და თავს მოფრთხილებოდა. ჩანს, თვითონაც ადარდებდა სიცოცხლის ხანგრ-

ძლივობა ან, იქნებ, გრძნობდა კიდევ მოახლოებულ საშიშროებას და თანდათან, განსხვავებულ, ეგზოტიკურ სექსს – ე.წ. „ვალეტის პოზას“ ან, მეცნიერულად რომ ვთქვათ, კუნთილინგუსს მიეძალა... ისე დაოსტატდა ამ საქმეში, თვითონაც ძალზე კმაყოფილი იყო და, რაც მთავარია, თავის ახალგაზრდა პარტნიორებსაც ანიჭებდა სიამოვნებას, თანაც ისე, რომ თვითონ ნაკლები დატვირთვა ხვდებოდა.

საბოლოოდ, სწორედ ამ სიამოვნებამ მოუსწრაფა სიცოცხლე: მორიგი ლამაზმანი ისეთ ექსტაზში შევიდა, რომ ფეხებშუა მოქცეული კაცის თავი კინაღამ გაჭყლიტა. ჯერ სუნთქვა შეეკრა, მერე გამჭოლმა ტკივილმა დაუარა გულმკერდის არეში და... წყვილიდში ჩაიძირა. ასე დაასრულა სიცოცხლე – ინფარქტისაგან, ენერგიული ლამაზმანის გვერდით...

ამის მსგავს გარემოებებში განუტევა სული წერილის დასაწყისში ნახსენებმა სამმა ისტორიულმა პიროვნებამ: ბიზნესმენმა როკველერმა 1979 წელს, თავისი საყვარლის მკლავებში; დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა პალმერსტონმა 1865 წელს, თავის მოახლე გოგოსთან (სხვათა შორის, საბილიარდო მაგიდაზე) სექსის დროს და რომის პაპმა ლეონ მეშვიდედმ, ასევე მდაბიური წარმოშობის ქალთან „ცელქობისას“. ეს მხოლოდ სამი მაგალითია ვრცელი ნუსხიდან, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა...



ნურასოდეს ნუ დაუმეგობრდები კაცს, რომელიც შენი პატივისცემის ღირსად არ მიგაჩნია.

**ჩარლზ დარვინი**

თესეთ სიკეთე, გონივრული, მარადიული – თესეთ! მაღლობას გეტყვით ხალხი ალალი გულით.  
**ნიკოლაი ნეკრასოვი**

ლაჩრები იმავე დროს სასტიკნიც არიან.  
**ჯუზეპე გარიბალდი**

ვინც დედაენის გარდა, არც ერთი ენა არ იცის, მან რივიანად არც დედა ენა იცის.  
**გოეთე**

როგორც კარგად გატარებული დღე იძლევა მშვიდ ძილს, აზრიანად გატარებული ცხოვრებაც იძლევა მშვიდ სიკვდილს.  
**ლენარდო და ვინჩი**

სადაც მომხვეჭელობა იფურჩქნება, იქ სარწმუნოებრივი სიწმინდე იშვიათად შეინახება.  
**ტაციტი**

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი. ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი. – სჯობს სიცოცხლესა ნამძარხსა სიკვდილი სახელოვანი!  
**შოთა რუსთაველი**

იგი ყველას ძალიან უყვარდა. სახელი, მართალია, სევდის მომგვრელი ჰქონდა, მაგრამ მის გვერდით მონყენა შეუძლებელი იყო. დადიოდა ამქვეყნად გულლია, სახენათელი, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ბიჭი და ირგვლივ ისეთ სითბოს ასხივებდა, რომ ეულ ადამიანსაც სულს გაუთბობდა.

# აქცხაში მართი თქორღი გიჭირსა



## მარინა ბაბუნაშვილი

ლალ ასათიანისა არ იყოს, ამბობდა ხოლმე, რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალის ღმერთმან და ხშირად აივლ-ჩაივლიდა თბილისის ღელაქუჩას. სწორედ ერთ-ერთი გასეირნების დროს თვალი მოჰკრა დიდ აფიშა-განცხადებას: „სიცილის საღამო-90“ ტარდებოდა და იწვევდნენ ყველას, ვისაც ლალი იუმორი ემარჯვებოდა. თუმცა, საღამოს მონაწილენი კონკურსზე უნდა გამოეყვლინათ. გამარჯვებული კონკურსანტისთვის კი პრიზიც იყო დაწესებული – 3.000 მანეთი.

თანხა იმხანად სოლიდური იყო და 20 წლის ბიჭმა თავისი ძაღვების მოსინჯვა სცადა. ამ ნაბიჯის ერთ-ერთი სტიმიული ისიც იყო, რომ მის დიდ სამეგობროში პატარ-პატარა პრობლემები ჰქონდათ: ვიღაცას ძალზედ უჭირდა, ერთს დედა ჰყავდა მძიმედ დაავადებული, სხვას კიდევ სხვა, ოჯახისთვის აუცილებელი ხარჯის გასაწევად ესაჭიროებოდა ფული... ასეა თუ ისე, ღირდა გარისკვად, ჩვენში რომ იტყვიან ხოლმე – „ჩიტი ბრღენად“.



უზომოდ გაიხარეს მეგობრებმა, როცა ძმაკაცმა გაიმარჯვა, მშვენიერი პაროდიები, იმიტაციები წარადგინა და ის 3.000 მანეთიც, მოპოვებული თასივით სამეგობროში მიიტანა. როგორც საჭიროდ მიიჩნიეს, ისე გადაანაწილეს და ბოლოს, არც გამარჯვების „დასველება“ დაავიწყდათ. იმ დღის მერე, უცებ მოვიდა წარმატება და გულლია ბიჭს ყველგან იწვევდნენ: ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე თუ საგასტროლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში... იმ დამაბულ, საქართველოსთვის შავბნელ დღეებში (თბილისის ომი, ერის გახლეჩა და დაპირისპირება მაქვს მხედველობაში) ამ ბიჭის ალალი, ზუსტი და ძალიან კვიმატი პაროდიები გულიანად აცინებდა ადამიანებს... ნათქვამია: ტირილი და სიცილი ძმები არიანო და მართლაც, თუკი სულგაზარულ ხალხს უამრავი უბედურების დანახვაზე ცრემლი მოადგებოდა თვალზე, სცენაზე გამოსული ბიჭის სიტყვებზე ხარხარს ვერ იკავებდა, რადგან იმჟამინდელი ყოფის ყოველ დრამატულ დეტალში იმდენ კურიოზულსა და სასაცილოს აღმოაჩენდა, რომ შეუძლებელი იყო თავის შეკავება. დარბაზში ჰომერული სიცილი ისმოდა და ისიც კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ: უხაროდა, რომ ადამიანებს ცოტა ხნით მაინც მოჰგვარა შვება... ყოველი კონცერტის მერე, მეგობრები რესტორანში პატიჟებდნენ, ბოლოს კი აღმოჩნდებოდა, რომ „სუფრა გადახდილი იყო“: შუა ქეიფში გაიპარებოდა ხოლმე და თვითონ გადაიხდიდა თანხას... ძმაკაცები კი სიცილით ეუბნებოდნენ: ვაჰ, კაცო, ვერ გაგვივია – ობოლა ხარ თუ ბობოლაო. ისიც ექსპრომტით უპასუხებდა: „არ მინდა ვიყო ბობოლა, რადგანაც მქვია ობოლა“.

სევდიანი სახელი – ობოლა – შერქმეულია: ბევრმა არც იცის, რომ მას გიზო ერქვა, გიზო ციმაკურიძე. საჩხერის რაიონის ერთ ლამაზ სოფელში – საირხ-

ეში დაიბადა და გაიზარდა. დიდ ტკივილს ბავშვობაშივე ეზიარა: ჯერ მამა გარდაეცვალა, რამდენიმე თვეში კი დედა. გიზო და მისი უფროსი ძმა ობლად დარჩნენ, მაგრამ სოფელმა ყველანაირად იზრუნა, რომ ობლობა არ ეგრძნოთ: დიდხანს მარტო არ ტოვებდნენ, ხან საღ მიჰყავდათ, ხან – საღ...

გიზოს ნიჭი სკოლაშივე აღმოაჩინეს თანატოლებმა და მასწავლებლებმა. საჩხერის რაიონული კულტურის სახლის სცენაზეც გახშირდა მისი გამოსვლები. სიმღერა იცოდა და უყვარდა, ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის – „მხიარული ახალგაზრდობის“ სოლისტი გახდა. ძმამ ცოლი მოიყვანა და თბილისში დასახლდა. ცოტა ხანში გიზოც წამოვიდა და თბილისის საესტრადო სასწავლებელი დაამთავრა. ერიდებოდა – ძმას თავისი ოჯახი ჰყავს და როგორ შევაწუხოო, ამიტომაც ნაქირავებში ცხოვრობდა. მისი პატარა ოთახი კი მუდამ სავსე იყო მეგობრებით, სიცილითა და სიმღერით. იმ პირველი გამარჯვების მერე კახეთში მიუწვევიათ გიზო, თელავში უნდა გამოსულიყო თავისი პაროდიებით. იქაურ წამყვან-კონფერანსიეს წინააღმდეგ გამოუკითხავს მისთვის წარსული და აწმყო. გიზოს უთქვამს, ღელ-მამა არ მყავს, 14 წლის ასაკში დავობლდიო. როცა ციმაკურიძის წარდგენის ჯერი დამდგარა, კონფერანსიეს დავიწყინა მისი სახელი, ცოტა ხანს დაბნეულად გაუმეორებია რამდენიმე წინადადება: თქვენ წინაშეა ახალგაზრდა იუმორისტი ... ახლა გამოვა ნიჭიერი პაროლისტი... ციმაკურიძე, ციმაკურიძე... უცებ გახსენებია, რომ ობოლი იყო და გამოსავალიც უპოვია: თქვენ წინაშეა ობოლა ციმაკურიძე!

გაბრაზებულა გიზო, კულისებში მეგობრებისთვის გადაულაპარაკებია – ვერ გადაშირჩება ეს კაციო, მაგრამ გამოსვლის მერე, კახელების ოვაციები რომ აღარ

შეწყდა და კვლავ ობოლას გამოსვლა მოითხოვეს, მიხვდა, რომ ეს სახელი სამუდამოდ შერჩებოდა... მოგვიანებით დიმილით იხსენებდა ამ ეპიზოდს და ამბობდა კიდევ: ობოლა რომ არ შემრქმეოდა, ალბათ ასეთი პოპულარული არც გავხდებოდი.

დღეს მის ცოლ-შვილს, ძმას, სამეგობროს, თბილისსა და საჩხერეს, თამამად ვიტყვი — მიელ საქართველოსაც მოაკლდა მისი მართალი, მაგრამ უწყინარი სიტყვა, რომელიც გაჯერებული იყო ღრმა და დახვეწილი იუმორით.

ობოლას ოჯახში მისვლისას უძალდობრად მიხედვით მისი დიმილიანი სახე, ფოტოპარატს რომ შემოუნახავს. თითქოს ისიც მმასპინძლობდა მის ნათიასთან ერთად — იქვე ნოხზე კი, ობოლას პატარა ქალვაჟი (7 წლის გიორგი და 4 წლის ნუციკო) სახლობანას თამაშობდნენ. ობოლას ობლებმა ლამაზი თვალები მომანათეს. განსაკუთრებით, ნუციკო მივამსგავსე მამას და ეს „აღმოჩენა“ მის მეუღლეს — ნათია ჯინჭარაძესაც გაუზიარე. დამეთანხმა — სხვებიც ამას ამბობენო. მერე პატარებმა მინი-კონცერტი გამიმართეს და ძალიან ძნელი აღმოჩნდა ცრემლის შეკავება... არ მინდა გაცვეთილი ფრაზეებით ვანუგემო 26 წლის ნათია, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვუთხრა, რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ საუბარი:

— ვიცი, რომ უამრავი მოგონება გაკავშირებს ობოლასთან. არ გიფიქრია, დაგენერა ყველაფერი, მერე კი ერთ ლამაზ ნიგნად აგეკინძა?

— ჯერ კიდევ იმ მძიმე ემოციებში ვარ. დრო რომ გაივლის, აუცილებლად დავეწერ მოგონებებს და ეს იქნება კიდევ ერთხელ გამხელილი დიდი სიყვარულის ამბავი...

— ქალაქში მენივით გაგარდა ხმა — ობოლა დაიხრჩო. ათასნაირი ვერსია ითქვა მის უეცარ სიკვდილზე... მაინც როგორ ვნია ეს ბედისწერა? მაპატიე — ძალიან მტკივნეულია იმ დღეების გახსენება და თუ გსურს, სხვა თემაზე ვილაპარაკოთ...

— მტკივნეული როგორ არ არის, მაგრამ პასუხი მაინც უნდა გაცემო, მით უმეტეს, რომ მართლაც დაუჯერებელი ჭორები დაიხრა. ის საბედისწერო ივინისის დღე კი ჩვეულებრივად დაიწყო. ობოლა გახარებული იყო, რადგან გადაწყდა — უნივერსიტეტის ანსამბლთან ერთად ისიც უნდა წასულიყო მოსკოვში

გასტროლებზე. საღამოს მისი ძმისშვილი უნდა გამოსულიყო გრიბოედოვის თეატრის სცენაზე და ვთხოვე, შინ ყოფილიყო — მინდოდა, ერთად წავსულიყავით ბავშვის კონცერტზე. მან მითხრა, აუცილებელი საქმე მაქვს, შენ წადი კონცერტზე და მეც პირდაპირ იქ მოვალ. ობოლა ხელოვანი იყო და ხშირად უწევდა სხვაგან ყოფნა, მეც ტრადიციულად სულ ვუზღუნებდი ამის გამო, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გაუწიე, ვიჩხუბეთ კიდევ წასვლა-დარჩენაზე — თითქოს გული მიგრძნობდა. მაინც წავიდა. შუადღისას მეზობელთან გადავედი ცოტა ხნით, სწორედ მაშინ ავცდი (ალბათ ესეც ბედისწერა იყო): ობოლა შინ მოსულა, დამიტოვა ბაზარში ნაყიდი სურსათ-სანოვაგე და ბარათიც დამიწერა — მალე მოვალ. საღამოს რომ შეაგვიანდა, ბავშვები მაინც წავიყვანე კონცერტზე. შინ მისულს კვლავ არ დამხვდა, ეს ჩემთვის უცხო არ იყო, მაგრამ გული ისე დამძიმებული მქონდა, როგორც არასდროს. სიზმარიც უცნაური ვნახე წინა დამით: თითქოს ავეჯი გაეტანათ ამ ოთახიდან და სულ დაცარიელებული იყო...

გათენებისას კაკუნმა გამაღვიძა. დედაჩემი, მამაჩემი და ობოლას დეიდა მოსულიყვნენ. ელდა მეცა, დეიდამის მივვარდი — ჩემს ქმარს რამე უბედურება ხომ არ სჭირს-მეთქი. ჯერ მიკბამოკბავით დაიწყეს ლაპარაკი, ლაშა ლაშხი დაიხრჩო, ობოლა გაქცეულიყო... მაგრამ სიმართლეს სად გაექცეოდნენ?! კინაღამ გავეიჟდი. ჩემების წინააღმდეგობის მიუხედავად, მტკვრისკენ გავიქეცი. მშველები ამოდ ცდილობდნენ ობოლას მოძებნას. სამი დღის შემდეგ, ბათუმიდან გამოგზავნილმა მშველებმა იპოვეს. მერე

ელა გავივე, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. ობოლასა და მის უახლოეს მეგობარს — ლაშა ლაშხის ლუდის ბარში დაუღევიათ. მერე მტკვრისკენ წასულან. ერთგან ჯებირი მორღვეული ყოფილა. ობოლა ქვემოთ, მდინარესთან ჩავიდა. იქ კი, სველ ლოდზე ფეხი აუსხლტა და წყალში გადავარდა. იმ ადგილას მტკვარი საკმაოდ ღრმა არის. ობოლამ არაჩვეულებრივად იცოდა ცურვა, მაგრამ ღვინომოკიდებულს გული გაუხდა ცუდად. ლაშა თურმე შეშფოთებული დარბოდა და გამვლელ მანქანებს აჩერებდა: მიშველეთ, ძმაკაცი მეხრჩობაო. ობოლა ცუდად რომ გახდა, ლაშას ამოსძახა — ვეღარ ვცურავ, ხელფეხი მიჩერდებაო. მაშინ კი გადამხტარა ლაშა. ერთხელ წაავლო ხელი, მაგრამ დინებამ წაართვა. მერე ლაშაც ცუდად გახდა. ამ დროს სასწრაფო დახმარების მანქანა და მშველებიც მოვიდნენ. ლაშა რომ ამოიყვანეს ნაპირზე, უკვე მკვდარი იყო, ობოლას კი, როგორც ვითხარით, სამი დღე ეტებდნენ. ჩემთვის კომპარი იყო ის სამი დღე...

ჩემმა გიორგიმ დიდი კაცით მკითხა გლოვის დღეებში: მამიკოს რომ მაშინ შენთვის დაეჯერებინა, ეს ხომ არ მოუვილოდაო, მაგრამ სულ შინ ხომ არ იჯდებოდა, მერე რომ გაივლიდა მდინარესთან, ნეტავ, მაშინაც გადავარდებოდა წყალში?..

— ნათია, მოდი, ის ლამაზი დღეები გაიხსენე, ობოლასთან ერთად გატარებული, მომავალშიც რომ ბეგრჯერ შეგიმსუბუქებს სვედრს...

ნათიას სახე უნათდება და ობოლაზე, როგორც ცოცხალ ადამიანზე, ისე იწყებს ლაპარაკს:

— როცა ობოლასთან გატარებული დრო მასხნდება, ვიფიქვებ, რომ გვერდით აღარა მყავს. სულ მეგონია, ცოტა ხნით არის სახლიდან წასული და აი, ახლა შემოაღებს კარს, ნუციკოს ხელში აიტაცებს, მე და გიორგის ხელს მოგვხვევს და ჩვეულებისამებრ ერთად ვიცეკვებთ, ვიძღვრებთ და ვითამაშებთ... საერთოდ, მე უფრო მალე ვიღლებოდი ბავშვებთან ურთიერთობისას, ობოლას კი დაღლა არ ეტყობოდა და დაუსრულებლად შეეძლო მათთან თამაში. არაჩვეულებრივი მამა და მეუღლე იყო, საოცრად მგრძნობიარე ადამიანი. ერთხელ მითხრა — ამ კონცერტს რომ ჩავატარებ, რაღაც მაქვს ჩაფიქრებული და უნდა განვახორციელო. კონცერტიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი, გახარებული მოვიდა და მითხრა: დავტვირთე ერთ-ერთი ამხანაგის „რაფი“



სხვადასხვანაირი პროექტით (კარაქით, არაჟნით, ყველით, ხილით, ძეხვეულობით, შოკოლადით) და სათამაშოებით და უდღემამო ბავშვთა სახლს (აღარ მახსოვს, რომელს) ჩავუტანე... ძალიან კარგი გიქნია, მაგრამ, რა მოხდებოდა, ერთი კილო კარაქი შენი შვილებისთვისაც წამოგეღო-მეთქი?! ამაზე ბევრი იცინა და დამპირდა, ახლო მომავალში ჩემს შვილებთანაც ხელდამშვენებული მოვალე...

საესტრადო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა კინოსარეჟისოროზე. სულ ოცნებობდა, კარგი ფილმი გადაეღო. სცენარიც ჰქონდა და სპონსორიც გამოუჩნდა – ამ შემოდგომაზე უნდა დაეწყო გადაღება... არ დასცალდა.

– თვითონ ობოლას ვისი მიბაძვა მოსწონდა ყველაზე მეტად?

– ობოლას ბევრი რამ კარგად გამოსდიოდა. ძალიან უყვარდა დათას მიბაძვა – საერთოდ, „დათა თუთაშხია“ მისი სამაგიდო წიგნი იყო და ბევრი ეპიზოდი ზეპირად იცოდა. მე პირადად, ძალიან მომწონდა მისი ლუი დე ფიუნესი, ფრენკ სინატრა, ლუი არმსტრონგი, ელცინი, სტალინი, ლენინიც კი... ჩვენებიდან კარგად გამოსდიოდა ჯანსუღ კახიძის, გიორგი ცაბაძის, ოთარ რამიშვილის და მრავალი პოლიტიკოსის პაროდები. ერთხელ, შევარდნაძისთვის უკითხავთ: ბევრი ცდი-

ლობს თქვენს იმიტაციას და თქვენ რომელი უფრო მოგწონთ? პრეზიდენტს უთქვამს: აი, ის უდღემამო ბიჭი მომწონს, ობოლას რომ ეძახიანო.

**— ობოლა უკვე ცნობილი იყო, როცა ერთმანეთი გაიცანით?**

– კი. თუმცა იმიტომ არ მომწონებია, რომ ცნობილი იყო. ობოლას საოცარი ხიბლი ჰქონდა – მაშინვე ამყარებდა ადამიანთან თბილ ურთიერთობას. მასში კონტაქტურობის, უშუალოების ნიჭი მხიბლავდა ყველაზე მეტად.

**— სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– პირველ კურსზე ვიყავი, როცა სტუდენტურ დღეებზე ჩვენმა ფაკულტეტმა (ფილოლოგიურმა) გადაწყვიტა, ქართული KBH-ის – „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ ჩამოყალიბება. დეკანმა – თენგიზ ხანიკიძემ სცენარის დაწერა მე დამავალა. ვიუარე – მე მხოლოდ ვუკრავ და ვმღერი, სცენარის წერა ჯერ არ მეხერხება-მეთქი. მაშინ ფიზკულტურაში ჩათვალას არ მოვაცემინებო... საკონცერტოში ჩავვარდი. მეგობარმა, ეკამ დამამშვიდა – ობოლას ვთხოვ და ის გიშველისო. მართლაც, სადამოს, ეკას სახლში შევიკრიბეთ გოგონები, მოუთმენლად ველოდით ობოლას. წვიმიანი დღე იყო. ზარის ხმა რომ გაისმა, კარის გასაღებად მე მივედი. ადრე არ მჯეროდა, მაგრამ ჩვენი შეხვედრის შემდეგ დავიჯერე და დავრწმუნდი, რომ მართლაც შესაძლებელია, ერთი ნახვით შეყვარება. ობოლამ იმ დღესვე სამი ულამაზესი ვარდი მარუქა და სახლამდე მიმაცილა. ცოტა ხანში კი სიყვარულიც „ორიგინალურად“ ამიხსნა:

„ერთხელ თურმე ღმერთმა მხატვარს ზეცა დაახატვინა, ვარსკვლავები გიმღერებენ სიყვარულზე, ნათია“.

გაცნობიდან 2 თვის შემდეგ, ვითომ შემთხვევით გადამეყარა ქუჩაში და მთხოვა – ჯერ ჩემს ნათესავთან გამომეყვი, მერე კი სახლამდე გაგაცილებო. წავიდით მეტროთი. მიმიყვანა ნათესავთან, მაგრამ მასპინძელი არ დაგვხვდა. მივხვდი, რომ მომატყუა. გავბრაზდი, თუმცა ობოლამ თავისი ხუმრობითა და ოხუნჯობით გუნება მალე გამომიკეთა. მერე იცინოდა: ასეთი რამ სხვას თუ გაუკეთებია – გოგო მეტროთი მოვიტაცეო!

**— შენი მშობლები როგორ შეგაუფნენ პაროდისტ სიძეს?**

– ჯერ გაგებუტნენ, მერე კი ისე შეუყვარდათ ობოლა, რომ „პირველ შვილს“ ეძახდნენ... ობოლა ძალიან თბილი და მოსიყვარულე იყო ყველას მიმართ. ხშირად იცოდა თქმა: ყველგან კარგია, მაგრამ ოჯახზე უკეთესი არ არსებობსო. ერთხელ, ტელევიზიაში მიიწვიეს, გადაცემაში – „გინდ ღაიჯერეთ, გინდ – არა“ მონაწილეობის მისაღებად. პროგრამის ბოლოს ჰკითხეს, რას გვეტყვი, რით გაგვაკვირებო? მისთვის ჩვეული სიცილით დაემშვიდობა მაყურებელს: დღე-ღამეზე ბიჭს ველოდები – გინდ ღაიჯერეთ, გინდ – არაო. მეორე დღეს ბიჭი შეგვეძინა... განცვიფრებაში მოყვავდი მის უსაზღვრო სიყვარულს დედისადმი. დედას რომ დაიფიცებდა, იმას წყალი არ გაუვიდოდა. ვუბნებოდი ხოლმე: ნეტავ, ჩემს შვილებსაც ისე ვუყვარდე, როგორც შენ გიყვარს დედაშენი-მეთქი. ლექსი დამიწერა, სიყვარულს მიხსნიდა და თან დედას იფიცებდა: „შენ კარგად იცი, მართლა მიყვარხარ, თუ არ მიყვარდე, დედას ვფიცავარ“.

მისი სიკვდილის მერე მეც ლექსად ვესაუბრები მას:

„შენს სიკვდილს გაჰყვა ბედნიერება,  
უშინოდ ყოფნას, ვიცი, რაც ჰქვია,  
ნეტავ დაბრუნდეს დრო ნეტარების და გალაღებულ ბავშვად მაქცია, ჩავიხუტებდი ტყუპისცალივით თუ ისევ დარდმა არ წამაქცია“.

დღეს, როცა ობოლა აღარ არის, მისი სამეგობრო არ გვივიწყებს. ამას წინათ, პატარა ნუციკოს ზეიმზე საჩხერელი მეგობრები მის საბავშვო ბაღში მივიდნენ. 13 ოქტომბერს, ობოლას დაბადების დღეს საჩხერის კულტურის სახლი მისი სახელობისა გახდა. ძალიან მიხარია, რომ ახსოვთ და უყვართ... მეზობლებს კი დიდი სურვილი აქვთ, ამ ქუჩას, სადაც ობოლა ცხოვრობდა, მისი სახელი ეწოდოს.

ობოლა თურმე ხშირად ამბობდა: არ არსებობს უბედურება, რომელშიც არ მოიძებნება იმედის ჰაწაწკინტელა ნაპერწკალი მაინც. ეს ნაპერწკალი მას რთულ ცხოვრებას გაუადვილებს, სიკეთით და სიყვარულით აღავსებს და შეუძლებელს შეაძლებინებსო.

ნათიამაც იბოვა დიდ მწუხარებაში ობოლასეული ნაპერწკალი. ეს კი – პატარების მომავალი, მეუღლის ლამაზი მოგონებები და უსაზღვრო სიყვარულია.

ობოლა ციმაკურიძე მეუღლესთან ერთად







**მ** არჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის – „შთამომავლობის“ პრემიერის შემდეგ, მაშინ დამწყები მსახიობის – ნინო ხომასურიძისათვის, იაკობ ტრიპოლსკის მოკრძალებით უთხოვია, მასთან სამასსოვრო ფოტოს გადაღება. ეს ფოტოსურათი შემდეგ დიდი მითქმა-მოთქმის საგნად ქცეულა, რადგან ყველასათვის საყვარელი მსახიობი მას წლების მანძილზე გულის ჯიბით დაატარებდა. ამის შესახებ ყველამ იცოდა და თეატრში ამბობდნენ – ფოტოსურათი ცქერით გაცვდა, იამას კი, დიდი ხანია, მამაშვილური სიყვარული „სხვანაირ“ გრძნობაში გადაეზარდა. ტრიპოლსკი მეგობრების ქილიკს ყურადღებას არ აქცევდა, პასპორტს ამოიღებდა, გადაშლიდა, შიგ ჩადებულ ფოტოსურათს სინაზით სავსე თვალებით დახედავდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „თქვენ რა გესმით – სულელები ხართ!“ ფოტოსურათის ამბავს ბოლოს ნინოს მეუღლის ყურამდეც მიუღწევია, ბატონი იამას მეუღლესაც გაუგია, თუმცა, საოჯახო კონფლიქტები არ მოჰყოლია: სხვა თუ არაფერი, იაკობ ტრიპოლსკის მამაკაცური პატიოსნება და სიწორფელე საქვეყნოდ ცნობილი ყოფილა.

ტრიპოლსკის ამ ფოტოსურათისთვის თავისი სახელიც შეურქმევია: „ჩემი სიბერის სიყვარული“. გადიოდა დრო. ფოტოსურათი შეილახა, ტრიპოლსკი კი, მაინც ვერ ელეოდა თილისმადქცეულ რელიკვიას. „აი, აქ არის მარადი სინორჩე და მე დღითი დღე უფრო ვიხიბლები მისით!“ – კვლავ და კვლავ იმეორებდა უცვლელი მუხის ერთგული მსახიობი...

რამდენიმე წლის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში გერპარდ ჰაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ“ დაიდგა. ამ სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლი ნინო ხომასურიძეს შესთავაზეს. მასზე შეყვარებული ასაკოვანი კაცის როლი კი... თურმე იამა გულისფანცქალით ელოდა, რომ ამ როლს მას შესთავაზებდ-



# ჩემი სიბერის სიყვარული

ნენ. „ვის, თუ არა მას?!“ – ჩურჩულებდნენ კულისებში. მაგრამ ნაოცნებარს განხორციელება არ ეწერა: მატეას კლაუზენის განსახიერება კოტე მახარაძეს ხვდა წილად. გულდაწყვეტილ ტრიპოლსკის უთქვამს: როლს არ ვჩივი – უბრალოდ, ჩემს ცოცხალ ოცნებასთან მინდოდა თამაშიო... თეატრიდან გამოსულ გულდაწყვეტილ მსახიობს, შემოსასვლელში ფოტოკორესპონდენტი შეჰკებებია და უთხოვია – სურათს გადაგიღებო. ამ დროს ნინო, ტრიპოლსკის დასამშვიდებლად გამოჰყოლია და...

### ნინო ხომასურიძე:

– ვხედავ, ბატონი იამა უხალისოდ დგას ფოტოკორესპონდენტის წინ, ის კი ცდილობს, მისთვის სასურველი განწყობის ფოტო გადაიღოს, მაგრამ ამაოდ – ბატონი იამა არ იღიმება! მე მის ზურგს

უკან, თეატრის კედელთან ატუზული მთმინებით ვიციდი, რომ კადრი არ გავაფუჭო. ამ დროს ვიდაცამ იამა ჩემკენ მოახვდა ... მას მოულოდნელად სახე გაუნათდა და ხელით მანიშნა – აქ მოდიო! არც მასსოვს, როგორ გაეჩნდი ამ საოცრად თბილი გრძნობით გამსჭვალული კაცის გვერდით, როგორ მომხვია ხელი... მაგრამ უცებ გაისმა ფოტოლაპარატის ჩხაკუნის ხმა და გაჩნდა კიდევ ერთი ფოტოსურათი, რომელზეც მე და იაკობ ტრიპოლსკი ერთად ვართ გადაღებულნი. ეს, მეორე ფოტო, უკვე ჩემს თილისმად იქცა. რამდენს მეხვეწა მისი ვაჟიშვილი, მაგრამ მისდამი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, არ მივეცი: ამ სურათს ვერასოდეს ვერანაირ ფასად ვერ შეველევი!

ნანა ჰიბიშაური



დარწმუნებული ვარ, ბავშვები ძალიან გეყვარებათ. — ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც თქვენც სომ იყავით ბავშვი. ალბათ კვლავ ბავშვად ყოფნაც მოგსურვებიათ და, რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ ეს შეუძლებელია...

სულაც არა — მთავარი, მონდომებაა. აი, მე მოვინდომე

ღანი ბრძელობილი

... პატარები დიდი სერიოზულობით საქმიანობენ — ვინ საბავშვო კუბურებს აწყობს, ვინ თოჯინებს დაათრევს აქეთ-იქით.

მეც, რაც შეიძლება საქმიანი იყრი მივიღე და „მარაქაში გავერიე“. სამი ბიჭუნა სახლს თუ ავტოსადგომს აწყობდა.

— ნელა, ბიჭო, ნელა, „კუბიკებს“ ნუ „აკანკალებ“! — დიდი კაცის იერიით ეუბნება ერთი მეორეს. ბევრი ვერაფერი გავიგე, ვინ რას „აკანკალებდა“, მაგრამ არ შევიმჩნიე და გვერდით მჯდომი მიშოს

და, ერთ-ერთი საბავშვო ბაღის გამგეს ერთი დღით „გამოვთხოვე“ ბავშვობა.

ეს ერთი დღე, დილიდან საღამომდე 3-4 წლის ბავშვებთან ერთად, ბავშვური ცხოვრებით ვიცხოვრე (გამოგიტყდებით, დიდი სიამოვნებით გავიგრძელებდი „მივლინებას“, რომ არა „აუცილებელი“ რეალობა...)

გასავონად, ვითომ სხვათა შორის, ჩავილაპარაკე:

— მე კიდევ, გუშინ, კონსერვატორიაში ვიყავი...

— მეც კი ვიყავი, „კონსერე... იმაში“ — დედიკომ წამიყვანა! — „წამოეგო“ მიშო ანკესზე.

— კი, აბა! თუ მართლა იყავი, აბა მითხარი, რა ნახე?

მიშო შეფიქრიანდა, მაგრამ არ დაბნეულა:

— რა და, ესეთი (ხელები გაშალა) დიდი ნიანგი იყო, ზოლებიანი (!)

საუბარი გიორგიმ აიტაცა:

— ჩემს სოფელშიც კი მინახია ნიანგი! აი, ამხელა იყო, ეკლებიანი, მოყვითალო და ამ ოთანის ხელა პირი გააღო! კინაღამ „გადამსასლა“, მაგრამ მამიკომ პანჩური ამოარტყა და ზღვაში „გაგააგლო“!

... პატარები ერთხმად აჟღერებდნენ.

— ნიანგი ვის აბაზანაში „ჰყოლია დამწვედული“ და ვის — ასანთის კოლოფში. ერთი-ორჯერ კი ვცადე, საუბარი სხვა რამეზე გადამეტანა, მაგრამ პატარების

# დიდი ჰატიანი

ფანტაზიას ვერ მოვერიე და გავცალკე კუთხეში, ფანჯარასთან თუნუქის ღრუბლი გიზგიზებს. მის გვერდით, კედელთან მუთაქებით დამშვენებული „მამაპაპური“ ტახტი დაუდგამთ. სამოდე წლის ბიჭუნა ბატონკაცურად წამოკოტრილა ბულიყო და მედიდურად ათვალეობდა იქაურობას.

დიქტოფონი ამოვიღე და ენა მოვიჩლიქე:

— გაუმალვოს! აი, მე ლა მაგალი ლაღაცა მაქვს?!


დინჯად ამთვალეირ-ჩამთვალეირს მერე, ისე ამომხედა, ნაღდად ფიქრობდა — რას ტუტუცობს ამხელა კაცი... ენის მოჩლიქისა შემრცხვა კიდევ. მაგრამ უხერხული პაუზა არ შევიმჩნიე და ამჯერად, ჩვეულებრივად ვცადე გავსაუბრობოდი.

— კარგი ახალი წელი იყო, არა? — შენთან ალბათ თოვლის პაპაც იქნებოდა.

- კი, იყო.
- მერე, რა მოგიტანა?
- მატარებელი.

ფანტაზიორობის წელანდელი გამოცდილება კარგად მასსოვდა და მაცდუნებლად შევაპარე:

— ისე, მაგარი ცხენებით მოფრინდა.



ბოსგნეული	ადგილი კუპეში	თამაში ცხენებით	ელსონ არანგეს ღო ნასიმენგო	კოსმოსური ცენგრი აშშ-ში	ნის ნაწილი	ჩვილის სეცყვა	სახელმწიფობა აფრიკაში	ჩას
გოცოტი	ბუნი	ნონი	ვოთოდი	აღუცხ	ნა	ნა	ნა	ნა
დასასრული	პერსონაჟი „დათა თუ-თაშხიდან“	სუქეკალი მანჯგალადის მონაწილეობით	... ლე ვევა	მდინარე რუსეთში	პოეტი ქალი ... ლეგბოსელი	წყლის ფრენე-ლი	გემებს ვასაწერებელი სიმძიმე	... რა და აღრე

# ადამიანები

არა?  
 - ვინა, ავთო? - პირი დაალო ბიჭუნამ.  
 - ავთო ვინდა არის? - ახლა მეც დავალე პირი.  
 - აი, თოვლის პაპა რო იყო, ავთო, ჩემი მეზობელი. წვერებს იკეთებს ხოლმე და ... მაგრამ, მაგან ფრენა არ იცის... - აშკარად მოიწყინა.  
 იქვე, პატარა მაგიდასთან ერთი ცქრი-ალა გოგონა იჯდა და ფერადი ფანქრებით „ხატავდა“ - წაღმა-უკულმა ავლებ-და ხაზებს ფურცელზე.  
 - შეიძლება? - ვეკითხები და დიდი სიფრთხილით ვვადები პაწაწინა სკამზე. თან, საუბრის გაბმას ვცდილობ:  
 - ვაა, ეს რა მაგარი რამე დაგიხატავს?!  
 - არაფერიც არ დამიხატავს. ისე ვვადებ... - ჩაილაპარაკა და ქვემოდან ამოხვდა.  
 - შენ აქ რას აკეთებ?  
 - არაფერს. მე ჟურნალისტი ვარ და მინდა, ბავშვებისგან ინტერვიუ ავიღო, - მიუვგე ღიად, ნახატთან დაკავშირებული წელანდელი „იალიშით“ შემინებულმა.  
 - აბა, მაჩვენე, სადა გაქვს „ინტერ-



ვიუ“?  
 - არა, თან არ წამომიღია. მოდი, გინდა, რაღაცებს შეგეკითხები და შენ მიპასუხე, კარგი?  
 თავს მიქნევს და თვალების ფახულით შემომყურებს.  
 - დედიკო გაბრაზებს ხოლმე?  
 - ხო...  
 - რას აშავებს, ცელქობს?  
 - არა, მცემს ხოლმე...  
 - მერე? რატომ გცემს ხოლმე?  
 - იმიტო რომ ვაბრაზებ...  
 - რატომ აბრაზებ?  
 - იმიტო რო ცუდად ვიქცევი...  
 - მერე, არ სჯობს, კარგად მოიქცე ხოლმე?!  
 - არ ვიცი...  
 - რა არ იცი?  
 - კარგად მოქცევა არ ვიცი... და იმიტომ.  
 - ე.ი. კარგად მოქცევას არ გასწავლის და მართო გცემს?  
 - ხო.  
 - შენ რა გინდა, როგორ გინდა, რომ იცოს?  
 - მე მინდა, რო კარგი გოგო ვიყო.  
 - კარგად მოქცევა გასწავლოს?  
 - ხო.  
 - და მამიკო რაღას აკეთებს ხოლმე?  
 - მამიკო მუშაობს...  
 ... ბავშვი ყოველთვის მართალია. ყოველდღიურობის ორომტრიალში ჩართულს, ხშირად გვავიწყდება ხოლმე პატარებთან ურთიერთობა. არადა, ჩვენი ყოფის ყოველი დეტალი ყველაზე მეტად „პატარა ადამიანების“ ცნობიერებაში იბეჭდება...

დასასრულ, საფიქრალად, ერთ საინტერესო ამბავსაც გადმოგცემთ.  
 ფსიქოლოგ-პედაგოგებმა სამეცნიერო ექსპერიმენტი ჩატარეს, „პატარა ადამიანების“ მონაწილეობით. ოთახში სხვადასხვა - 3 წლის, 5 წლის და სკოლამდელი ასაკის ბავშვები შეკრიბეს. ერთი შეხედვით, უმარტივესი შეკითხვა ყველასთვის საერთო იყო: რა უფრო ძალიან




უყვართ - დედა თუ კანფეტი? ბავშვებმა, რატომ უნდა, დედა აირჩიეს. ამის შემდეგ, მაცდუნებლად ბრჭყვიალა ქალაქში გახვეული შოკოლადის კანფეტები დაურიგეს და სთხოვეს, შეენახათ, თავ-თავიანთი დედიკოებისთვის, რომლებიც ცოტა ხანში უნდა მოსულიყვნენ. ბავშვები მარტონი დატოვეს ოთახში და თვალ-ყურს ვიდეოკამერის მეშვეობით ადევნებდნენ. ყველაზე პატარებმა - სამი წლის ბავშვებმა, სულ 15-ოდე წუთი მოითმინეს და ტკბილეული „შეახრამუნეს“, 5 წლისანებმა ცოტა მეტი გაძლეს - 20 წუთამდე. „დიდები“, 6 წლისანი ნახევარ საათს სცემდნენ ბოლოს ოთახში - ხან კარისკენ იხედებოდნენ, ხან ლამაზ ქალაქში გახვეულ კანფეტებს აცქერებოდნენ. ცდუნება დიდი იყო... ბოლოს და ბოლოს, მათაც ვერ გაუძლეს... ცოტა ხნის შემდეგ, კარი გაიღო და ბავშვების მშობლებიც შემოვიდნენ. რამდენიმე წუთი ხმას ვერავინ იღებდა: დამნაშავეს თვალებით, იატაკს დასჩერებოდნენ. შემდეგ, ერთი მათგანი აღრიაღდა და მას სხვა ბავშვებიც აჰყვნენ - მათთვის უდიდესი დრამა აღმოჩნდა ის, რომ დედა კანფეტში „გაცვალებს“...



გაბაქოს ბოლის ჩასუნთქვა	... და ნიჭო („ქეფო და კოტე“)	„ჯოკონდ“ ანუ „მონა“	ფიგურა პარიზის ღვთისმშობლის გაჭრამე	საჭმელად ვარჯისი სოკო	ქართული ღვინის მარკა	ა. ფურცელაძე „ხეივანი“	სმოიანი
მდინარე როინის ძველი სახელი	კანცლერი პედმუტ ...	კამეჩის შვილი	ნ. ბარათაშვილის ლექსი	ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი	მულტიპლიკაცია		

სწორედ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ეკუთვნის ცნობილი სიტყვები, 20-იან წლებში ბოლშევიკების მიერ საპყრობილეში გამომწყვდეულმა და ნატანჯმა პატრიარქმა რომ უთხრა ჯალათებს: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი, რაც გინდათ, ის უყავით“. ჭეშმარიტად, მაღალი სულიერების მოღვაწეს, ღირსეულ ქართველსა და ვაჟკაცური ბუნების ადამიანს შეეძლო, ეთქვა მსგავსი სიტყვები საშინელი განსაცდელის წამს და არ შემდრკალიყო.



# საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბოლშევიკთა სამსჯავროზე წმინდა ამბროსი აღმსარებელი

წმინდა ამბროსი იყო უაღრესად მოყვარე თავისი სამშობლო ქვეყნის, თავისი ერის, ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიისა. მღვდლობის პერიოდში, 8 წელი მოღვაწეობდა სოხუმში, სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენას და ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებას. მისი ნაცნობები იგონებდნენ, რომ ის იყო ნიჭიერი, განვითარებული, უაღრესად პატიოსანი, კეთილი, სათნო და უერთგულესი ადამიანი. ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლისას თვალყურს ადევნებდა საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას, ქართველთა ბრძოლას თვითგამორკვევისათვის, მუშაობდა ჩვენ ისტორიის პირველწყაროებზე და მომზადებული ჰქონდა რამდენიმე ისტორიული და სხვა სახის ნარკვევი. მისმა საკანდიდატო დისერტაციამ, „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“, ისეთი ყურადღება მიიპყრო, რომ პროფესორს უთხოვია, შეეცხოზოგიერთი თავი და წარედგინა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ამბროსი ხელაია ბერად აღიკვეცა და საქართველოში დაბრუნდა, სადაც ერის სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად დაულაღავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის. ამისათვის იგი 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში კვლავ დაბრუნების შემდეგ, არქიმანდრიტად ეკურთხა და ჭელიშის მონასტრის წინამძღვრობა დაეკავა.

მამა ამბროსიმ ბევრი იღვაწა ოდესღაც უმდიდრესი ჭელიშური ხელნაწერების მოსაძიებლად და აღსადგენად. ერთხელ ეკლესიის ეზოში გამოსული წინამძღვრის ყურადღება მიწის სიღრმიდან ამოსულმა ყრუ ხმამ მიიპყრო. გაათხრე-

ინა ის ადგილი და უძველესი სახარება აღმოაჩინა.

1908 წელს მამა ამბროსის ბრალად დასდეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა და რუსეთში გადაასახლეს. მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვეს და რიაზანის მონასტერში გაგზავნეს, სადაც ერთ წელზე მეტი, უსასტიკესი რეჟიმის პირობებში გაატარა.

1917 წელს, გამართლებული არქიმანდრიტი კვლავ ახერხებს საქართველოში დაბრუნებას და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხდება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარმა გლობალურმა ცვლილებებმა ხელსაყრელი მომენტი შექმნა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 16 მარტს თბილისში შედგა სასულიერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო. წმინდა ამბროსი ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი ცხუმ-აფხაზე-

თის მიტროპოლიტად გაამწესეს. 1921 წლიდან იგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქია.

1921 წლის 25 თებერვლის მოვლენების შემდეგ, საქართველოს კვლავ დაედგა სამარცხვინო მონობის უღელი. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში ფეხის შემოდგმისთანავე დაიწყო სარწმუნოების დევნა, ცეცხლითა და მახვილით დაერია ეკლესია-მონასტრებს – დაანგრია და გააუქმა 1200 ტაძარი, დაატუსაღა და დაზერიტა მრავალი სასულიერო მოღვაწე.

ერის სულიერმა მამამ და მწყემსმა 1922 წლის 7 თებერვალს გენუის კონფერენციის წარმომადგენლებს გაუგზავნა მემორანდუმი. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა ბოლშევიკური იდეოლოგიისათვის და არც მთავრობა შეხვედრია ამ ფაქტს გულხელდაკრეფილი. მალე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე პატრიარქთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს წევრებიც განისჯებოდნენ. მათ ბრალად დასდვეს გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების განაპურის გადამალვა და სხვა ამგვარი „დანაშაულობანი“.

სასამართლოზე პატრიარქის სიტყვები და მხილება ყველას მოაგონებდა ძველ ქრისტიანთა თავდადებას და შეუპოვრობას. ერთ-ერთ დაკითხვაზე მან თქვა: „სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს, ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებული ძალით. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც, საქართველო არ იქნება გამონაკლისი საზოგადო კანონებიდან“.

სასამართლო პროცესის ბოლოს, მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვაში პატრიარქმა ამბროსიმ სწორედ ის ცნობილი ფრაზა თქვა, რომელიც შესავალში მოვიტანეთ. სასამართლომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს 7 წლით, 9 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტით, ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს სასჯელი მოუხსნეს, მაგრამ უკვე ხანში შესულ და ჯანგაბუნებულ ერის მამას დიდხანს აღარ უცოცხლია – სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

1994 წელს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში ამბროსი აღმსარებლის სახელით.

მამუკა გიორგაძე

როგორ ეყრებოდა საფუძველი ქართულ შეიარაღებულ ძალებს, რა ობიექტური სიძნელები თუ ხელისუფლების შეცდომები სდევდა თან ამ ურთულეს პროცესს — ამის შესახებ „გზის“ 28-ე ნომერში მოგიტყობინებ. ახლა კი ვაგრძელებთ თემას, ოღონდ ამჯერად ჯარის მშენებლობის საქმეს უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის — მესხეთის ომის ფონზე მიმოვიხილავთ.



ცენტრში — ნოე ჟორდანიას, მისგან ხელმარჯვნივ — სამხედრო საქმეთა მინისტრი გიორგი ბერიძე, მარცხნივ — მთავარსარდალი მამია მამიაშვილი

ქახა მაისურაძე

## პირველი რესპუბლიკის

# მხარე გაიმოსდა

### მესხეთის ომი და ქართული ჯარი 1919 წელს

ქართული ჯარის პირველი სერიოზული კრიზისი როდესაც მესხეთის ომზე ვსაუბრობთ, საკითხი ეხება უპირველეს ყოვლისა, იმ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენას, რომელიც პირობითად 1919 წლის ახალციხის აჯანყებით არის ცნობილი. რა უძღოდა წინ ამ კონფლიქტს? ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან, მხარის ოკუპირებას ახდენს თურქეთის ჯარი. 1918 წლის დეკემბერშივე I მსოფლიო ომში (1914-18 წ.წ.) დამარცხებისა და ანტანტასთან დადებული მუდროსის საზავო გადაწყვეტილებით, თურქეთს გაჰყავს თავისი ჯარები აღნიშნული რეგიონიდან. მასთან შეთანხმებისთანავე ეს ტერიტორია ქართულმა არმიამ დაიკავა. მხარის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მაყაშვილი, მთავრობის ე.წ. „უფლებამოსილ პირად“ კი, საქართველოს იმდროინდელი მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი — ლეო რუსაძე, რომლის ხელშეწყობით ფაქტობრივად თავი მოიყარა მთელმა უმაღლესმა პოლიტიკურმა და ადმინისტრაციულმა ძალაუფლებამ. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყება არ მოხდებოდა, რომ არა იმდროინდელი მთავრობის გამორიცხვით გატარებული ხისტი ადმინისტრაციულ-სოციალური პოლიტიკა. მოგეხსენებათ,

რეგიონი 300 წელი თურქეთის უღელქვეშ გმინავდა. მხარეში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ბეგები და მოლები, რომელთა პრივილეგიების პრინციპის საფუძველზე იყო აგებული მთელი იმდროინდელი მესხეთის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. მთავრობამ კი საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ამ მდგომარეობის მუშტის ერთი დაკვრით შეცვლა მოინდომა და დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცხო, „სოციალისტური პოლიტიკის“ გატარება, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ მოლებსა და ბეგებს საჯაროდ ართმევდნენ მიწებს, უჯანყებდნენ მოსახლეობას — კონტრრევოლუციონერები, თქვენი მყველფავები არიან და უნდა გაანადგუროთ. ვიწრო სოციალურმა მიდგომამ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა განსაზღვრა, რომელშიც სხვა ფაქტორები არ იყო გათვალისწინებული. მაგალითად, ცნობილია, რომ მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ზომერეკი, მესხ თავადთან, ხიმშიაშვილთან სტუმრობისას, იმავე თავადის აივანიდან ასე მიმართავდა ხალხს: „თავადიშვილები უნდა დახოცოთ და თავიდან მოიშოროთ“ (რევაზ გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, 1992 წ.). ყოველივე ამან მეტად ნოყიერი ნიადაგი შექმნა იმისათვის, რომ ადგილობრივი ბეგები და მოლები აჯანყებულნიყვნენ და მოსახლეობაც აეყოლიებინათ. როგორც თავად მხარის მაშინდელი გენერალ-გუბერნატორი მაყაშვილი

იგონებდა: „მთავრობის დაბალმა ადმინისტრაციულმა აპარატმა, ჯერ ერთი, თავისი მოუმზადებლობით და მეორე, თავისი ტლანქი და მოურიდებელი ქცევით და ადგილობრივი ადათებისა და კანონების შელახვით ისე გააბოროტა მთელი მოსახლეობა, რომ ისინი მზად იყვნენ მიჰკვლეოდნენ ყველას, ვინც კი დაიფარავდა მათ ამ მხეცებისაგან — როგორც უწოდებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები მთავრობის კომისრებს“. აჯანყება 1919 წლის თებერვალში დაიწყო. მას სათავეში ედგა ადგილობრივი თავადი ახალციხის ფაშების საგვარეულოდან სერვეგ-ბეგი (ჯაყელი), რომელმაც მოსახლეობის ამ უკმაყოფილების ნიადაგზე საქართველოს და სომხეთის სამხრეთ და დასავლეთ ტერიტორიებზე თვითმარქვია „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა გამოაცხადა“, თავისი ცენტრით ყარსში, და ქართული ადმინისტრაციის მთელი მესხეთიდან განდევნა დაისახა მიზნად. მხარეში სამხედრო თვალსაზრისით ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი: სუსტი, ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი ქართული სამხედრო ფორმირებები იმ დროისათვის მხოლოდ მესხეთის ორ — ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გაკონტროლებას ახერხებდნენ. იქ განთავსებული იყო ორი ქართული ლეგიონი: ერთი ახალციხის რაიონში, პოლკოვნიკ გელოვანის, ხოლო მეორე

ახალქალაქის რაიონში, პოლკოვნიკ ყანჩაველის მეთაურობით. გარდა ამისა, რეგიონში იყო სამხედრო ნაწილები სხვადასხვა სახელწოდებით, მაგალითად: განსაკუთრებული რაზმები „ჟორდანისი“, „კერესელიძის“, „ფხაკაძის“, „რომლებიც ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენდნენ, მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებოდნენ, ასობით იღებდნენ სურსათს, ტანსაცმელს და არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად სიებისა“ (გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებები“, 1990 წ.).

საომარი მოქმედებები კი ასე განვითარდა. 1919 წლის 1 თებერვალს ახალციხის კათოლიკურ სოფლებთან: არალისთან, უდესთან, ვახნართან დაბანაკებულ ქართულ ჯარებს თავს დაესხნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. იქ განთავსებული ქართული მე-4 ლეგიონი იძულებული გახდა, უკან დაეხია. მთავრობამ მომხდარ მარცხში მთელი პასუხისმგებლობა მხარის გენერალ-გუბერნატორს ბალო მაყაშვილს დააკისრა და 1 თებერვალსვე გაათავისუფლა თანამდებობიდან (ბალო მაყაშვილი იყო მეფის დროინდელი გენერალი, გამოცდილი სარდალი, რომელსაც I მსოფლიო ომში გამოჩენილი მამაცობისთვის მეტსახელად „თხრილების გენერალი“ უწოდეს).

მხარის ახალ გენერალ-გუბერნატორად და იქ განლაგებული ქართული შენაერთების სარდლად ინიშნება გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. მას მთავრობა ჰპირდება, მდგომარეობის გამოსასწორებლად გაუგზავნოს სუთიათასკაციანი სამხედრო შენაერთი. მაგრამ იმავე თვის თებერვალში სოჭი-აფხაზეთის მიმართულებით მნიშვნელოვნად იძაბება მდგომარეობა. იქმნება მეორე ფრონტის გახსნის საშიშროება, რის გამოც მთავრობა ვეღარ ასრულებს დანაპირებს. მაზნიაშვილის განკარგულებაში კი რჩება იქ განთავსებული ერთხელ უკვე დამარცხებული და სამხედრო ორგანიზაციის თვალსაზრისით მოშლილი შენაერთები. მისი ყოველი ცდა – არსებული ძალებით შეაჩეროს მოწინააღმდეგის წინსვლა, შეუძლებელი ხდება: მტერს წინააღმდეგობა ადგილობრივ ძალთაგან მხოლოდ ერთადერთმა – თავადმა ბახშიბეგ მაჩაბელმა გაუწია, რომელმაც ფოცხოვის რაიონში, თავისი მამულისაკენ დაძრული მტერი შეაჩერა.

უკანასკნელი, რაც გენერალმა მაზ-



გენერალი გიორგი კვინიტაძე

ნიაშვილმა მოიმოქმედა, ახალციხის შენარჩუნების ცდა იყო. მან ქალაქის მთელ ძალებებს თხრილები შემოავლო, მაგრამ ერთხელ უკვე დამარცხებული და ევაკუირებული, დემორალიზებული ჯარისკაცები ქალაქის დამცველებად აღარ გარგოდნენ: ისინი ქაოტურად იხევდნენ უკან. როგორც თავად მაზნიაშვილი იგონებს: თხრილებში ჩასხდომა არავინ ისურვა – „ერთ ნაწილს რომ გადაველობებოდი და შევაჩერებდი, მეორე ნაწილი გამორბოდა, ამათ რომ გამოვეკიდებოდი და შევაჩერებდი, ახლა პირველი ნაწილი გარბოდა“.

ამრიგად, ქალაქი დაუცველი აღმოჩნდა. თებერვლის შუა რიცხვებში მტერი ახალციხეში უბრძოლველად შევიდა. იგივე გამოერდა აწყურშიც. იქ განთავსებულმა ქართულმა შენაერთებმა ვერც მისი შენარჩუნება მოახერხეს. უაპქცევით ამჯერად შეიარაღებული ძალების მეორე ფორმირებამ – „სახალხო გვარდ-

იამ“ „ისახელა“ თავი: 2500-მა სახალხო გვარდიელმა, რომელსაც ქალაქის დაცვა ეკისრებოდა, ღამით, ტყის ბილიკებით დაიხია უკან და მტერს უბრძოლველად დაუთმო აწყური. ამგვარად, თითქმის მთელი მესხეთი დედასამშობლოსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ეს კი არა და, საფრთხე თბილისსაც კი დაემუქრა: ქართული ჯარების მარცხით გათამამებულ მტერს მადა გაეხსნა და საქართველოს დედაქალაქისაკენ დაიძრა. ახალშობილ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. ქართული ჯარის ხელში მთელი მესხეთიდან მხოლოდ ქ. ბორჯომი იყო დარჩენილი. არსებული პანიკური მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით, ადგილზე თავად მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანიას ჩავიდა, მაგრამ მესხეთიდან დევნილ ლტოლვილებს მისი ვაგონი კინაღამ დაუმტვრევიათ და მდგომარეობის გამწვანება მხოლოდ მისი თანმხლებლის, გენერალური შტაბის პოლკოვნიკის ძელანიას აქტიური ძალისხმევით შედეგად გამხდარა შესაძლებელი (გენ. გიორგი კვინიტაძე, „მოგონებები“, 1998 წ.). არსებული მდგომარეობა, დათმობილი პოზიციების დასაბრუნებლად, რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა.

## მესხეთის ომი და ქართული ჯარის პირველი დიდი გამარჯვებები

მარცხმა უკიდურესად გაამწვავა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. ქვეყანაში მობილიზაცია გამოცხადდა. ბორჯომში ჯარების თავმოყრა დაიწყო. ჯარების სარდლობაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაათავისუფლეს გენერალ მაზნიაშვილის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ჯიჯიხია, მისი ადგილი გენერალმა კვინიტაძემ დაიკავა. ხოლო გენერალი ჯიჯიხია მხარეში მოქმედი მე-4 ქართული ლეგიონის სარდლად გადაიყვანეს. მისი თავდაპირველი სარდალი, პოლკოვნიკი გელოვანი კი უმოქმედობაში დაადანაშაულეს და გადააყენეს. „პოლკოვნიკი გელოვანი I მსოფლიო ომის დროს სარდლობდა ციმბირის ერთ-ერთ გამოჩენილ ლეგიონს, ჯილდოდ ჰქონდა მიღებული წმ. გიორგის ჯვარი. ოპერაციებში 5-10 თებერვლამდე ის მოქმედებდა უმწიკვლოდ. რა მისი ბრალია, თავაშვებულ ჯარისკაცებს რომ ბრძოლა არ უნდოდათ? მაგრამ, როგორც

ყოველთვის, როდესაც რაიმე უბედურება მოხდება, განსაკუთრებით პირველ ხანებში საჭიროა ვისიმე გამტყუნება, განტყევის ვაცად ქცევა – მთავარი დამნაშავე, მთავრობის თვალში, აღმოჩნდა მამაცი და გულადი მეომარი პოლკ-გელოვანი“ (გენ. მაზნიაშვილი, „მოგონებანი“ 1990 წ.).

მალე გელოვანის ბედი თვით გენერალმა მაზნიაშვილმაც გაიზიარა. ჯერ უხმაუროდ, დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ სამართალში მისცეს – უმოქმედობისა და ღალატის ბრალდებით. მისი საქმის დახურვა, სამხილის უქონლობის გამო, მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

მესხეთის ახალ გენერალ-გუბერნატორად და სარდლად მთავრობა ნიშნავს მანამდე გენერალ მაზნიაშვილის შტაბის უფროსს, გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომელზეც თვით მაზნიაშვილი საკმაოდ უარყოფითი აზრის იყო. „ჩემთვის საწყენი იყო, როდესაც ვაგიგე, რომ კვინიტაძეს, როდესაც ის ბორჯომში მოვიდა ჩემთან, როგორც შტაბის უფროსი, უკვე ჯიბეში ელო თავის სარდლად დანიშვნის ბრძანება და ეს გარემოება დამიძალა“ (გიორგი მაზნიაშვილი, „მოგონებანი“, 1990 წ.).

დანიშნისთანავე გენერალმა კვინიტაძემ საკმაოდ ენერგიული მოქმედება დაიწყო. ჯერ კიდევ სარდლად დანიშვნამდე მთავრობას პირდაპირი ულტიმატუმი წაუყენა: თუ მის დაქვემდებარებაში ათათასკაციანი ჯარი არ გადავიდოდა, იგი ხელს არ მოჰკიდებდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მთავრობამ უმაღლეს რეალურულა ეს მოთხოვნა. გამოცხადდა მობილიზაცია, ამასთანავე უკვე აღარ არსებობდა სოჭი-აფხაზეთის ფრონტი, რაც წინათ მაზნიაშვილის გენერალ-გუბერნატორობის ხანაში, ორი ფრონტის საშიშროების წინაშე აყენებდა იმდროინდელ მთავრობას. ამრიგად, პირობები უკვე თითქმის მომწიფებული იყო იმისათვის, რომ თებერვლის ერთთვიანი უკან დახევის შემდეგ, მარტიდან ქართული ჯარი კონტრშეტევაზე გადასულიყო. და გადავიდა კიდევ. „ჩვენი წარმატებები, კვერცხზე ჩაქუჩის დატყვობის“ ეფექტით ვითარდებოდა – აღნიშნავდა თვით გენერალი კვინიტაძე.

5 მარტს ეროვნული ჯარების და სახალხო გვარდიის ერთობლივი მოქმედებით აღებულ იქნა აწყური. ორ დღეში, ქართული ჯარები დაჯავშნული

ავტომობილების თანხლებით შედიან ახალციხეში. ახალციხისათვის წარმოებულ ბრძოლებში განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შტაბს-კაპიტან მირიანაშვილის თავგანწირული მოქმედება. მთავარი შტაბის ამ თავგანწირულ მოქმედებას, პირდაპირ ტყვეების ზუსტად უხედებოდა მოქმედება, მაგრამ მაინც პირნათლად ასრულებდა მტრისაგან დანგრეული ხიდებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების აღდგენას.

21 მარტს ქართული ჯარი იკავებს ახალქალაქსაც. ქალაქის ბედი მარტივად და თითქმის უბრძოლველად გადაწყდა. მას შემდეგ, რაც იქ განთავსებულმა მოწინააღმდეგემ შეიტყო ახალციხის ფრონტზე დამარცხების ფაქტი, წინააღმდეგობის გარეშე დატოვა ქალაქი და უკან დაიხია.

ამ წარმატებებს მოჰყვა შეტევის შემდგომი გაგრძელება. ომის ბედს ისტორიული კოლა-არტაანის მხარეების დაკავების საკითხი წყვეტდა. ეს აუცილებელი იყო, არათუ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, არამედ წმინდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც, რადგან თუ არტაანი მტერს დარჩებოდა, საშუალება ეძლეოდა, შეტევა კვლავ ორი – ახალციხისა და ახალქალაქის მიმართულებით განეფართოებინა, ხოლო ახალქალაქის ხელში ჩაგდებათ საფრთხე თბილისსაც დაემუქრებოდა.


ჩამოყალიბდა ქართული ჯარების ორი ძირითადი დაჯგუფება, რომელთაგან ერთს, გენერალ ართმელაძის მეთაურობით, ახალქალაქის, ხოლო მეორეს,

გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით, ახალციხის მხრიდან უნდა მიეტანა არტაანზე იერიში.

ამოცანა წარმატებით იქნა სისრულეში მოყვანილი. 18 აპრილს ქართული ჯარი არტაანის ოლქში შევიდა. 19-ში გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელშიც განსაკუთრებით თავი ისახელებს გენერალ ართმელაძის სამხედრო შენაერთებმა. მტერი დამარცხდა და უკვე 20 აპრილს ქართული ჯარი მარშით შევიდნენ არტაანში. 21-22 აპრილს ერთმანეთს შეუერთდნენ გენერალ ართმელაძის და გენერალ სუმბათაშვილის ნაწილები და ამით არტაანის ოლქის დედამამშობლოსთან შემოერთების ოპერაცია დასრულდა. მალე დასრულებულ იქნა ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის და მთავრობის მოღვაწეობაც. არტაანის აღების დღეს, 20 აპრილს ინგლისელებმა მათ სარეზიდენციო ქალაქ ყარსში ჯარები შეიყვანეს და მთავრობის ყველა წევრი დააპატიმრეს. მათი ლიდერი, სერვეტ-ბეგი თურქეთში გაიქცა. აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმდროინდელმა ქართულმა ავიაციამაც, რომლის დანიშნულებაც ძირითადად სადაზვერვო ფუნქციებით განისაზღვრებოდა – ნიშანდობლივია ისიც, რომ არმიის მთავარმა შტაბმა არტაანის გათავისუფლების შესახებ პირველად ინფორმაცია სწორედ ავიატორ სენიაშვილის საშუალებით მიიღო.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ხელმძღვანელობა. ცენტრში (მინელის გარეშე) სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე**





ძმებ რაიგებს მეცნიერთათვის რომ ესმინათ, ვერასოდეს აფრინდებოდნენ

ახლა კი რამდენიმე მაგალითი უფრო ახლო ისტორიიდან.

„მოუხედავად იმისა, რომ თეორიულად და ტექნიკურად ტელევიზიის შექმნა შესაძლებელია, კომერციული და ფინანსური თვალსაზრისით, ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ეს ერთ-ერთი იმ გამოგონებათაგანია, რომელზეც შეიძლება ცოტა ხნით იოცნებო და სხვა არაფერი“.

„ეფექტობ, კომპიუტერების მსოფლიო ბაზარი 5 ცალს ვერასოდეს გადააჭარბებს“.

ეს ორივე აზრი ამერიკელებს ეკუთვნით, რომელთაც რეტროგრადობასა და კომერციული ალღოს უქონლობას ნამდვილად ვერაინ დასწამებს. პირველი განაჩენი დიოდის გამოგონებელმა ლი დე ფორესტმა 1926 წელს გამოიტანა, როცა, ცოტა მოგვიანებით, პირველი სატელევიზიო დანადგარების დემონსტრირება მოხდა, მეორე კი, კომპანია IBM-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ტომას უოტსონს ეკუთვნის. ეს აზრი მან 1943 წელს გამოთქვა – მაშინ, როცა საგულდაგულოდ მუშაობდნენ პირველი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების შექმნაზე.

ახლა დიდ ბრიტანეთში გადავინაცვლოთ. როგორც ცნობილია, 1915 წელს პირველი ტანკები სწორედ ინგლისელებმა შექმნეს. ნაკლებად ცნობილია, რომ ეს პროექტი ინგლისის სამხედრო სამინისტროს არქივში 1912 წლიდან იდო წარწერით: „გიჟის ბოლები!“

საფრანგეთში? პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ რამდენჯერმე უარყო ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა, მეტეორიტების წარმოქმნის თეორია (იმ მოტივით, რომ „არ შეიძლება ქვები ზეციდან ცვიოდეს, იმიტომ რომ ზეცაში ქვები არ არის“, ამ ვერდიქტს კი ხელს აწერდა მრავალი დიდი მეც-

ნიერი, მათ შორის ლაუჟაზე), დაბოლოს, ფარდობითობის თეორია. როცა 1933 წელს, უკვე სახელგანთქმულმა აინშტაინმა აკადემიის სხდომაზე დასწრება დააბირა, 33 აკადემიკოსმა განაცხადა – თუ „ეს შარლატანი“ დარბაზში გამოჩნდება, სხდომას დაეტოვებთ.

ადრეული კოსმონავტიკის ისტორია ხომ, საერთოდ საგანგებო საუბრის თემაა. ციოლკოვსკის ტანჯვა-წვალება საყოველთაოდ არის ცნობილი. მოშურნე კოლეგებისგან არანაკლები წინააღმდეგობა შეხვდა ამერიკელ გოდარს, რომელმაც თხევად საწვავზე მომუშავე რაკეტა გაუშვა. ია-ვარდით მოფენილი გზა არც მათ გერმანულ კოლეგას, ვერნერ ფონ ბრაუნს გაუვლია, რომელიც „პროფილაქტიკური საუბრისათვის“ გესტაპოშიც კი დაიბარეს. ამ საუბრის არსი შემდეგში მდგომარეობდა: „თავს ნუ გამოიტენით ისეთი ბოლდებით, როგორცაა ორბიტალური თანამგზავრები, მთვარეზე გასაფრენი რაკეტები და ზეცაში ასაფრენად ატომური ენერჯის გამოყენება; საქმეს მოჰკიდეთ ხელი, საქმეს, ფონ ბრაუნი!“

მოგვიანებით ვერნერ ფონ ბრაუნს მთვარეზე გასაფრენი რაკეტის შექმნის შესაძლებლობა მიეცემა, ოღონდ არა გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყანაში – აშშ-ში.

### მეცნიერული ცოდნით ნაკარნახევი მიგნება

XX საუკუნის შუახანებიდან მეცნიერული წინასწარმეტყველება საზოგადოებრივ აუცილებლობად იქცა. რა თქმა უნდა, ლაპარაკია დასავლეთის ქვეყნებზე, თორემ რკინის ფარდის აქეთა მხარეს ნათელი მომავლის გასაღებს მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში ეძებდნენ.

სამეცნიერო საფუძველზე შექმნილი პროგნოზების აუცილებლობა იმან გამოიწვია, რომ სამყარო ინერციული აღარ გახლდათ. რომელიმე გამოგონებასა თუ ნოვაციას შეეძლო თავდაყირა დაეყენებინა ეკონომიკა და თვით პოლიტიკაც. მარტო ინტერნეტი რად ღირს?! მან ხომ მილიანად შეცვალა ჩვენი შეხედულებები ინფორმაციის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, განათლების სისტემაზე, ვაჭრობაზე, ახალგაზრდობის პრობლემებზე, ცენზურაზე, პოლიტიკასა და ომის წარმოების მეთოდებზეც კი – ბრძოლის ველი უფრო ხშირად ინფორმაციულია.

მოკლედ, წარმოიშვა ახალი მეცნიერება – ფუტუროლოგია, რომელიც სასწრაფოდ შეიარაღდა კომპიუტერებით და მათემატიკოსთა და სოციოლოგთა უძლიერესი გუნდით. ამ დარგის წამყვანი ინსტიტუტები ათწლეულების მანძილზე მრავალი ცნობილი ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის „სალოცავ“ ადგილს წარმოადგენდა. ამ უკანასკნელებს ანტერესებდათ, სად ჩაეღოთ ფული, რა ელონათ, რომ თავიდან აეცილებინათ სახიფათო ტენდენციები ამა თუ იმ სფეროში და სხვა...

ამ ცენტრების სპეციალისტების მიერ დამუშავებული მრავალი კონკრეტული პროგნოზი გამართლდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფუტუროლოგები არ ცდებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველაფერი სწორხაზოვნად, რეკლუციური აფეთქებების გარეშე მიმდინარეობდა.

მაგრამ XX საუკუნემ ხომ წყნარ და სწორხაზოვან განვითარებას წერტილი დაუსვა. ყოველი „გაუთვალისწინებელი“ გამოგონება თუ აღმოჩენა – ასეთი კი უამრავი იყო – თავდაყირა აყენებდა ფუტუროლოგების პროგნოზებს.

### როდესაც ექსპერტები ცლებიან

ნათქვამის დასადასტურებლად საუკეთესო ილუსტრაციაა ფუტუროლოგიური ცენტრების წამყვან ექსპერტთა მიერ 1989 წელს შეგროვილი პროგნოზები სახელწოდებით – „2000 წელს და მას შემდეგ“. ამ წიგნის რეზიუმე, ანუ მომავალი საუკუნის სამყაროს სახე, ჟურნალ OMNI-ში გამოქვეყნდა.

ბევრი რამ ექსპერტებმა ჭკვიანურად და ზუსტად იწინასწარმეტყველეს – მათი პროგნოზები ან უკვე გამართლდა, ან ახლო მომავალში უეჭველად გამართლდება.

ატომური ომის საფრთხე დროებით

### IBM-ის შეფი გომას უოტსონი დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიოს მაქსიმუმ ხუთი კომპიუტერი სჭირდებოდა





აღარ არსებობს. მსოფლიო უკვე აღარ არის ორი ძლევამოსილი სახელმწიფოს ურთიერთდაპირისპირების არენა – ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ამის სანაცვლოდ არა 1989 წელს ნაწინასწარმეტყველები მრავალპოლუსიანი მოდელი, არამედ, ფაქტობრივად, ერთპოლუსიანი სქემა ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ეს შედეგი ფუტუროლოგების აქტივს მივაკუთვნოთ.

ამკარაა აგრეთვე მეორე ნაწინასწარმეტყველები ურთიერთდაპირისპირება: მდიდარი ჩრდილოეთი და ლატაკი, წინააღმდეგობებით სავსე სამხრეთი. „იმ დროს, როცა კაცობრიობის უმცირესობა ზღაპრულ, მაღალტექნოლოგიურ სამყაროში იცხოვრებს, უმრავლესობა საწარმოო ნარჩენებით გადავსებულ, მჭიდროდ დასახლებულ, კომპარულ მეგაპოლისებში განაგრძობს არსებობას“, – წერდა ერთ-ერთი ექსპერტი.

რაც შეეხება დანარჩენ პროგნოზებს, ისინი ალბათ სულ მალე სინამდვილედ იქცევა. ცოტა ხანიც და – ულტრაბერითი სიჩქარის მატარებლები ევროპას თვალის დახამხამებაში გადასურავენ, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში შემოიღებენ ორ და სამდღიან სამუშაო კვირას. ტოტალური ავტომატიზაცია სულ უფრო და უფრო დააშორებს (იგულისხმება ფიზიკური კონტაქტი) ადამიანს ნათესავებს, მეგობრებსა და მეზობლებს. ნანოტექნოლოგიის განვითარება საშუალებას იძლევა, სისხლმადარღვევაში ჩაიდგას მინი-კომპიუტერები, რის შედეგადაც ელექტრონული „ექიმები“ თავადვე სვამენ დიაგნოზს და უჯრედულ დონეზე თავადვე მკურნალობენ ავადმყოფს.

ამას დავემატოთ ელექტრონიკით „გამოცოცხლებული“ სახლები, მულტიმედია, საინფორმაციო სუპერმაგისტრალი და ვირტუალური რეალობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება: ნებისმიერი მოცულობის ცოდნის ათვისება; ახალი ტექნოლოგიების წყალობით, მზის გეგანტურ ენერგომპლექსებად აფრიკული უდაბნოების გადაქცევა; ხელოვნური ორგანოები და კიბერ-დიაგნოსტიკა შინიდან გაუსვლელად; დაბოლოს, ამერიკული კოლონია მივარეზე, რომლის მოსახლეობაც 2033 წლისათვის 2,1 მლნ-მდე მიაღწევს და რომელსაც სენატი ოფიციალურად აღიარებს ამერიკის ახალ შტატად.

ყოველივე ეს, 1989 წლის გამოკითხვის მონაწილეთა აზრით, XXI საუკუნის ოცდაათიანი წლებისთვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვლება.

დაბოლოს, გვინდა შემოვთავაზოთ ამავე ექსპერტების მიერ გაკეთებული კიდევ ორი პროგნოზი.

2033 წელს, მთავრის კონსოლიდირიდან აფრინილი საბჭოურ-ამერიკული ექსპედიცია მარსზე დაემგება. თავდაპირველად პროექტს ორივე ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიები

დააფინანსებენ, მაგრამ შემდეგ, სახსრების უქონლობის გამო, პროექტი შეჩერდება და საბოლოოდ, მის დასამთავრებლად აუცილებელი 1 ტრილიონ დოლარს ამერიკული კომპანია ORBITAL INDUSTRIES-ი და საბჭოთა „გლასტნოსტ ინკორპორეტივი“ გაიღებენ.

დამატებითი ტრანს-ციმბირული გაზსადენის აშენების შემდეგ საბჭოთა კავშირი ევროპის ძირითადი ენერგო-დონორი გახდება.

კი, მაგრამ, რაღა დროს საბჭოთა კავშირი?

ამგვარად, პუბლიკაციიდან სულ რაღაც ორ წელწინააღმდეგ მიმდინარეობს ერთმა მოვლენამ რადიკალურად შეცვალა სამკითხაო კარტების წყობა.

### კლარკ-აზიმოვის კანონი

არსებობს თუ არა რაიმე საიმედო მეთოდი, გაბედული წინასწარმეტყველებისა და ფუჭი ბოღვების ერთმანეთისაგან გასარჩევად?

ცნობილ მწერალ-ფანტასტს და მეცნიერების პოპულარიზატორ არტურ კლარკს ეკუთვნის შესაბამისი კანონი, რომელიც მის სახელს ატარებს.

კლარკის კანონი ასეა ფორმულირებული: „როცა დამსახურებული, მაგრამ მოზუცი მეცნიერი რაღაც მოვლენაზე ამბობს – შესაძლებელიაო, ის თითქმის ყოველთვის მართალია. როცა მოზუცი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ამა თუ იმ რაღაცის განხორციელება შეუძლებელია, ის თითქმის ყოველთვის ცდება“.

როგორც ჩანს, კლარკი იმას გულისხმობს, რომ ცნობილი და საქვენოდ აღიარებული წესების დაცვით, ანუ უკვე ცნობილ და დამკვიდრებულ ფარგლებში მოცემული სტატიების, მონოგრაფიებისა და დისერტაციების წერა უსარგებლო როდია: მათ ნელა-ნელა, თუმცა სწორი გზით მიჰყავთ მეცნიერება წინ, მაგრამ უეცარ გარღვევებს,

როგორც წესი, სხვები აკეთებენ – ისინი, ვინც დროს უსწრებენ, ისინი, ვინც ინდოეთის საძებნელად, დასავლეთისკენ მიდიან, მაშინ როცა ნებისმიერმა სპეციალისტმა იცის, რომ ინდოეთი აღმოსავლეთით არის...

ამასთან, ფართო მასებისათვის პრინციპში სულ ერთია, სად მდებარეობს ინდოეთი, ასხივებს თუ არა შავი ნახვრეტები გრავიტაციულ ტალღებს და როგორია დნმ-ის სტრუქტურა, მაგრამ ახალგაზრდობის რეცეპტი, ცოდნისა და სიბრძნის ადვილად შეძენის მეთოდი. უცხოპლანეტელთა დახმარება, შიღისის განკურნების საიმედო საშუალება და სახელმწიფოს სწრაფი ეკონომიკური აყვავების იაფფასიანი რეცეპტი – უეჭველია, საზოგადოების ყურადღების მიღმა არ დარჩება.

როცა გაზეთებსა და ტელევიზიაში მიმდინარეობს გაცხოველებული განხილვები, არატრადიციული იდეის მხარდამჭერი და დამცველი დილეტანტები ღვაწლმოსილ მეცნიერებს რეტროგრადაში სდებენ ბრალს და მათ მოსაზრებებს აქილიკებენ.

ალბათ სწორედ ამიტომ არის, რომ კლარკის კანონს ძალზედ მნიშვნელოვანი დამატებაც აქვს. ეს არის ამერიკელი მწერალი-ფანტასტის, აიზეკ აზიმოვის კანონი: „როცა მდბიო ანთებულა იდეით, რომელიც ღვაწლმოსილმა მეცნიერმა უარყო, ის კი მსურველ ენთუზიასხმითა და აღტაცებით საუბრობს საკუთარ „აღმოჩენაზე“, ამ შემთხვევაში დამსახურებული, მაგრამ მოზუცი მეცნიერი თითქმის ყოველთვის მართალია“.

მეცნიერებს პროგნოზირებას ვერ აუკრძალავ, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ ისინი ზუსტად მიზანში ხვდებიან. სხვა საქმეა, რომ ამ წინასწარმეტყველებებს ისევე უნდა მოვეკიდოთ, როგორც მკითხაობას: გათვალისწინოთ, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას მოვერიდოთ.

### შოაშაშა ნატო ჩხაიძე

სახელგანთქმული მწერალი-ფანტასტები არგურ კლარკი (მარცხნივ) და აიზეკ აზიმოვი





გაილია XX საუკუნე. კაცობრიობის ისტორიას ჩაბარდა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც თავბრუსდამხვევი სისწრაფით დატრიალდა ამ საუკუნის კალენდოსკოპში. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნე ყველაზე გამორჩეული აღმოჩნდა კაცობრიობის განვითარების მრავალ-საუკუნოვან მატრიანში: კარგიც და ცუდიც უმაღლეს ხარისხში იქნა აყვანილი. ამბავი, რომელიც ამ წერილშია გადმოცემული, ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია განვლილ საუკუნეში პიკს მიღწეული საშინელი მოვლენისა, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია. აღნიშნული შემთხვევა იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ მისი პერიპეტები კარგა ხანს უცნობი იყო მსოფლიო საზოგადოებისთვის და მხოლოდ ახლახან დაიწყეს ამ მოვლენის შესახებ არსებული მონაცემების გამოქვეყნება.

# ნაკლებად ცნობილი ამბავი

## პოლიტიკური ეკვლავების ისტორიიდან

### მამუკა გიორგაძე

1948 წლის მაისია. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ისრაელის სახელმწიფო გამოიკვეთა. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ზემოთაბნეული სახელმწიფოს მოქალაქეები. მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებების კორესპონდენტები ბუზებივით ირევიან ქუჩებში. კენედის ცნობილი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, 22 წლის ბობი კენედიც იქ არის, როგორც გაზეთის კორესპონდენტი. ხალხით აზიზიზებულ ქუჩაში, იგი შემთხვევით მხარს გაკრავს შავგვრემან ახალგაზრდა კაცს, რომელსაც პატარა ბიჭუნა ახლავს. რა თქმა უნდა, ბობი კენედიმ არ იცის, რომ ეს ბავშვი რამდენიმე წელიწადში საბედისწერო როლს ითამაშებს მისი ოჯახის ცხოვრებაში. ამის შესახებ არც ამ ახალგაზრდას აქვს წარმოდგენა. მაგრამ ბობი კენედისგან განსხვავებით, მან ერთი რამ ნამდვილად იცის: სადღაც იერუსალიმში, ერთმა არაბულმა ოჯახმა, მსგავსად მრავალი მისნაირისა, მიატოვა მთელი თავისი ავლადიდება და ლტოლვილთა ბანაკს მიაშურა.

შერხანი ამ ოჯახში უმცროსი ვაჟი იყო. ოთხი წლის შერხანი ინტერესით შეხედავს ამერიკელ რეპორტიორს, რომელიც მამამისს მოუბოდიშებს და თვალს მის ფოტოაპარატზე დარჩება... 20 წლის შემდეგ კი მისი სახელი მეხვივით იქუხებს ამერიკის ცაზე და კენედის ოჯახს ძაბით შემოსავს...

შერხანი იერუსალიმში დაიბადა 1944 წელს და, რაც თავი ახსოვდა, აქტიური პოლიტიკა ყოველთვის ზეგავლენას ახდენდა მის ცხოვრებაზე. როცა ოთხი წლის იყო, გაერომ ხმა მისცა ებრაელთა სახელმწიფოს – ისრაელის შექმნას. ეს ახალი სახელმწიფო უნდა გამხდარიყო მილიონობით ებრაელის სამშობლო, რომელნიც ომის შემდგომ ევროპაშიც კი ვერ გრძობდნენ თავს მყუდროდ. ებრაელთა ახალი სახელმწიფო გამოცალკეებული უნდა ყოფილიყო პალესტინისგან. მრავალი პალესტინელი და მათ შორის შერხანიც სამშობლოს კარგავდნენ. ის ხედავდა, როგორ იმართებოდა ეკლიანი მავთულის ბარიკადები. ღამღამობით

ტყვიამფრქვევები კაკანებდა და წუთისოფელს ასალმებდა მათ, ვინც ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა. ერთხელაც, იგი მამასთან ერთად ახლოს იდგა იმ ადგილთან, სადაც ჩავლილი ტაქსიდან ბომბი ესროლეს პალესტინელთა ჯგუფს. აფეთქების შედეგად 11 პალესტინელი დაიღუპა და 13 დაიჭრა. შემდგომში შერხანის მამა იხსენებდა, თუ როგორ უთხრა მას შვილმა: „მამა, არ მინდა ამის ყურება“. ერთი წლის შემდეგ კი შერხანი ისევ უბედურების მომსწრე ხდება – მან თავისი თვალთ დაინახა, როგორ დაეჯახა მის ძმას მანქანა, როცა იგი ცდილობდა, სნაიპერის ტყვიას გაჰქცეოდა.

შერხანი და მისი ოჯახი 8 წელი

ახალგაზრდა რობერტ კენედი ისრაელში



ცხოვრობდნენ ღვენილთა ბანაკში, მას შემდეგ, რაც იერუსალიმიდან გამოიქცნენ. 1956 წელს, როცა შერხანი უკვე 12 წლის იყო, ისინი აშშ-ში წავიდნენ ემიგრაციაში. მაგრამ მამამისმა ვერ აიტანა ამერიკაში ცხოვრება და ერთი წლის თავზე იორდანიაში დაბრუნდა. უცხო ქვეყანაში დარჩენილი ახალგაზრდა შერხანი თავს „როგორც საკუთარ სახლში“ ნამდვილად ვერ გრძნობდა: მან მშვენივრად იცოდა, რომ მისი მუქი კანი და თმა „ამერიკულ ოცნებაში“ არ თავსდებოდა. უთხრა კიდეც ერთხელ დედამის: რამდენი წელია საჭირო, რომ თეთრები გავხდეთ!?!..

სტუდენტურ წლებში მისმა ამგვარმა განწყობილებამ პოლიტიკურ ასპექტში პოვა გამოვლინება. იგი კითხულობდა ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ისეთ წიგნებს, სადაც აღწერილი იყო ერც-ჰერცოგ ფერდინანდისა და პრეზიდენტ მაკჩინლის მკვლელობები. მაკჩინლისთან დაკავშირებით მან ასეთ ფრაზას გაუსვა ხაზი წიგნში: „ერთი კვირის ტანჯვის შემდეგ პრეზიდენტი მოკვდა...“ და იქვე წააწერა – „ისინი კიდეც ბევრნი იქნებიან“.

მიუხედავად ამერიკული ცხოვრების ყაიდისა, შერხანის ოჯახი ეროვნულ ალათ-წესებს არ ივიწყებდა, ისინი არაბ-

ულად ლაპარაკობდნენ და არაბული კულტურის მიმდევრებადვე რჩებოდნენ.

1967 წელს დაიწყო შვიდღიანი ომი. 5 ივნისს ისრაელის ჯარმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეგვიპტესთან ბრძოლაში და სინას ნახევარკუნძულზე თავისი კონტროლი დააწესა. შერხანი ბოლმით აღვსილი უყურებდა ტელევიზიით გადმოცემულ ბრძოლის ამსახველ კადრებს. ეს ყველაფერი ბავშვობას ასსენებდა – ეკლიანი მავთულების ლობებებს, ისრაელის ჯარისკაცებს და ღვენილთა ბანაკს.

ახალგაზრდა არაბმა თავისი ბოლმის გადმონთხევის საშუალების ძებნა დაიწყო. მალე იგი შევიდა „ვარდისა და ჯვრის“ მისტიკურ ორგანიზაციაში, სადაც ასწავლიდნენ ცნობიერებაზე კონტროლის განხორციელებას, ავარჯიშებდნენ ფსიქიკის წრთობასა და სრულყოფაში. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შერხანმა დაიწყო დღიურის წერა, სადაც პერმანენტულად იმეორებდა ერთსა და იმავე აზრებსა და ფრაზებს.

ფსიქოლოგთა ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, თუ ადამიანი თავის ქვეცნო-




ბიერებაში შეიყვანს რაიმე განსაზღვრულ მიზანს, მაშინ წარმატებაც მის განხორციელებაში გარანტირებულია. შერხანის ცნობიერების საბოლოო შემობრუნება ერთი განსაზღვრული მიზნისაკენ მას შემდეგ მოხდა, რაც გაიგო, რომ სენატორი რობერტ კენედი მხარს უჭერდა ისრაელისთვის იარაღის მიყიდვის პროგრამას.

მისი დღიური სავესე იყო ავტომატურად განმეორებადი ერთი საშინელი ფრაზით – „რობერტ კენედი უნდა მოკვდეს... რობერტ კენედი უნდა მოიკლას...“ ცნობიერების ამგვარმა ვარჯიშმა კი შერხანი პირდაპირ მოქმედებამდე მიიყვანა. იგი უკვე მზად იყო, გამოჩენილიყო პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც მკვლელი. მისი სამიზნე იყო რობერტ კენედი...

ტერმინი „მკვლელი“, არაბულად გამოითქმის, როგორც „ასასინი“. იგი წარმომდგარია ისლამური კულტიდან და, როგორც ამ სფეროს მკვლევარი ისტორიკოსები თვლიან, ისტორიულად გავრცელებული ყოფილა ირანსა და სირიას შორის არსებულ სივრცეში. ასასინები პოლიტიკური მკვლელობების განხორციელებისთვის გარკვეულ საზღაურს ღებულობდნენ. საინტერესო შტრიხია, რომ ასასინები მკვლელობის წინ, როგორც წესი, ჰაშიშს ეწეოდნენ, რათა იოლი ყოფილიყო მკვლელობის მიმართ შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევა. სწორედ აქედან წამოვიდა ტერმინი „ასასინი“ – „ჰაშიშინი“,

**მშვიდიდან ორი – რობერტი (მარცხნივ) და ჯონი (შეაში) პოლიტიკური გერორიზმის მსხვერპლნი გახდნენ**



რომელიც დროთა განმავლობაში გარდაიქმნა „ასისინად“.

შერხანმა დაიწყო სროლაში ვარჯიში... საქმე ნელ-ნელა რეალურ სახეს იღებდა. ჩანაწერი დღიურში: „ჩემმა გადაწყვეტილებამ რ.ფ.კ.-ის (იგულისხმება რობერტ ფიტცჯერალდ კენედი – ავტ.) მოკვლასთან დაკავშირებით სრულიად შემიპყრო“... და კიდევ ერთი: „რ.ფ.კ. უნდა მოკვდეს 1968 წლის 5 ივნისს“... რატომ მაინცდამაინც 1968 წლის 5 ივნისი? ეს იყო 7 დღიანი ომის შედეგად არაბული ძალების დამამცირებელი მარცხის თარიღი.

1968 წლის 20 მაისს ლოს-ანჯელესის ტელევიზიამ აჩვენა დოკუმენტური ფილმი რობერტ კენედიზე, სადაც ჩართული იყო ისრაელში მისი ვიზიტის ამსახველი კადრები. ამის შემყურე შერხანს სისხლი აუღულდა და დაიწყო მსხვერპლის თვალთვალი: 21 მაისს ლოს-ანჯელესის რესტორანში კენედის მახლობლად გამოჩნდა საეჭვო მამაკაცი, რომლის აღწერილობაც ემთხვეოდა შერხანისას; 24 მაისს შერხანი თვალყურს ადევნებდა კენედის ლოს-ანჯელესის სპორტულ არენაზე. მაშინ მან ვერ მოახერხა სასროლ მანძილზე მასთან მიახლოება. 2 დღის შემდეგ კენედიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც იგი კვლავ ისრაელისათვის იარაღის მიყიდვის პოლიტიკას უჭერდა მხარს.

4 ივნისს შერხანი გაემართა „ამბასადორ-ოტელში“, სადაც რობერტ კენედისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი მიმდინარეობდა, კალიფორნიაში საპრეზიდენტო არჩევნების მოგებასთან დაკავშირებით.

დაახლოებით შუადამისას, როცა კენედიმ დაამთავრა თავისი გამოსვლა ამომრჩევლების წინაშე და, ოტელის სამზარეულოს გავლით, უკან გასასვლელისკენ გაემართა, ოთხმა გასროლამ იქუხა... კენედის პირადმა მცველებმა შერხანი იატაკს დაანარცხეს და ხელიდან გამოსტაცეს ჯერ კიდევ მბოლავი იარაღი...

25 საათის შემდეგ რობერტ კენედი გარდაიცვალა.

როცა დანაშაულის ჩადენის ადგილზევე დაპატიმრებულ შერხანს ვიდაცამ ჰკითხა: – „რატომ ჩაიდინეთ ეს?“ პასუხად მიიღო – „მე ხომ ეს ჩემი ქვეყნისთვის გააკეთე“. მკვლელობის მოტივი მისთვის პოლიტიკა იყო.



**პოლიტიკისა და რელიგიის ცხელმა ნარევმა ახლო აღმოსავლეთში ფანატიკოს-მკვლელთა საზიფათო ტიპი შვა. თუმცა ტერორიზმი არა მარტო მათი ხელით და არა მარტო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამო ხდება. აი, რამდენიმე გახმაურებული მაგალითი ტერორიზმის ისტორიიდან**

1948 წელს, როდესაც შვედი დიპლომატი, გრაფი ფოლკე ბერნადორფი ცდილობდა, დაემყარებინა შვედობა ისრაელისა და არაბეთის ჯარებს შორის და კონკრეტული გეგმაც წარადგინა, ისრაელელმა ექსტრემისტებმა იერიში მიიტანეს მის მანქანაზე და ბერნადორფი თავის მძღოლთან ერთად მოკლეს.

1954 წელს, პუერტორიკოელთა ერთმა ჯგუფმა იერიში მიიტანა აშშ-ის კაბიეტოლიუმზე. მათ სჯეროდათ, რომ ძალადობა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობამდე მიიყვანდა. სანამ აიყვანდნენ, ტერორისტებმა 5 კონგრესმენის დაჭრა მოასწრეს.

1963 წლის 22 ნოემბერი – ტრაგიკული დღე დალასში. ჯონ ფიტცჯერალდ კენედის მკვლელობამ საბოლოოდ შეცვალა ამერიკის პრეზიდენტის დაცვის მეთოდები.

ეს მკვლელობა იხილეს მთელ მსოფლიოში, იგი უპრეცედენტოდ ფართოდ გაშუქდა, რამაც ძლიერ იმოქმედა მომავალ მკვლელებზე.

1974 წელს, ამერიკელმა სემ ბაიმ,

რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის დროს, გადაწყვიტა ორიგინალურად შეზღუდული კორუფციას თეთრ სახლში. მან გაიტაცა თვითმფრინავი – თეთრი სახლის დაბომბვისა და პრეზიდენტის მოკვლის მიზნით, მაგრამ სნაიპერებმა მანამდე მოკლეს, სანამ თვითმფრინავი აფრინდებოდა.


1975 წელს, პირველად ისტორიაში, სამი კვირის შუალედში ზედიზედ ორი თავდასხმა მოხდა ამერიკის პრეზიდენტზე და ორივე – ქალის ხელით. პირველის მიზანი იყო თავდამსხმელის ოჯახის წევრი ჩარლზ ნენსონი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყო, რათა მას შესძლებოდა, გაეხმაურებინა თავისი მოწოდება. მეორემ, სერა მომ, რომელიც მემარცხენე რადიკალებმა გარიყეს, მათზე შურისძიების მიზნით, ორჯერ ესროლა ჯერალდ ფორდს.

1981 წელს, მაჰმუდ ალი აჯა თავს დაესხა რომის პაპს იოანე-პავლე II-ს. იგი თურქეთის ტერორისტული ორგანიზაციის წევრი იყო, თუმცა ამ თავდასხმის ყველა გარემოებას მთლიანად არც მოეფინა ნათელი.



ბოლოს, აქვე დავძენთ, რომ პოლიტიკური მკვლევები ყოველთვის ხელისუფლების წინააღმდეგ როდი მოქმედებენ. ხანდახან ისინი მუშაობდნენ კიდევ მისთვის. საიდუმლო სამსახურებმა ძალზე უცნაური სახელი მოუძებნეს ამ მოვლენას – „დიპლომატიური მკვლელობა“.

ისტორიიდან ცნობილია ფაქტები, როცა მუსოლინი მოხერხებულად აგზავნიდა „ჩამოწერილ“ დიპლომატებს სხვა ქვეყნებში, უკან კი მკვლელთა ჯგუფს მიაყოლებდა... მერე მუსოლინი ამბობდა – „რა საშინელებაა, ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის გმირი“. – ასე უსწორდებოდა იგი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.



iy

# Tu ara vampiri grafi

# დ რ ა კ უ ლ ა

სიგიშარაში ჩასვლის საშუალება ტურისტებს მხოლოდ ჩაუშესკუს სიკვდილის შემდეგ მიეცათ. ჩაუშესკუს რეჟიმის დროს, დრაკულას ხსენებაც კი აკრძალული იყო. დიქტატორს, როგორც ჩანს, ანალოგიის ეშინოდა და არცთუ უსაფუძვლოდ: 1989 წლის დეკემბრის მოვლენების დროს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში რუმინეთის საელჩოებთან შეკრებილი დემონსტრანტები ყვიროდნენ: „ჩაუშესკუ – დრაკულა!“

დანამდვილებით არავინ უწყის, დაიბადა თუ არა ვლად ცეპეში სახლში, რომელსაც ახლა „დრაკულას სახლი“ ჰქვია, სამაგიეროდ, ზუსტად არის ცნობილი, რომ ამ სახლში ერთი პერიოდი ცხოვრობდა მამამისი – თავადი ვლად II დრაკული. „დრაკულ“ რუმინულად დრაკონს ნიშნავს. თავადი ვლად II რაინდული ორდენის – „დრაკონის“ წევრი იყო. ორდენს მიზნად ჰქონდა „ურჯულოების“ დაპყრობა და მათი ქრისტიანებად მოქცევა. ცნობილია აგრეთვე, რომ ვლად II-ის ვაჟი, ახალგაზრდა თავადი, საშუალო სიმაღლის მიუხედავად, დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა, კარგად ცურავდა და სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავმა კავალერისტმა. ეს იმ დროს, როცა ყველა მამაკაცი უნაგირზე იზრდებოდა! თანამედროვეთა აზრით, ვლად ცეპეშს შემზარავი გარეგნობა ჰქონდა. ავსტრიაში, ტიროლში, ამბრასის ციხე-კოშკში შემორჩა ვლად ცეპეშის ერთადერთი ფერწერული პორტრეტი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მის გარეგნობაზე.

თავისი მმართველობის დროს, ვლად III ხალხში პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა. როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ცდილობდა, დაეცვა პრინციპები, რომელთა საწინააღმდეგო არგუმენტები დღესაც არ არსებობს: ქვეყნის გათავისუფლება დამპყრობლებისაგან, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება, დამნაშავეობასთან ბრძოლა. ყველა ამ სფეროში ვლახეთის მთავარმართებელმა უმოკლეს ვადაში შთაბეჭდილად წარმატებებს მიიღწია. მისი მმართველობისას, ამტიციკენ ისტორიკოსები, შეიძლება, კაცს ქვაფენილზე დაეგლო ოქროს მონეტა და ის ერთი კვირის შემდეგაც იმავე ადგილზე დახვდებოდა: ვერავინ გაბედავდა სხვისი ოქროს არათუ

მთივისებას – მისკენ გახედვასაც კი. და ეს ხდებოდა ქვეყანაში, სადაც მანამდე ორი წლით ადრე იმდენივე ქურდი იყო, რამდენიც პატიოსანი მოქალაქე. სანიშნო წესრიგს ვლად ცეპეშმა საზოგადოების „ასოციალური ელემენტებისაგან“ გვემაზომიერი გაწმენდით – მასობრივი ხოცვა-ჟლეტით მიიღწია. შესაძლოა, ვლად ცეპეში ისტორიისთვის ცნობილი პირველი ნაცისტი იყო. ყოველ შემთხვევაში, პიტლერადღე ხუთი საუკუნით ადრე, იგი ბოშებს მხოლოდ იმიტომ ხოცავდა, რომ ისინი ბოშები იყვნენ. რაც შეეხება დამნაშავეებს, ვლად III თანაბრად დაუნდობელი იყო მათ მიმართ – ეროვნული წარმომავლობისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

როგორც ჩანს, ვლად ცეპეშის სასტიკი მეთოდების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მისმა სიჭაბუკის წლებმა შეასრულა.



XV საუკუნის შუა პერიოდში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ თურქების პოზიცია ამ ტერიტორიაზე მაინც არამყარო იყო: ხშირად ხდებოდა აჯანყებები, რომელთაც ორი სერიოზული ფაქტორი განაპირობებდა – ერების სწრაფი თავისუფლებისაკენ და მამაპაატა საჩუმუნობის დაცვა. თურქები გაუცონარი სისასტიკით უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, გარკვეულ ფორმალურ დამოკიდებულებზე წასულიყვნენ. ერთ-ერთი ასეთი კომპრომისული ვარიანტი იყო ცალკეული სამთავროებისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნება, სულთანზე ვასალური დამოკიდებულებისა და ყოველწლიური ხარკის გადახდის პირობა. იმისათვის, რომ რომელიმე მთავარს თავისი მოვალეობა არ დაეიწყებოდა, მას შეილი მძევლად უნდა გაეგზავნა თურქეთში. თუ მამა გაჭირვებულდებოდა – შეილს სიკვდილი ელოდა. ეს სიტუაცია ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ჩვენი ისტორიიდანაც.

ჭაბუკი ვლად დრაკულა-უმცროსი, უნგრელ, სერბ და ბოსნიელ არისტოკრატებთან ერთად,

თავადის ერთადერთი შემორჩენილი პორტრეტი



## თანგიზ იზნაქი

1897 წელს ირლანდიელმა მწერალმა ბრემ სტოკერმა გამოსცა რომანი „დრაკულა“. რომანს მოულოდნელი და ხმაურიანი წარმატება ხვდა წილად. ინტერესი მის მიმართ XX საუკუნის ბოლოსაც არ განელებულა. ამას მოწმობს თუნდაც ფრენსის ფორდ კობოლას შესანიშნავი ფილმი „ბრემ სტოკერის დრაკულა“. რომანის 150(!) ეკრანიზაციას შორის თავისი მაღალმხატვრული ღირსებებით გამოირჩევა კიდევ ორი – გერმანული კინოს კლასიკოსის ფრიდრიხ ვილჰელმ მურნაუს „ნოსფერატუ – შიმის სიმფონია“ (1922) და მისი თანამემამულის ვერნერ ჰერცოგის 1978 წელს გადაღებული ფილმი „ნოსფერატუ – ლამის აჩრდილი“ (სხვათა შორის, ვერნერ ჰერცოგმა ფილმის ერთი ეპიზოდი ჩვენს „წინწყაროს“ ფონოგრამით გააფორმა). ძნელი სათქმელია, რით აიხსნება ბრემ სტოკერის თითქოს სტანდარტული „გოთური რომანი“ ასეთი თავბრუდამხვევი წარმატება. იქნებ იმით, რომ გრაფ დრაკულას პროტოტიპი ჰყავს! მას ვლად ცეპეში ერქვა.



ვლად ცეპეშის დაბადების ზუსტი დრო და ადგილი უცნობია. სავარაუდოდ, იგი 1428 და 1431 წლებს შორის დაიბადა პატარა რუმინულ ქალაქ სიგიშარაში, XV საუკუნის დასაწყისში აგებულ სახლში. დღეს სიგიშარა ევროპის ერთ-ერთი ტურისტული ცენტრია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებს სურთ საკუთარი თვალით იხილონ სახლი, რომელშიც, ოდესღაც, დაიბადა ვლახეთის (თანამედროვე რუმინეთის სამხრეთი ნაწილი) მთავარმართებელი, თავადი ვლად III დრაკულა, მეტსახელად ცეპეში.

სულთნის ნაცვლის კარზე მოხვდა ქალაქ ადრიანოპოლში (თურქულად – ედირნე). „სტუმართმოყვარე მასპინძლები“ ხშირად, თვალნათლივ უჩვენებდნენ „სტუმრებს“ (ასე უწოდებდნენ თურქები მძევლებს), თუ რა ელოდათ ურჩებს.

თავადი ვლად დრაკული, რომლის რელიგიურობაც ფანატიზმს უახლოვდებოდა, წლების მანძილზე თავისი თვალთ ხედავდა, როგორი სისასტიკით აწამებდნენ თურქები ამბონებულ ქრისტიანებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რა ხდებოდა ამ დროს პირქუში ჭაბუკის გულში, მაგრამ ისევე, როგორც ვლად-უფროსს შორეულ ვლახეთში, ახალგაზრდა თავადს გრძნობები უნდა დაეფარა და ეს ხელოვნება სრულყოფილადაც აითვისა. ვლად დრაკულ-უმცროსი ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, კარგად იმასწავრებდა და ხელსაყრელ დროს ელოდა...

1452 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, თავადი ვლად III სამშობლოში დაბრუნდა და ტახტზე ავიდა. ტყვეობის წლებში თურქების მიმართ დავროვილი სიძულვილი მისგან გადამწვევტ ქმედებას ითხოვდა. მაგრამ სულ მალე, ვლახეთის ახალგაზრდა მთავარმართებელი ფეოდალთა წინააღმდეგობას წააწყდა.

ფეოდალები დაპყრობილ ქვეყნებში თურქების ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. თურქები მათ ათასგვარ პრივილეგიებს ანიჭებდნენ და სანაცვლოდ, მხოლოდ ლოიალობას და ხარკის დროულ გადახდას მოითხოვდნენ და არც ერთი ფეოდალი თურქებთან ბრძოლას არ აპირებდა.

მათ ინტრიგებს არ შეუძინებია ვლახეთის ახალბედა და გამოუცდელი მთავარმართებელი. ერთ-ერთი დღესასწაულის საბაბით, ვლად მესამე თავისთან, დედაქალაქ ტირგოვიშტეში თითქმის მთელი ფეოდალური არისტოკრატია მიიწვია. უარი არც ერთს არ უთქვამს, რათა თავადისადმი ნადრევად არ გაემყდნენებინათ მტრული დამოკიდებულება. გარდა ამისა, მიწვეულთა რაოდენობაც – 400 კაცი, თითქოს მათი უსაფრთხოების გარანტიასაც იძლეოდა.

მატიანე გადმოგვცემს, რომ იმ დღეს, მდიდრულმა ზეიმმა ძალზე მხიარულად ჩაიარა, თუმცა ძალზე უჩვეულოდ დასრულდა: მასპინძლის ბრძანებით, ოთხასივე ფეოდალი სარებზე გასვეს. სწორედ ამის შემდეგ შეარქვეს თავად ვლად III დრაკულს მეტსახელი – ცეპეში, რაც რუმინულად „მესარეს“, „სარზე გამსმელს“ ნიშნავს.

ქვეყნის მართვის მეოთხე წელს ვლად ცეპეშმა ერთიანად შეუწყვიტა სულთანს ყველანაირი ხარკის გადახდა. სულთანმა მეჰმედ II დამპყრობელმა აშკარა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და ვლახეთში მხო-



კადრი ფილმიდან „ნოსფერატუ – შიმის სიმფონია“

ლოდ ათასი მხედრისაგან შემდგარი დამსჯელი რაზმი გაგზავნა. თურქები თავადის ალყაში მოხვდნენ და დანებდნენ. ისინი ტირგოვიშტეში წაიყვანეს და სარებზე გასვეს – ყველა, უკანასკნელ მეომრამდე. ყველგან და ყველაფერში პედანტურმა ცეპეშმა რაზმის მეთაურის – თურქი აღასათიუს ოქროსწვერიანი სარი გაამზადებინა...

განრისხებულმა სულთანმა ამბონებულ ვლახეთის წინააღმდეგ უზარმაზარი ჯარი დაძრა. ბევრად უფრო მცირერიცხოვანმა ვლახებმა, ნიჭიერი და უშიშარი მხედართმთავრის – ვლად ცეპეშის მეთაურობით, სასტიკად დაამარცხეს მტერი. ცეპეშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის თურქები შესანიშნავი მასწავლებლები იყვნენ, თვითონ კი – ბევრით მოსწავლე აღმოჩნდა: თავადის ბრძანებით, ტყვედ ჩავარდნილები სარებზე გასვეს.

ამის შემდეგ ვლახეთს და მის მთავარს ახალი მტერი გამოუჩნდა. ფრთხილი, ვერავი და მდიდარი მტერი.



ვლახეთის ჩრდილოეთით, ღუნაის ნაპირებიდან კარპატებამდე უღრანი ტყეები და ნაყოფიერი მიწები იყო გადაჭიმული. ვლახებმა ამ ადგილებს ტრანსილვანია (დღევანდელი რუმინეთის ჩრდილოეთი) უწოდეს, რაც „ტყეებს იქითა ქვეყანას“ ნიშნავს. საქსონიელმა ვაჭრებმა იქ ქალაქი-სიმაგრეები ააშენეს და ზიბენბურგენი (ანუ „შვიდი ქალაქი“) დაარქვეს. თვითმმართველობის მქონე ქალაქი-რესპუბლიკები, გერმანულტი, კრონშტადტი, შესბურგი და სხვები მდიდრდებოდნენ და იზრდებოდნენ. ზიბენბურგენს, რომელიც ცენტრალიზებული სახელმწიფო არ იყო, თავისი მუდმივი ჯარი არ ჰყავდა. თუმცა, თურქთა თარეშით შეწუხ-


ებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სიმშვიდისა და სტაბილურობის ამ ოაზისს ხელშეუხებლობა სამხედრო ძალით არც აიხსნებოდა. ტრანსილვანიის ქალაქები როდესაც დიპლომატიურ თამაშს აწარმოებდნენ გარემომცველ სათავადოებსა და სამეფოებთან, პირველ რიგში – ოტომანთა იმპერიასთან, რათა ძალთა არსებული ბალანსი შეენარჩუნებინათ. ვლახეთი, რომელიც გეოგრაფიულად ზიბენბურგენსა და მუსულმანურ კოლოსს შორის მდებარეობდა, ერთგვარი ბუფერული ზონის როლს ასრულებდა. ამიტომ, შორსმჭვრეტელი საქსონიელი ვაჭრები ამჯობინებდნენ, რომ ვლახეთი ცეპეშზე უფრო თავშეკავებულ ხელმძღვანელს ემართა. მათ ფართომასშტაბიანი დიპლომატიური კამპანია წამოიწყეს ვლად ცეპეშის პოლიტიკური არენიდან მოშორების მიზნით. ვლახეთის მთავარმართებლის ტახტის პრეტენდენტად უნგრეთის მეფის ერთ-ერთ ფავორიტს ასახელებდნენ. ამ გარემოებამ რამდენადმე გააუარესა ურთიერთობა ვლახეთსა და უნგრეთს შორის.

ზიბენბურგენს ძვირად დაუჯდა პოლიტიკური ინტრიგები. ვლად ცეპეშმა მტურით აიღო ტრანსილვანიის ქალაქები. შესბურგში კი, რომელმაც თავადის გაფრთხილების მიუხედავად, თურქებთან ვაჭრობა გაბედა, ცეპეშმა, ქალაქის მთავარ მოედანზე, სუთასი სახელოვანი მოქალაქე სარებზე გაასმევინა.

დამსჯელი ლაშქრობის შემდეგ ვლად III ტირგოვიშტეში დაბრუნდა. მისმა სისხლიანმა დიდებამ ზენიტს მიაღწია. მაგრამ, თითქოს უკვე დამარცხებულმა მტერმა, თავადს მოულოდნელი დარტყმა მიაყენა.

იმ დროისათვის ახალ და უჩვეულო ხერხს, რომელიც საქსონიელმა ვაჭრებმა ცეპეშის წინააღმდეგ გამოიყენეს, მოგვიანებით ინფორმაციული ომი ეწოდა. საქსონიაში, რამდენიმე საგაჭრო სახლის ხარ-

**მოგლანდიელი გარი ოლდმანი ამერიკულ ფილმი „ბრემ სტოკერის დრაკულა“**



ჯით, დაისტამბა წიგნი, რომელშიც ანონი-  
მი ავტორები (შორეულ საქსონიაშიც  
ემზოდნათ ვლახელი თავადის!) ვლად ცეპე-  
შის საბრძოლო მეთოდებს აღწერდნენ. მიკ-  
ერძობულად და ცალმხრივად გადმოცემულ  
რეალურ ფაქტებს ავტორებმა საეჭვო  
წვრილმანები დაუმატეს. გარდა ამისა,  
მკითხველებს, უნგრეთის სამეფოს საწი-  
ნააღმდეგოდ არსებული აგრესიული გეგ-  
მების ამბავიც აუწყეს, რომლებიც თითქოს  
ცეპეშს ჰქონდა, რაც მტკნარი სიცრუე  
ყო. გამომცემელთა ვარაუდი გამართლდა:  
ევროპის სამეფო ოჯახები აღაშფოთა  
ვლახეთის მთავარმართებლის სისასტიკემ.  
უნგრეთის მეფე მათაში კორვინუსი კი  
განრისხდა და გადაწვიტა, შეტევაზე გა-  
დასულიყო. ფორტუნაც, უბრალო შემთხ-  
ვევის სახით, მის მხარეზე აღმოჩნდა.

1462 წელს თურქები კვლავ შეიჭრნენ  
ვლახეთში. ვლად ცეპეშმა ვერ მოსწრო  
ჯარის შეკრება და ალყაშემორტყმული  
აღმოჩნდა თავის ციხე-კოშკ პოენარში.  
ხანგრძლივი ალყის შემდეგ თურქებმა  
შტურმით აიღეს ციხესიმაგრე. თავადი  
მტრებს ხელიდან დაუსხლტა და გაქცევა  
მოახერხა, თუმცა თავისი ახალგაზრდა  
ცოლი ბედის ანაბარა მიატოვა. ცეპეშის  
ცოლმა არ ისურვა გამარჯვებულთა ხე-  
ლში ჩავარდნა და კომიკიდან მდინარეში  
გადაეშვა. ამის შემდეგ მდინარე არკეშს  
ხალხმა „პრინცესას მდინარე“ შეარქვა.  
თავადის გაქცევიტ გაწილებულმა თურქებ-  
მა პოენარი მიწასთან გაასწორეს.

ვლად ცეპეშმა, რომელსაც, რა თქმა  
უნდა, არავითარი მტრული ზრახვები არ  
ჰქონია უნგრეთის მიმართ, გადასარჩენად  
გეზი დასავლეთით, სწორედ ქრის-  
ტიანული უნგრეთისაკენ აიღო.

გახარებულმა მეფე მათაშმა  
სტუმარი დაუყოვნებლივ საპურო-  
ბილეში ჩასვა. თორმეტი წელი გაატ-  
არა ვლად ცეპეშმა ბუდასა და პეშტის  
სიმაგრეებში, როგორც ტუსაღმა. თორმე-  
ტი წელი დასჭირდა უნგრეთის მეფეს  
იმაში დასარწმუნებლად, რომ საქსონიელი  
ვაჭრების წიგნი ფიქცია იყო. 1474 წელს,  
ხელმწიფემ გაათავისუფლა ცეპეში და  
თავის დისწულზე ქორწინების თანხმო-  
ბაც მისცა.

ერთი წლის შემდეგ კი თავადი სამ-  
შობლოში დაბრუნდა დაქირავებულ უნგ-  
რულ მემართა რაზმით, რათა კვლავ დაეკავ-  
ებინა მთავარმართებლის ცარიელი ტახტი;  
მაგრამ, მანამდე დაქსაქსული ვლახელი  
ფეოდალები საერთო საფრთხემ გააერთიანა.  
ფეოდალთა ერთობლივმა ჯარმა დაამარცხა  
დაქირავებული მემორები. ცეპეში უნგრეთ-  
ში დაბრუნდა. ვლახელმა ფეოდალებმა უნ-

გრეთის მეფეს მისი გადაცემა მოსთხოვეს.  
ხელმწიფე მოერიდა მეზობლებთან ურთ-  
იერთობის გამწვავებას და მათ პირობებს  
დათანხმდა. მაგრამ ვლად ცეპეშს თავისი  
ყოფილი ქვეშევრდომების ხელით სამარცხ-  
ვინო დასჯა არ ექერა. როდესაც თავადმა  
შეიტყო, რომ მეფე მათაში ფეოდალები-  
სთვის მის გადაცემას აპირებდა, მცირე-  
რიცხოვან თანამებრძოლებთან ერთად კვ-  
ლავ ვლახეთს მიაშურა...

თავადი ვლად III დრაკული, მეტსახ-  
ელად ცეპეში, რომელმაც ცხოვრება  
ურიცხვ მტერთან შეუპოვარ ჭიდილში  
გაატარა, ასევე ვაჟკაცურად დაიღუპა უთა-  
ნასწორო ბრძოლაში. ფეოდალებმა მისი  
გვამი მოძებნეს, აკუწეს და სხეულის  
ნაწილები ველზე გაფანტეს; მაგრამ, მოგვი-  
ანებით, სნაგოვის მონასტრის ბერებმა,  
რომელთაც კარგად ახსოვდათ მიცვალე-  
ბულის რელიგიურობა და უხვი შემოწ-  
ირულობანი, მისი ნეშტის ნაწილები მოა-  
გროვეს და მონასტრის მიწას მიაბარეს...

რუმინეთის ერთ-ერთ ულ-  
ამაზეს კუთხეში, კარპატების ტყიან ფერ-  
დობებთან, მიუღვომელ კლდეზე, შემორჩე-  
ნილია ციხე-კოშკ პოენარის ნანგრევები. ბევრს  
ახლაც სჯერა, რომ დაუნდობელი თავადის  
აჩრდილი დღემდე ამ ადგილებში დაძრწის,  
რადგან მისი სული არც ცამ მიიღო, არც  
მიწამ. ამბობენ, დღისით ვამპირს ნანგრევებ-  
ში სძინავს, ღამით კი გარეთ გამოდის ახა-  
ლი მსხვერპლის საძებნელად.

ახლა ძნელია იმის გარკვევა, რამ დაულო  
საფუძველი ლეგენდას ვლად ცეპეშის  
ვამპირად გადაქცევის შესახებ. შესაძლოა,




მისმა მართლაც საარაკო სისასტიკემ, შესა-  
ძლოა — ფეოდალებმა, რომლებმაც თავა-  
დის სიკვდილის შემდეგაც ვერ მოისვენეს.  
ასეა თუ ისე, XIX საუკუნეში ლეგენდას  
ირლანდიელი მწერალი ბრემ სტოკერი  
გაეცნო, თავადის გვარი დრაკულ — ბრი-  
ტანელთათვის უფრო ჟღერადი დრაკუ-  
ლათი შეცვალა, თავადის ტიტული კი —  
დასავლეთ ევროპელთათვის უფრო ახლო-  
ბელი გრაფით და სისხლისმსმელი ურ-  
ჩხულის სახე შექმნა. ბრემ სტოკერს  
ისტორია ნაკლებად აინტერესებდა და  
მხოლოდ კომერციული ლიტერატურის  
სტანდარტებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ  
სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ  
ვლად ცეპეშზე — ამ წინააღმდეგობით  
აღსავსე პიროვნებაზე სხვაგვარი აზრიც  
არსებობს — ნამდვილი რაინდი, უშიშარი  
მეომარი და ნიჭიერი მხედართმთავარი  
ვლად ცეპეში, თავისი მმართველობის შე-  
დარებით ხანმოკლე პერიოდის — ათი  
წლის მანძილზე, ხალხში საკმაო სიყ-  
ვარულით სარგებლობდა. ახლანდელ  
რუმინეთშიც ვლად ცეპეშის მიმართ რამ-  
დენადმე განსხვავებული დამოკიდებულე-  
ბაა, ვიდრე დასავლეთში. დრაკულას დასავ-  
ლური იმიჯის შემხედვარე რუმინელებს,  
როგორცაც ეუხერხულებათ ცეპეშის  
ეროვნულ გმირად აღიარება, მაგრამ პა-  
ტივისცემა მის მიმართ უდავოა. თუმცა,  
პატივისცემას მისტიკური შიშის ელფ-  
ერიც დაჰკრავს.

ვლად მესამე ერთ-ერთი ყველაზე მნიშ-  
ვნელოვანი ფიგურა რუმინეთის სახელმ-  
წიფეობრიობის ჩამოყალიბების ისტორი-  
აში. ბევრი რუმინელი მკვლევარი და  
ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ცეპე-  
ში ისტორიული უსამართლობის  
მსხვერპლია, რომ მას მსოფლიოს  
წინაშე ცილი დასწამეს და სახე-  
ლი გაუტეხეს, ვერ საქსონიელმა  
ვაჭრებმა, შემდეგ კი საშუალო დონის  
მწერალმა ბრემ სტოკერმა. მართლაც,  
დღეს, საუკუნეების სიმაღლიდან ადვილ-  
ია იმის მტკიცება, რომ მიზანი არ ამა-  
რთლებს საშუალებას, მაგრამ როგორ  
დაეცვა თავადს თავისი პატარა სამთავრო,  
რით უნდა დაპირისპირებოდა იგი უმოწ-  
ყალო მონსტრს — ოტომანთა იმპერიას?  
საპასუხო დაუნდობლობითა და სისას-  
ტიკით? ყოველ შემთხვევაში, ცეპეშმა ქვეყ-  
ნის გათავისუფლების უკეთესი საშუალება  
ვერ გამოიხატა.

ვინ იცის, იქნებ, ოდესმე მარ-  
თლაც წამოიღებდა სამარიდან თავადი ვლად  
დრაკულ, მეტსახელად ცეპეში, იმისათვის,  
რომ ცოცხლებს სისხლი გამოსწოვოს, ან  
იქნებ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ და-  
იცვას საფრთხისაგან თავისი ხალხი. ვინ  
უწყის...

აფიშა გერმანულ-ფრანგული ფილმ-  
ისტვის „ნოსფერატუ — ღამის აჩრდილი“

სხვადასხვა ეპოქაში დიდი ხელოვნება არა მარტო მის ქვეშარტ დამფასებლებს, არამედ ათასი ჯურის თაღლითსა და არამზადას იზიდავდა — იმით, რომ მშვენიერებისადმი ადამიანების ლტოლვას გამოჩინის მიზნით იყენებდნენ. თუმცა, ადრე თუ გვიან, დანაშაული მაინც იმსილებოდა და სათანადოდ ისჯებოდა კიდევ. ამას წინამდებარე რამდენიმე ამბავიც ნათლად ადასტურებს.



იან ვერმერის „სერობა“ — ჰანს ვან შევეერენის ყველაზე დიდი მიღწევა იყო

# ხელოვნების მსხვერპლი

## ჰოლანდიური სკოლის ოსტატი

მესამე რაიხის დროს, ბერხტესგადენში, ჰერმან გერინგის პირად მუშეუქში, ხელოვნების მრავალ შედეგთან ერთად, ინახებოდა იან ვერმერის ტილო: „გათხოვილი ქალის შეცდენა“.

ომის შემდეგ, როდესაც დაიწყო ლუფტვაფეს შევის კულტურული სიმდიდრის გადარჩევა და მათი წარმომავლობის დადგენა, ჰოლანდიის პოლიციამ მიაკვლია, რომ გერინგის აგენტებმა შედეგრი 160 ათას გირვანქა სტერლინგად, მილიონერ ჰანს ვან შევეერენისაგან შეიძინეს. ამსტერდამში შევეერენი ცნობილი ადამიანი იყო, შემოსავლიან სახლებს, სასტუმროებსა და ღამის კლუბებს ფლობდა. პოლიციამ იგი სასწრაფოდ დააპატიმრა, რადგან იმხანად გერინგისათვის შედეგრის მიყიდვა ნაცისტებთან თანამშრომლობის ტოლფასი იყო. დანაშაული უპირობო, მკაცრ სასჯელს — ჩამოხრჩობას ითვალისწინებდა. მაგრამ შევეერენმა მარყუქში ფართხალს სიმართლის გამხელა ამჯობინა:

„ჩემი ჩამოხრჩობა დანაშაული იქნება! — ყვიროდა შეშინებული მილიონერი. — რატომ უნდა ჩამომასრჩიოთ? მე ხომ თვითონ დავხატე ეს სურათი. დიას, ამ ხელებით თვითონ ვხატავდი ვერმერის ნაცვლად. დასასჯელი კი არა, ვიღლოს ღირსი ვარ, რადგან იმ საზიზღარ მკვლელ გერინგს ნაყალბევი შევატყუე“ — და შევეერენმა პოლიციას დაწვრილებით მოუთხრო, თუ როგორ განხდა ხელოვნების ისტორიაში ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფალსიფიკატორი.

დეღეფტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტს მხატვრობაში წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. 1916 წელს მან ოქროს მედალი მოიპოვა კონკურსში „საუკეთესო სტუდენტური ტილოსათვის“, რომელიც 5

წელიწადში ერთხელ იმართებოდა და მკაცრმა ჟიურიმ შევეერენის აკვარელს დიდი შეფასება მისცა. მაგრამ 1922 წელს ჰააგაში მისმა პერსონალურმა გამოფენამ კრაზი განიცადა. განსაკუთრებით აბუჩად ივლებდა და აქილიკებდა ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას განთქმული ხელოვნებათმცოდნე აბრაჰამ ბრედელის.

ცნობილი იყო, რომ დოქტორ ბრედელს, მოდამი ახლად შემოსულ, XVII საუკუნის ჰოლანდიელ მხატვარ იან ვერმერის ნამუშევრებზე აბოღებდა. პატივცემული დოქტორი დარწმუნებული იყო, რომ, ადრე თუ გვიან, აღმოჩნდებოდა აწ მივიწყებული მხატვრის უცნობი ტილოები, რომლებიც იან ვერმერს ჰოლანდიური სამხატვრო სკოლის გენიად წარმოაჩინდა.

ქვეყნიერებასა და განსაკუთრებით ბრედელსზე განაწყენებულმა ახალგაზრდა მხატვარმა გადაწყვიტა: თუ მსოფლიოს სჭირდება ვიღაც მივიწყებული, XVII საუკუნის ტილოს მოხუხნელის შედეგები და არა მისი, შევეერენის შემოქმედება, დაე მსოფლიომ მიიღოს ეს „შედეგები“ — და ხატვა დაიწყო.

შევეერენის მიერ დახატულმა ფსევდო-ვერმერის ქრისტეს ფიგურამ დოქტორ ბრედელსში აღტაცება გამოიწვია — მისი წინასწარმეტყველება გამართლდა და აღმოჩნდა დაკარგული შედეგები. თავისთავად, განთქმული ხელოვნებათმცოდნის შეფასებამ ფალსიფიკატორს გზა გაუხსნა. სურათი 50 ათას გირვანქად როტერდამის ბოიმანის მუზეუმმა შეისყიდა.

შევეერენმა სულ 7 სურათი დახატა. მათგან 5 ფსევდო-ვერმერი, 2 კი, ასევე ძველი ჰოლანდიური სკოლის ოსტატის, იტერ დე ჰოხის სახელით. ამ საქმიანობით შევეერენმა 2 მილიონი გირვანქა იშოვა.

პოლიცია მონათხრობს არ დასჯერდა და ფაქტის დადასტურება მოითხოვა. მათი

ზედამხედველობის ქვეშ შევეერენმა თავის სტუდიაში დახატა „ყრმა იესო იერუსალიმის ტაძარში“. „XVII საუკუნის ოსტატის“ ნახელავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიციასზე, რომ მას სასწრაფოდ მოუხსნეს ნაცისტებთან თანამშრომლობის ბრალდება, თუმცა 1 წელი მაინც მოუსაჯეს თაღლითობისთვის. უიღბლო მხატვარზე ციხემ მძიმედ იმოქმედა — 6 თვეში გულის შეტევით გარდაიცვალა.

## საგვარეულო მამულების მამიებელი

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში შვერთე-ბული შტატების ქალაქ ფენიქსის და მის გარშემო მცხოვრები ღარიბი თუ შეძლებული მოქალაქეები უცნობ პიროვნებას თითქმის ძალით აბარებდნენ გარკვეულ თანხას და თავს ბუნდობლად გრძობდნენ, თუ უცნობი თანხამ იყო, ფული გამოერთმია მათთვის. უბრალო ამერიკელები რა მოსატანია, როდესაც ორმა მსხვილმა კომპანიამ მას 75 ათასი დოლარი მიაბარა.

კაცს, რომელმაც ასეთი საქმე ჩაიდინა და ნახევარი ნიუ-მექსიკოს შტატის მოსახლეობა გაძარცვა, ჯეიმს ელისონ რივისი ერქვა. მანამდე იგი სანტა-ფეში უძრავი ქონების სპეკულაციას მისდევდა და არქივში შემთხვევით წააწყდა დოკუმენტს — ხელშეკრულებას, რომელიც მექსიკასა და შვერთებულ შტატებს შორის 1846 წელს, ომის დასასრულისთანავე დაიდო. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ შვერთებული შტატები აღიარებს ძველი ესპანური საგვარეულოს საკუთრების უფლებას იმ ტერიტორიების მფლობელობაზე, რომელიც ომის შედეგად შვერთებულ შტატებს გადაეცა.

ამ დოკუმენტმა სრულიად შეცვალა რივისი, რომელიც 12 წლის განმავლობაში თაღლითობით იყო დაკავებული. მან მოიარა ესპანეთი და პორტუგალია, სადაც თავს



სწავლულ არქივაროუსად ასაღებდა. ამიტომ ხელი მიუწვდებოდა საეკლესიო და სახელმწიფო არქივების დოკუმენტებზე. მათგან ზოგს რივისი იპარავდა, ზოგს კი უბრალოდ გადაიწერდა ხოლმე. მან ისწავლა ბატის ფრთით წერა, ჩაულრმავედა ესპანური ენის ძველ სინტაქსს. საბოლოოდ შეთხზა მეფე ფერდინანდ მეოთხის პირისფარემის, ვინმე ღონ მიგუელ დე პერალტას ბიოგრაფია, რომელიც ფლობდა უამრავ ორდენსა და უზარმაზარ ტერიტორიებს ნიუ-მექსიკოსა და არიზონას შტატის სამხრეთში.

კვლის უფრო ასარევედ, რივისმა მითურღონ პერალტას 1.000 დოლარად „გააყიდვინა“ მიწის მფლობელობის უფლება ვინმეჯორჯ უილინგისათვის. ეს უკანასკნელი რეალური პიროვნება იყო, მაგრამ გამოუსწორებელი ლოთი და რივისის მოტანილ ქვადღებს, ერთი ბოთლი ვისკის ემშით, წაუკითხავდ მთაწერა ხელი. ამ დოკუმენტებით კი მტკიცდებოდა, რომ რივისმა 30 ათას დოლარად უილინგისაგან შეიძინა „პერალტას ქონება“. პოზიციების მეტად გასამყარებლად, რივისმა მონახა ახალგაზრდა კრეოლი ქალი კარმელიტა, გვარად დე პერალტა დაარქვა და ცოლად შეირთო.

ლოთი უილინგი მალე გამოესალმა წუთისოფელს. ხოლო რივისი, რომელიც თავს ბარონ დე არიზონიას და კაბალიერო დე ლოს კოლორადოსს უწოდებდა, 1883 წელს მეუღლესთან ერთად გამოცხადდა ქალაქ ფენიქსში და მოახსენა იქაურებს, რომ თუ მათ სურთ, დარჩნენ მის საკუთარ მიწაზე საცხოვრებლად, სარფი უნდა გადაინხადონ, ხოლო შეერთებული შტატების წინააღმდეგ სარჩელს უკან გამოიტანდა.

რივისთან ნიუ-მექსიკოსა და არიზონას მცხოვრებთა რიგი დადგა: ფერმერებისაგან რივისი სულზე 10 დოლარს იღებდა. მდიდრებისათვის კი, მათი შემოსავლის შესაბამისად, პროგრესული სკალა ჰქონდა დაწესებული. ამ ოპერაციით, კაბალიერომ, პირველსავე წელს 300 ათასი დოლარი მოიპოვა, შეძლო საუკეთესო ადვოკატების დაქირავება და შეერთებული შტატების სერიოზული მანტაჟი დაიწყო. 80-იანი წლების ბოლოს რივისის ნიუ-მექსიკოში სასახლე ჰქონდა, ხოლო ვაშინგტონსა და სენტ-ლუისში საკუთარი სახლები.

1890 წელს რივისმა ევროპაში იმოგზაურა მეუღლესა და ორ შვილთან ერთად. იგი დიდი პატივით მიიღეს ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ, რომის პაპმა, ესპანეთის მეფემ და გერმანიის კაიზერმა ვილჰელმ მეორემ.

ამასობაში შეერთებული შტატების მთავარმა მიწისმომღელმა, როგორც იქნა, დაიწყო რივისის სარჩელის გაცნობა და მის დოკუმენტებში მრავალი შეუსაბამობა აღმოაჩინა. თუმცა მისი ახალი მეგობრები, მათ შორის, რკინიგზის მაგნატი კოლის ჰანტინგტონი,



დელოფალი ვიქტორია, რომელმაც სიმკაცრის მიუხედავად, თავის სამეფო კართან დაიახლოვა თავლითი რივისი

სამინლად იყვნენ აღშფოთებულები და თავდებად უდგებოდნენ კეთილშობილ დონსა და წარმატებულ ბიზნესმენს, რივისი მაინც დაიჭირეს, იმდენად უტიფარი ტყუილებით იყო სავსე მისი საბუთები. ეს მოხდა 1895 წელს. სასამართლომ „კეთილშობილ იდალგოს“ 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

### ტერეზა იუმბერის ჯადოსნური აგური

თუმცა ტერეზა იუმბერი ქალაქ ტულუზის მერის მრეცხავი იყო, მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ მის მარღვებში ცისფერი სისხლი ჩქეფს და მამამისი, ადრე თუ გვიან, დაიბრუნებს საგვარეულო მამულს. ტერეზას მამა იმდენად დარწმუნებით საუბრობდა თავის მამულსა და სიმართლის გამარჯვებაზე, რომ მომავალი ქონების ხარჯზე დაუბრკოლებლად იღებდა სესხებს. ტერეზა კი, ბოლოს ქალაქის მერის რძალი გახდა.

1874 წელს ტერეზას მამა გარდაიცვალა და იმ სკივრში, სადაც, მისი მტკიცებით, თავადური წარმოშობისა და მამულის საბუთები ინახებოდა, მხოლოდ აგური აღმოჩნდა (მოხუც იუმბერს თავისებური იუმორის გრძნობა ჰქონდა).

ქალაქის თავის ოჯახში უმზითო რძალს სკანდალი მოუწვევს. ტერეზა არ დაინდა და იმდენად ფანტასტიკური ამბავი მოჰყვა, რომ მამის მამულები უკან მოიტოვა. რაც უფრო საოცარია, მის ამ ახალ „ზღაპარს“ დაუჯერეს. ტერეზამ დაარწმუნა ყველა, რომ მექვიდრობით უზარმაზარი ქონება მიიღო ჩიკაგოელ მილიონერ რობერტ ჰენრი კროუფორდისაგან: თითქოს, ეს კაცი მატარებელში, სადაც ტერეზა და მისი და მგზავრობდნენ, ცუდად გახდა და ტერეზამ სიკვდილს გადაარჩინა. კროუფორდი ამერიკაში მშვიდობით დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილამდე, მადლობის ნიშნად, ფრანგ გოგონას დაუტოვა ქონება – ფასიანი ქვადღები და ბონები, რომელიც ახლა ტერეზას პირად სიფთში ინახება. ანდერძის თანახმად, ფასიანი ქვადღების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ ტერეზას დის, მარის, სრულწლოვნებ-

ის მიღწევის შემდეგ. თურმე მარიც დაეხმარა ტერეზას კროუფორდის გადარჩენაში.

ამ, ყველასთვის დაფარული ანდერძის ხიბლით, ტერეზა საფრანგეთის თითქმის ყველა ბანკიდან განუსაზღვრულ კრედიტს იღებდა.

ლიონელი ბანკირი, დელატი ბოსტონს ეწვია, სადაც, ტერეზა იუმბერის მონათხრობით გარდაცვლილი ჩიკაგოელი მილიონერის ძმისშვილები ცხოვრობდნენ, აღმოჩნდა, რომ არც ბოსტონში და არც ჩიკაგოში არაფერი უწყვიდა რობერტ ჰენრი კროუფორდის შესახებ. დელატმა ვერ მოასწრო თავისი ფრანგი თანამემამულეებისთვის ამ აღმოჩენის შეტყობინება, რადგან მისი გვამი, ძალადობის ნიშნებით, ნიუ-იორკის ისტ-რივერში იპოვეს.

ტერეზას დას 21 წელი მალე შეუსრულდებოდა და მან ახალი შემოსავლის წყაროზე დაიწყო ფიქრი. აბჯერად ტერეზამ ტყუილი უკუაგლო და რეგისტრაციაში გაატარა სადაზღვევო კომპანია RENTE VIAGERE, რომელიც სამუდამო რენტის გარანტიას აძლევდა მენაბრეებს. ეს კომპანიის დასახელებაშიც ნათლად ჩანდა. ასეთი ტიპის სადაზღვევო კომპანიები ავროპებენ მენაბრეებისაგან ფულს და მისი ბრუნვაში გაშვებით იღებენ მოგებას. მაგრამ ტერეზა, რომელმაც თანათავმჯდომარეებად თავისი ძმები დანიშნა, არ აპირებდა ინვესტირებას. მან უბრალოდ გამართა ისეთი ტიპის კომპანია, რომელიც დღეს „პირამიდების“ სახელით არის ცნობილი და ისე საფუძვლიანად, რომ RENTE VIAGERE-მ 20 წელი გაძლო. ამასობაში პროვინციული ტერეზა „ლა გრანდ ტერეზად“ გადაიქცა. პარიზელ ზეპურ ლომქალად, რომლის წინაშე ქედს იხრიდნენ ბანკირები და პოლიტიკოსები. მათ სურდათ თავიანთი ქონება მაღალპროცენტთან, შემოსავლიან RENTE VIAGERE-ში ჩაედოთ.

მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს. საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთმა მმართველმა ჟოულ ბიზამ გამოითვალა, რომ თავისი უზარმაზარი მასშტაბით და დიდი არეალით ტერეზას პირამიდა ფინანსური კრიზისის საფრთხეს უქმნის საფრანგეთის სახელმწიფოს. ბიზამ დაწერილებითი მოხსენება წარუდგინა პრემიერ-მინისტრს პიერ ვალდეკ-რუსოს. პრემიერ-მინისტრმაც კი ვერ გაბედა, ღიად დაპირისპირებოდა მადამ იუმბერს – მამან კრიზისი მართლაც გარდაუვალი იქნებოდა – და დაავალა გახუთ „მატენს“ მამხილებელი წერილების სერია. საპასუხოდ ტერეზას ადვოკატმა, მეტრ დიუბუი განაცხადა, რომ ხალხის წინაშე გახსნიდა მადამ იუმბერის პირად სიფთს, რათა ყველა დარწმუნებულიყო პატრონესას პატიოსნებაში. ტერეზას საძინებელში მოთავსებული სიფთის გახსნის ცერემონიალი 1902 წლის 8 მაისს დაინიშნა.

ვადამდე ორი დღით ადრე მაღამ იუმბერის სახლი მთლიანად დაიწვა. ცეცხლს გადაურჩა მხოლოდ უწვავე სეიფი. მეორე დღეს ტერეზა თავის ჯვალბთან ერთად პარიზიდან გაქრა. 7 თვის შემდეგ იგი მადრიდში დააკავეს, პარიზში დააბრუნეს და სასამართლომ 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მისი სეიფი, პარიზის ერთ-ერთი მალაზის ვიტრინაში იყო გამოფენილი. თანამედროვეების გადმოცემით, ცარიელ სეიფში აგური იყო.

### ლონდონის ღირსშესანიშნაობების გამსაღებელი

ეს ამბავი კეთილშობილი თაღლითების, ვეფ პიტერისა და ენდი ტაკერის თავგადასავალს ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ ინგლისელი მსახიობი ფერგიუსონი რეალური ადამიანი იყო.

1925 წელს უმუშევარი მსახიობი ტრაფალგარდის მოედანზე მომრავლებულ ამერიკელ მოგზაურებს ათვალიერებდა. მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა ტურისტმა, რომელიც ისე შეჭყურებდა ტრაფალგარდის გამარჯვების აღსანიშნავად დადგმულ ადმირალ ნელსონის კოლონას, რომ ზედვე ეტყობოდა, წარმოიდგინა, როგორ დაამშვენებდა კოლონა, აიოვას შტატში, მისი მშობლიური ქალაქის მთავარ ქუჩას.

ფერგიუსონი ამერიკელს გამოელაპარაკა და საიდუმლოდ გაანდო, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა, გაეიდოს ლონდონში არსებული რამდენიმე ისტორიული ძეგლი, მათ შორის ტრაფალგარდის კოლონაც, რათა ნაწილობრივ დაფაროს სამხედრო ვალი ამერიკის წინაშე. ფერგიუსონი კი სწორედ ის რწმუნებით აღჭურვილი სახელმწიფო მოხელეა, რომელსაც ეკისრება შესაძლო მყიდველებთან მოლაპარაკების წარმართვა. სრულიად შემთხვევით, მან დაინახა სოლიდური ადამიანი, რომელიც ინტერესით აკვირდებოდა კოლონას და ამიტომ გამოელაპარაკა. სქელჯიბიანი აიოველი ტურისტი ნასიამოვნები დარჩა ამგვარი ყურადღებით და კოლონის ფასით დაინტერესდა. ფერგიუსონმა მოუბოდიშა და თავისზე მაღალ ინსტანციაში საკონსულტაციოდ გაემართა. ცოტა ხანში დაბრუნდა და ამერიკელს ახარა, რომ საქმე „გაჩარხულია“, კოლონა 6 ათას გირვანქად არის შეფასებული. ამერიკელმა სასწრაფოდ გამოწერა ჩეკი, ხოლო ფერგიუსონმა მას გადასცა ფირმის მისამართი, რომელსაც თითქოს უნდა მოეხდინა კოლონის დემონტაჟი და აიოვაში ჩატანა. აღნიშნულ მისამართზე მართლაც არსებობდა ფირმა, რომელიც ძველი ნაგე-

ნელსონის კოლონა, რომელიც ფერგიუსონმა ამერიკელ გურისგს მიჰყიდა...

ბობების დემონტაჟს ახორციელებდა. ფირმის წარმომადგენლები განცვიფრებულნი იყვნენ ამერიკელის პრეტენზიით, ხოლო გაცოფებული ამერიკელი სკოტლანდ-იარდში ძლივს დაარწმუნეს, რომ თაღლითობის მსხვერპლი გახდა.

ამ ამბის შემდეგ, რამდენიმე კვირა სკოტლანდ-იარდის მუშაკებს ქანცი გაუწყვიტა იმ უცნობი კაცის ძებნამ, რომელმაც ამერიკელ ტურისტებს მიჰყიდა ბიგ-ბენი (1.000 გირვანქად), ტაუერი (1.000 გირვანქად), ბუკინგემის სასახლე (2.000 გირვანქად) და ვესტმინსტერის საბაბო (2.000 გირვანქად). ამის შემდეგ ამერიკელი ტურისტების საჩივრები შეწყდა და სკოტლანდ-იარდში დაასვენეს, რომ არამზადამ ლონდონი დატოვა. ისინი არ შემცდარან. ფერგიუსონი მიხვდა, თუ რამხელა შესაძლებლობები იმალებოდა გარე სამყაროსთან ამერიკელების დამოკიდებულებაში, რომ ყველაფრის ყიდვა შეიძლება და დოლარების „საკონტაქტო“ ადგილზე გაემგზავრა. მაგრამ მისი ნაბიჯი მცდარი აღმოჩნდა. ამერიკაში მან შეძლო, მხოლოდ თეთრი სახლის 99 წლიანი იჯარით „გაცემა“ და ავანსად 100 ათასი დოლარი აიღო ტენესელი მესაქონლისაგან, მაგრამ „თავისუფლების ქანდაკების“ გაყიდვის დროს ჩაკარდა. აღმოჩნდა, რომ თავის სახლში ამერიკელები არცთუ ისეთი დოვლადები არიან.

### მარიენკირხეს რესტავრაციორები

1942 წელს მოკავშირეთა ავიაციამ გერმანული ქალაქი ლიუბეკი დაბოძა. ცეცხლმა გაანადგურა XIII საუკუნის წმინდა მარიამის ეკლესიის ფრესკები. ჩამწვარ ბათქაშზე ბუნდოვნად მოჩანდა ფიგურათა სილუეტები.

1948 წლის ივლისში, სიძველეთა დაცვის დასავლეთგერმანულმა ასოციაციამ, ფრესკების რესტავრაციისთვის ვინმე ლიტრიხ ფეი-



დაიქირავა. ღმერთმა იცის, რატომ აირჩიეს სიძველეთა დამცველებმა ეს კაცი, რომელიც არაერთხელ იყო ნასამართლვეი ხელოვნების ნიმუშების ფალსიფიკაციის გამო. ფეიმ კი დამხმარედ ლოთარ მალსკატი მოითხოვა, რომელიც ასევე ცნობილი იყო გერმანული პოლიციისათვის. მისი ფუნჯი ნებისმიერი გემოვნების სურათს, რემბრანდტიდან – შაგალამდე, ვირტუოზულად აყალბებდა და იმ წელს იგი უკვე დაკავებული ჰყავდა პოლიციას ყალბი სურათების გაყიდვისათვის.

მიუხედავად ამგვარი წარსულისა, რესტავრატორები თავიანთი საქმის კარგი ოსტატები იყვნენ და სიძველეთა დამცველებმა მათ წარსულზე, ეტყობა, თვალი დახუჭეს.

რესტავრაციისთვის 30 ათასი დოლარი გამოიყო და ოსტატები 3 წლის განმავლობაში არავის უშეგებდნენ ეკლესიაში. ჭორად ვრცელდებოდა ამბავი, თითქოს რესტავრატორებმა „უიშვიათესი ფიქსატორი“ აღმოაჩინეს, რომელმაც ძველ ფრესკებს სიცოცხლე დაუბრუნა. შემდეგ ფეიმ და მალსკატმა დამკვეთებს განუცხადეს, რომ ეკლესიის ნავის კედლის რესტავრაციის შემდეგ, მათ პატრონიკზე, გვიანდელი ფრესკების ქვეშ, უძველესი ფერწერა აღმოაჩინეს. რესტავრატორები თანხმანი იყვნენ, მინიმალური თანხით ეს ფრესკებიც განეახლებინათ. სიძველეთა დამცველები დათანხმდნენ და 1951 წლის 2 სექტემბერს განახლებული მარიენკირხე საზეიმოდ გაიხსნა. ამ თარიღის აღსანიშნავად მთავრობამ 5 პფენინგიანი საფოსტო მარკა გამოუშვა. დღესასწაულს თვით გერმანიის კანცლერი კონრად ადენაუერი ესწრებოდა. ლიტრიხ ფეიმ საპატიო ჯვარი მიიღო, ხოლო მალსკატმა – არაფერი. გაბრაზებულმა მალსკატმა სიყალბეში ამხილა ფეი და საკუთარი თავიც არ დაინდო. მან თქვა, რომ ფეიმ აიძულა, მთლიანად ჩამოეფხეკა XIII საუკუნის ფრესკების ნარჩენები, რომლებიც მართლაც არ ექვემდებარებოდა რესტავრაციას და ფოტოსურათებზე დაყრდნობით, ზემოდან დახატვინა ახალი. მაგრამ სპეციალურმა კომისიამ დაასკვნა, რომ მალსკატი ტყუის. გამწარებულმა მართლის მოქმედმა კომისიას პატრონიკზე რესტავრირებული ფრესკების პირისახეზე მიუთითა. კომისია სახტად დარჩა – წმინდანებს მარლენ ლიტრიხის, კრიგორი რასპუტინის, ჩინგის-ხანისა და მალსკატის უმცროსი დის სახეები ჰქონდათ.

თვალახელილმა კომისიამ აღმოსავლეთის კედლის ფრესკების რენტგენული ანალიზი ჩატარა. მალსკატი მართალი აღმოჩნდა. მაგრამ ამ სიმართლისთვის, 1954 წლის აგვისტოში, სასამართლომ ფეის 22 თვით, ხოლო მალსკატს 20 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მომგზავა მანანა იაშვილია

# „შენ იაღჯანით ვინ გავცურავს“...

ლელა ჯიყაშვილი

ქუჩაში რომ მოდიოდა, გამკვლელები ჩერდებოდნენ და აღფრთოვანებულ მზერას აყოლებდნენ. არა მარტო ეკრანზე, ცხოვრებაშიც საოცრად მომხიბლავი ყოფილა — მგრძობიარე, ყურადღებიანი, თბილისზე უსაზღვროდ შეგვარებული, დახვეწილი გარეგნობის სპარტაკ ბალაშვილი.

მისი პაპა — აბრამი ბოდბიძან ჩამოსულა თბილისში. აქ თავის ლამაზ მეუღლესთან — სალომე მაჭარაულთან ერთად ცხოვრობდა თურმე... ახალგაზრდა ოჯახის მალე უბედურება დაატყდა თავს: აბრამი მტკვარში დამხრჩვალა, ხოლო ქერივე მორედ გათხოვილა. მამინაცვალმა არ ინდობა გერი — 7 წლის ლევან ბალაშვილი... ისიც მენახშირესთან წავიდა შეგირდად და საკუთარი შრომით ირჩენდა თავს... ახოვანი და უნაკლო გარეგნობის გაზრდილა; ბრწყინვალედ უსწავლია რუსული, სომხური, თათრული ენები. სცენის სიყვარულით ანთებულს, პიესებიც კი უთარგმნია რუსულიდან... გაერთიანებული ყოფილა მურაშკის სცენისმოყვარეთა დასში... სხვათა შორის, იმ პერიოდში განმაურებულ სპექტაკლებში: აკაკის „პატარა კახში“, შილერის „ყაჩაღებში“ ლევან ბალაშვილიც ყოფილა დაკავებული... ფილმში გადაღებაც შეუთავაზებიათ მისთვის, მაგრამ უარი უთქვამს: მე ოჯახი მყავს სარჩენი... მსახიობის მწირი ანაზღაურება კი, იცოდა, ოცნების განხორციელების საშუალებას არ მისცემდა: მას უნდოდა, უნაკლო განათლება მიეცა შვილებისათვის — სპარტაკისა და სიუზასათვის...

მოკლედ, სპარტაკ ბალაშვილს ის მშვენიერი გარეგნობაც და აზროვნებაც მამისაგან ერგო „ემეკვიდრებოდ“... სათნო, კეთილი

## არსენას როლში



და ჩუმი ღელა — ბარბარე სიამაყით ამბობდა, თურმე: ვენაცვალე ჩემს სპარტაკს, ეგეთი ანგელოზი, მეორე არ დავის ქვეყანაზეო. ყოველთვის ფიზიკურად ძლიერი ბავშვი ყოფილა, მაგრამ არასოდეს არავინ დაუჩაგრავს, არავინ გაულახავს თურმე...

ცხოველები უყვარდა განსაკუთრებულად... სულ ჰყავდა ძალი სახლში, როცა პატარა იყო... თვითონ ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა... დაიწყებდა დაკვრას და დაუძახებდა თავის საყვარელ ძაღლს — ჯიპის... ისიც მელიდიას „აჰყვებოდა“...


ბატონ სპარტაკს ღიმილით გაუხსენებია ერთხელ: პატარა რომ ვიყავი, ფული არ მქონდა, მუშტაიდის ბაღში დაუუკრავდი ფორტეპიანოს და ვიშოვიდი ხოლმე ფულსო!

მოუსვენარი ყმაწვილი ყველას უყვარდა. დედა ხუმრობით ქოთიას ეძახდა, თურმე: დიდი კომოდის უჯრებს, სადაც ჩურჩხელებს ინახავდნენ, მუდამ აქოთებდა და იმ-იტომ...

სპარტაკის მოვალეობა ყოფილა დუქნიდან პურის ამოტანა. ყოველდღე ამოჰქონდა, თვის ბოლოს კი მამამისი ფულს დააანგარიშებინებდა მეღუქქეს და იხდიდა დანახარჯს. ერთხელაც ძალიან დიდი თანხა გამოსულა გადასახდელი... დაუძახიათ სპარტაკისათვის. გამოირკვა: თურმე მოპირდაპირე ეზოში მცხოვრები ხელმოკლე, ჭლექით დაავადებული მეზობლებისთვისაც ყიდულობდა პურს კეთილი ბიჭი...

ისე უყვარდა თბილისი, ქალაქგარეთ დასასვენებლადაც არ მიდიოდა. მამისთან ერთად რჩებოდა ყოველთვის. და როცა პირველად სოფლად მოხვედრილა, საკმაოდ მოზრდილი ბიჭი, გაკვირებული უყურებდა მოწვევტილ თხილს ხელისგულზე — არ იცოდა, რა მოეხერხებინა მისთვის.

სკოლის დამთავრების შემდეგ საგზაო საინჟინრო ფაკულტეტზე გაუგრძელებია სწავლა. კარგი სტუდენტი ყოფილა. ერთხელ მუშტაიდიდან მოდიოდა მეგობრებთან ერთად. დაუნახავს მიხეილ ჭიაურელი, რომელიც „არსენას“ გადასაღებად ემზადებოდა. აღტაცებულს უთქვამს: ეს არის ჩემი არსენაო... შეუთავაზებიათ ფილმში გადაღება 22-23 წლის ყმაწვილისათვის. სპარტაკ ბალაშვილს უარი უთქვამს: მაგისთვის არა მცალიაო. გულგატეხილ მიხეილ ჭიაურელს მეგობარი რეჟისორისთვის — შაქრო ბერიშვილისთვის გაუზიარებია ეს ამბავი... ეგ,



მგონი ლევან ბალაშვილის შვილი უნდა იყოსო, — „უცენია“ ბატონ შაქროს... წასულან ისიც და მიხეილ ჭიაურელიც ლევანთან მოსალაპარაკებლად, რომელიც დაუთანხმებიათ შვილის დაყოლიებაზე. სპარტაკ ბალაშვილი მამის ნება-სურვილს დაჰყოლია. „კრავივით იღვა“ თურმე მამის წინაშე.

1936-37 წლებში „არსენა“ გადაიღეს... ხალხმა უსაზღვროდ შეიყვარა მთავარი პერსონაჟის განმასახიერებელი, მითური სილამაზის პატრონი სპარტაკ ბალაშვილი. ქუჩაში ბავშვები დასდევდნენ: ძია არსენო! — ეძახდნენ. ერთი ლამაზი ქუთისის გოგო ცხოვრობდა მეზობლად თურმე. ქუჩაში რომ შეხვდებოდა, „ყვლაგაშეწეული“ ეხვეწებოდა: ძია არსენ, წამიყვანე, რა, კინოში მათამაშეო... „არსენაში“ უნახავს პირველად სერგო ფარაჯანოვს და უთქვამს: აუცილებლად რეჟისორი გამოვალ და ამ კაცს ჩემს ფილმში გადავიღებო...

როცა სერგო ფარაჯანოვმა „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილების“ გადაღება გადაწყვიტა, წერილი მისწერა უკვე სახელოვან მსახიობს: ტექსტი რუსულად იყო შედგენილი, კონვერტზე ქართულად ეწერა: „სპარტაკ-ჯან, გენაცვალე, ჩამოდი, რა!“ წავიდა სპარტაკ ბალაშვილი გადაღებებზე დასავლეთ უკრაინაში. ადგილობრივები განაწყენებულან: გუცულის როლზე ქართველი რომ არ მოგეწვია, რა, გუცულები ვერ ითამაშებდნენო? გადაულაით სინჯები — რა თქმა უნდა, გუცულურ ტანისამოსში — სპარტაკისთვისაც. სერგო ფარაჯანოვს პრეტენზიის ავტორისათვის წარუდგენია სურათები: ამოირჩიე, ნამდვილ გუცულს ვინც წარმოადგენსო... და მასაც, ისე, თვითონაც რომ არ სცოდნია თუ ხელს ქართველ მსახიობს ადებდა, ამოურჩევია სპარტაკ ბალაშვილი.

გადაღებებზე დასავლეთ უკრაინაში ბევრი ღარიბი, ფენშიშველი ბავშვი უნახავს. მეუღლისათვის უთხოვია: ოღონდ ამით ფეხსაცმელები უყიდვ, და მე პაპიროსს აღარ მოვწვევ, ეკონომიას გავაკეთებო. მეუღლესაც, რა თქმა უნდა, უყვია.

შესანიშნავი ქალბატონი – მარიამ დოლიძე – სპარტაკ ბალაშვილის მეუღლე, სულ თან დაჰყვებოდა, მზრუნველობას არ აკლებდა ქმარს... ამბობენ, პირველად ვერის ხიდზე უნახავთ ერთმანეთი, სპარტაკი თურმე მოაჯირზე იჯდა და ირწყვიდა... გამოუვლია ქალბატონ მარიამს – რა არის, ყმაწვილო, როგორ იქცევით, ქვეყანას უხეთქავთ გულსო, – უთქვამს. დაუყოვნებლივ ჩამომხტარა მოაჯირიდან მისი მომავალი მეუღლე.

ისეთი დიდი ტრიუმფით დაიწყო სპარტაკ ბალაშვილის სამსახიობო კარიერა „არსენატი“, რომ თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო ბოლომდე. მალე „დიდ განთიადში“, მერე „გიორგი სააკაძეში“ მიიწვიეს... პირველად თვით გიორგის როლზე დაუშტკიცებიათ, ტანსამოსიც შეუკერათ... მერე ეს გადაწყვეტილება შეუცვლიათ და მეფე ლუარსაბი განასახიერებინეს...

სტალინური პრემია მიიღო ორჯერ... მიწვეულიც იყო სხვებთან ერთად მოსკოვში... მეორედ გაგრამი. ბელადს მოუთხოვია: აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა და სპარტაკ ბალაშვილი ჩამომიყვანეთო... კანდიდ ჩარკვიანს შეუბედავს – სპარტაკი არ არის კარგად, ნერვული სტრესი აქვს, ვერ შეძლებსო...

– ტყუილია, როგორ, ნერვული სტრესი და ქიზიყელი კაცო? – უხუმრია სტალინს. ჩაუყვანიათ სამივე მსახიობი გაგრამში. სპარტაკს წაუკითხავს ნაწყვეტი „ოტელიოდან“, ჰამლეტის მონოლოგი, ხალხური ლექსი... სტალინს უთქვამს – რა კარგ ქართულს ლაპარაკობ, შვილო, შენში ქართველი ერის ღირსებაა, მეორე ლადო მესხიშვილი ხარ, ლადო მესხიშვილიო! შემდეგ ვასაძისა და ხორავასათვის უკითხავს: **А почему он у вас в театре не работает** თბილისში ჩამოსულს მოუყოლია სპარტაკს: ღამით ჩემს ოთახში შემოდოდა ბელადი. მე თვალები დახუჭული მქონდა, არ ვიძროდი. საბანს გამისწორებდა და გავიღოდაო.

ომის დროს თურმე წასვლას თხოულობდა საბრძოლველად. კანდიდ ჩარკვიანის კაბინეტში შეჭრილა აღმფრთვებული: უარს მეუბნებიან, ფრონტზე არ მიშვებენო – და პარტიბილეთი დაუხვევია...

„თეთრი ქარავნის“ სცენარის მიხედვით, სპარტაკ ბალაშვილს უნდა გაერტყა იმედა კახიანისათვის. გაურტყამს... უფრო ძლიერად, ბატონო სპარტაკო, – უთხოვია ელდარ შენგელიას... მეორედ ისეთი ძალით გაურტყამს, იმედა კინაღამ წაქცეულა: მთელი სულით და გულით იცოდა როლში შეჭრა...

არანაირი განსაკუთრებული სიმდიდრე არ ებადა. ბინაც კი არ ჰქონდა კარგი.



**სერგო გვარჯანიოვის უკრაინულ ფილმში „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“**

1937-ში მოუციათ რეპრესირებული ოჯახის ბინა შეროზიაზე... შიგ ბებია და ბავშვები ყოფილან დარჩენილები. სპარტაკ ბალაშვილს უთქვამს: ქალბატონო, ამ ბინას მე გაგიფორმებ ფორმალურად, რომ თქვენ აღარ შეგაწუხონ... თუ ვინმე მიკითხავს, უთხარით: გადაღებაზეა, მოსკოვშია, ან ვასულია და მოვა-თქო... ასე შეუნარჩუნა თურმე ბინა განწირულ ხალხს.

ცუდად იყო და მეუღლეს მოსკოვში წაუყვანია 1961 წელს. იქ მოხუც ფსიქიატრს (თითქოს შემთხვევით შეხვედრილ ქალბატონ მარიამის მამის მეგობარს) უნახავს. დიდხანს უსაუბრიათ. ბოლოს პროფესორს უთქვამს: **Вы говорите, что он долго уже болеет... Нет... Это социальный больной, а не психический...**

უსაზღვროდ უყვარდა ოჯახის წევრები მეუღლე, ქალიშვილი. 1953 წელს ერთ პატარა წერილში წერდა: „ყველას! იყავით კარგად და სულ მცირედი გაუნაწილეთ ჩემს მარიამს ყურადღებად, ალერსად, ჩემგან მარტოობის შემუწვევლობისათვის...“ ქალიშვილს სულ ალერსით მიმართავდა: ჩემო მანანგუზოო... სკოლაშიც თვითონ ატარებდა თურმე.

გადაღება ჰქონდა. გრიპი შეჭრია. არ დაწვა. ფილტვების ანთებაში გადაეხარდა. ვერ გაუგეს... გვიან მიხვდნენ. ავადმყოფი თავის ოთახში ქალებს არ უშვებდა. მხოლოდ სიძე – ნუგზარ ერქომაიშვილი შედიოდა, უვლიდა.

1977 წლის 14 იანვარს ბატონი სპარტაკი წერდა: „კინოსტუდიის მოლარეს. ჩემო საყვარელო! ჯგუფს ჩემი გადაღებების ფული არა აქვს! სალაროდან არც ნდობით მოიჩქმითება, მაგრამ ნუ მიუარებთ – ორშაბათამდე თქვენი მოვალე ვიყევ. ანლა ათი მანეთით გაწუხებთ წამლების შენებისათვის. ალბათ

**ბუნებით ბოლომდე ბავშვად დარჩენილი, მუდამ პაგარებთან ურთიერთობას ელგვოდა...**

სახელმწიფოს სისაწყლეა ასეთი თხოვნით შეწუხება თქვენი, ანლა სახელმწიფოს გაჭყლებილი ვარ. თუ შესაძლებელია, ნუ მიუარებთ! პატივისცემით, სპარტაკი“.

1977 წლის 30 იანვარს, როცა ავადმყოფისათვის ბატონ ნუგზარს ნემში გაუკეთებია, მას წაუღიღინებია: მოკვდები, გაუნარდება საფლავის შავს ჭიასო... მერე უკითხავს: დღეს რა დღეაო? – კვირა – უპასუხია სიძეს... – კარგია კვირას წასვლა... ეს დღე მისი გარდაცვალების დღე იყო...

როცა კინოსტუდიაში იყო დასვენებული, უცხო ქალი შემოსულა ტირილით. უთქვამს: ომის წლებში პურის ბარათები დაგვარგე ორი შვილის პატრონმა. მოვლილი ვერის ხიდზე სასოწარკვეთილი, ლამის თავი მომეკლა. ვხედავ, მოდის სპარტაკი: ქალბატონო, რა გჭირთ? ვუთხარი, რაც მომივიდა. ამოიღო თავისი ბარათი და მოცა: მე სპეცმალაზიაში მეკუთვნის პური და იქ აიღეთ, თქვენი იყოსო... ტირილდა უცხო ქალი: მამ, თბილისის ქუჩებში ვეღარ შეგხვდებიო?

მართლაც, საოცრად დააკლდა თბილისს. თურმე ჩემად ლექსებს წერდა. ერთ-ერთი ლექსი ჩამრჩა მენსიერებაში. ასე მგონია, როცა ძალიან გაუჭირდა, მამინ დაწერამეთქი; ახლა თითქოს იმ სამყაროდან გვეხმინება ამ სიტყვებით:

ნავი თეთრფრთა აფრიანი ვით თოლია ტალღებსა სდევს, ზოგს გადივლის გადაფრენით ხან ყვინთავს და ქმის შიგ გახვევს. ფუძე მიწას ცა გახურავს ღელვით ზღვასაც შესადარო, შენ იალქნით ვინ გაგცურავს მომავლის შესართავო.

ბატონმა სპარტაკმა შეუბღალავი უმწიკვლო თეთრი იალქნით გადაცურა მიწიერი ცხოვრება და მარადიულ საქართველოს შეუერთდა.

P. S. დახმარებისათვის მადლობას ვუხდით სპარტაკ ბალაშვილის ქალიშვილს, ქალბატონ მანანას.



30 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ალ-ბანო კარიზი და რომინა პაუერი ერთმანეთს დაშორდნენ. იტალიელები მიხვდნენ, რომ ამ ერთი შესხედვით ბედნიერ ოჯახში დიდი და სერიოზული ბზარი გაჩნდა. ამ ღრმად კათოლიკურ ქვეყანაში გაყრის პროცესი ძალიან ჭიანჭურდებდა სოლმე, ხანდახან მთელი 6 წელიც კი გრძელდება. კანონის თანახმად, განთქმული წყვილის საკითხის განხილვას სასამართლო 2002 წლის მაისში დაიწყებს. მაგრამ აქ დრო ვერაფერს შეცვლის: ალ-ბანომ და რომინამ ერთმანეთში საბოლოოდ გაარკვიეს ურთიერთობა და გადანყვიტეს, რომ აღარასოდეს იქნებიან ერთად...



# ლაპაზი რომანის საპლიანი დასასრული

ალ-ბანო და რომინა შესანიშნავ საესტრადო დუეტს ქმნიდნენ, კონცერტებით მთელი მსოფლიო მოიარეს. მათი გამოსვლა ყოველთვის გადაჭედულ დარბაზებში მიმდინარეობდა. 80-იან წლებში მათი განთქმული სიმღერა „ფელიჩიტა“ თითქმის ყველა სახლის ღია ფანჯრებიდან ისმოდა. სცენაზე მიღწეული წარმატებები დაუსრულებლად აღარ გაგრძელებულა. 1994 წლის 6 იანვარს ვარსკვ-

ლავურ ოჯახს თავს დიდი უბედურება დაატყდა: რომინას და ალ-ბანოს უფროსი ქალიშვილი ილენია დაიკარგა. ეს აშშ-ში, ახალ ორლეანში მოხდა, სადაც გოგონა ზამთრის არდადეგებს ატარებდა. ორი ქვეყნის პოლიციის დიდმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო. გოგონას დაკარგვა ბურუსით იყო მოცული და ბევრი ჭორის საფუძველიც გახდა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, იგი მოიტაცეს. ვინ

ჩაიძინა ეს და რა მიზნით – ცნობილი არ არის. ზოგიერთები კი ამტკიცებდნენ, რომ გოგონა უბრალოდ ჰიპებს დაუმეგობრდა და მათ აედევნა.

რომინას და ალ-ბანოს ახლობლების მტკიცებით, სწორედ ამ უბედური შემთხვევის შემდეგ გაჩნდა ცოლქმარს შორის პირველი ბზარი. ამბობენ, ისინი სულ უფრო ხშირად კამათობდნენ და მომხდარ ამბავსაც ერთმანეთს აბრალებდნენო. უწინდელი ურთიერთობის აღდგენა ვეღარ მოხერხდა. ალ-ბანოს და რომინას ურთიერთობა, გაყრის თაობაზე განცხადებით დასრულდა...

ყველაფერი კი ძალიან ლამაზად დაიწყო. 1969 წელს იტალიაში 18 წლის მომხიბლავი ამერიკელი გოგონა – რომინა პაუერი ჩავიდა. მოგვიანებით მას იტალიურმა პრესამ „კალიფორნიელი ლამაზმანი“ უწოდა. გოგონა იტალიელი ემიგრანტის, 30-40-იანი წლების განთქმული მსახიობის ტაირონ პაუერის მდიდარ ოჯახში გაიზარდა. ტაირონი იმ პერიოდის ბევრ განთქმულ ფილმში იყო გადაღებული.

რომინას მუსიკალურ მონაცემებს ყველა ბავშვობიდანვე აღიარებდა. თავის ისტორიულ სამშობლოს ის

მამასთან – მსახიობ ტაირონ პაუერსა და დასთან ერთად, პოლიგუელ ვარსკვლავ კიმ ნოვაკთან სტუმრობისას, 1955 წ.



მუსიკალური განათლების მისაღებად ესტუმრა. მალე 25 წლის ალ-ბანო კარიზი გაიცნო. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მხურვალე რომანმა თავისი ლოგიკური გაგრძელება პოვა და 1970 წლის 26 ივლისს რომინა და ალ-ბანო დაქორწინდნენ.

იმავე წელს ახალგაზრდა ოჯახში პირველი ბავშვი გაჩნდა. გოგონას ილენია დაარქვეს. სამი წლის შემდეგ რომინას ბიჭი შეეძინა, რამდენიმე წლის შემდეგ კი – კიდევ ორი გოგონა. ალ-ბანო, ტრადიციული კათოლიკური წესის თანახმად, ოჯახის „კლასიკური“ უფროსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რომინა სხვა გარემოში, ამერიკაში აღიზარდა, მან უსიტყვოდ აღიარა ცხოვრების იტალიური წესი, რადგან ძალიან უყვარდა ქმარი.

პირადი ურთიერთობების გართულების შემდეგ, ჯერ კიდევ ოფიციალურ ქორწინებაში მყოფი, ალ-ბანო და რომინა ცდილობდნენ, არ ეჩვენებინათ ხალხისთვის, რომ მათი კავშირი ირღვევა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ რეპორტიორებმა ალ-ბანო სლოვაკ ჟურნალისტ, გაბრიელა სკრაბაკოვასთან ჩახუტებული არ დააფიქსირეს. აღმოჩნდა, რომ მათ ერთმანეთი 1998 წელს, ვენაში გაიცნეს, როცა სკრაბაკოვა ალ-ბანოსგან ინტერვიუს იღებდა. გაბრიელა გამოუტყდა მომღერალს, რომ 15 წლის იყო, როცა ბრატისლავაში კონ-



სცენაზე, 1988 წელს

ცერტზე პირველად ნახა ალ-ბანო და სამუდამოდ შეიყვარა იგი.

„მე და რომინა იმ პერიოდში ფაქტობრივად აღარ ვიყავით ცოლ-ქმარი“ – იხსენებს ალ-ბანო. კაცი აღმერთებს თავის შეყვარებულს. გაბრიელას ჰქონია უნარი, მოუსმინოს, მძიმე წუთებში საჭირო სიტყვები გამოეძინოს და ანუგეშოს საყვარელი მამაკაცი. წყვილს

არ აღელვებს 26 წლიანი ასაკობრივი სხვაობა. ალ-ბანო კარიზი 56 წლისაა, სკრაბაკოვა კი – 30-ის. „ჩვენ ორი ზრდასრული ადამიანი ვართ, ერთად კი ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს“ – აღნიშნავს გაბი.

რომინამაც მოახერხა, განედევნა არასასიამოვნო მოგონებები. 48 წლის ქალი მეტისმეტად აქტიურია. გაყრის შესახებ ოფიციალური განცხადების შემდეგ, რომინა პაუერმა შესანიშნავი სახლი იყიდა რომის ყველაზე პრესტიჟულ უბანში, ტრასტევერეში. ის იღებს ფილმებს, მონაწილეობს ტელეშოუებში – იტალიასა და ამერიკაში, წერს წიგნებს, ხატავს. მხატვრობით გატაცების წყალობით, რომინამ 25 წლის ინგლისელი მხატვარი ჯონათან ბიშოპი გაიცნო. მათ ორი დაუვიწყარი კვირა გაატარეს ერთად კუნძულ როლოსზე.

თვითმხილველთა გადმოცემით, იმ დღეებში რომინა ისე იცვამდა და გამოიყურებოდა, როგორც სტუდენტი გოგონა. ჯონათანი კი ხალისით დაათრევდა ყველგან რომინას დიდ საპლაჟე ჩანთას და მხიარული ამბების მოყოლით ართობდა საყვარელ ქალს...

**ბედნიერი ცოლ-ქმარი, ქალიშვილებთან ერთად (მარჯვნიდან პირველი – ილენია), 1992 წ.**



**ქ**ულტურის სამინისტროს ერთ-ერთი მჭლე თანამდებობის პატრონი შუქრი ჭამპურიძე, ამავე სამინისტროს პომპეზური ალყაფის კარიდან გავიდა და უსაქმო კაცის კვალობაზე, იქვე, ტროლეიბუსის გაჩერებაზე შეანელა ნაბიჯი. „მე რომ მწერალი ვიყო, მოცემულ სიტუაციას ასე აღვწერდი, გაიფიქრა მან, – დეკემბრის მიწურული იყო, არც წვიმა, არც თოვლა, არც ქარი ქროდა, კამუფლაჟით მოსილი სამოქალაქო ომის გმირები საქმიანი იერით მიდი-მოდიოდნენ პირქუშ მოქალაქეებს შორის. ჭადრის გამხმარ ფოთლებში სიცვიისაგან შეეყუყული ბელურები, უხალისოდ ფრთხილად და შიგადაშიგ გუანოთი აბედნიერებდნენ რუსთაველის პროსპექტზე მოსიარულე დიდსა თუ პატარას. შუქრი ჭამპურიძეს ერთობ ამაღლებული განწყობილება დაუფლებოდა, მისი ძველი, ამერიკული ჯინსის ჯიბეში ნახევარი თვის ხელფასი, 12 მლნ 800 ათასი კუპონი იყო, რომელიც დაახლოებით 6 ამერიკული დოლარისა და 80 ცენტის ეკვივალენტს შეადგენდა“. ეს რა კარგად გამომივიდაო, გაიფიქრა შუქრიმ და ვინ იცის, მერამდენედ ინანა, მწერლობას რატომ არ მივყავი ხელიო. ამ დროს გაჩერებაზე ცალ გვერდზე გადაფერდებული, ხალხით გატენილი ტროლეიბუსი მოგორდა და შუქრის ბელეტრისტული ფიქრები შეაწყვეტინა. – სად მიდის სად! – რა ნომერია! აწრიალდა გაჩერებაზე მდგომი ხალხი – ვაკე! ვაკე! გამოყო მძლოლის ასისტენტმა წინა კარიდან თავი. – მოდი, კაკო ტრაპაიძეს მოვინახულებ, სირცხვილია, კაცი ამდენი ხანია არ მიანახავს, თანაც ოპერაციის შემდეგ სმა დაიწყოო, აზობენ. ერთი მილიონი ეროვნული ვალუტით ბოთლ კონიაკს ვიყიდი, მეორე მილიონით ორ ფილა შოკოლადს და ხელსავესე მთავალ ოჯახში, გამოჯანმრთელებული კაკო, რა თქმა უნდა, პურმარილს გააშლევინებს მზიას, მეღვინე კაცი ისე არ დაეცემა, შეჭირვების ჟამსაც კი, თანაკლასელს, მეჯვარესა და ბავშვობის მეგობარს ერთი-ორი ბოთლი ღვინო არ დააღვინოს, თან რამდენიმე ახალ ანეკდოტს მოუყვები, ის ხომ ხუმრობისა და ანეკდოტების დიდი მოყვარული კაცია. სრულიად მერკანტილურ ფიქრებზე გადაერთო შუქრი და რაკი სტუმრად წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა, იმ ხალხისკენ დაიძრა, ტროლეიბუსის უკანა კარის გაღებას მოთმინებით რომ ელოდა. როგორც იყო, კარიც გაიღო და ერთმანეთს მიჭყვლებილი ხალხი ზოგი ჩამოვარდა, ზოგი



თამაზ შორქოლიანი

### ამნისცია ანუ ყომბოსცოხითაცხითაცხნის ამკლიცედა

ჩამოვიდა.  
– მეზავრობის ფულს არ იხდით?! იყვირა მძლოლის ასისტენტმა.  
– სიგუა გადაგიხდის! უპასუხა ერთმა მეზავრმა და ხალხიც გაამხიარულა.  
– ხო, სიგუა გადაგიხდის, სიგუა! მიამახეს სხვებმაც.  
– ვინაა ეს სიგუა, რატომ უნდა გადაიხადოს თქვენი მეზავრობის ფული?! გულწრფელად აღშფოთდა ასისტენტი.  
– ჭურში ზიხარ? შე ოხერო, შენა! პრემიერ-მინისტრი სიგუა გადაგიხდის. ჩვენი ვალი აქვს და იმიტო. კარგი იყო? ჩვენი ანაბრები რო შეიტყაპუნა?!  
ერთი თქვენი პატრონი დედაც ვატირეო, გაიფიქრა მძლოლის ასისტენტმა და უკანონო ლოჯიკისაგან მიშენებულ კაბინაში შერგო თავი.  
ამასობაში ჭამპურიძემ ტროლეიბუსში ასვლა მოახერხა და უცნობ ხალხს მიჭყვლებილ-მიხუტებული თვითონაც იმ ოთხკუთხედ მასად იქცა, ტრანსპორტის მესვეურები ხშირად მეზავრებს რომ უწოდებენ. კარი გაჭირვებით დაიხურა

და ტროლეიბუსიც დაიძრა. – უკანა კარი არ გაიღება! ჩამსვლელებს ვთხოვთ წინა კარისკენ წამოიწიონ! სამხედრო კომენდანტის რიხით გამოაცხადა მძლოლმა რადიოში.  
ერთ მასაქცეული, ნერვებმოთოკილი, მოთმინების ზღვარს მიღწეული ადამიანების გროვა პირქუშად დუმდა. რამდენიმე გაჩერება ისე გაიარეს, მიუხედავად დიდი სურვილისა, ჭამპურიძემ ადგილიდან ფეხი ვერ მოიკვალა, უკანა კარიც, მიუხედავად მძლოლის მკაცრი გაფრთხილებებისა, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც იღებოდა. ის კაციც, მძლოლის ასისტენტი იყო, მოლარე თუ კონდექტორი, თავგამოდებით დასდევდა ხალხს, მეზავრობის ფული გადაიხადეთო.  
ერთ-ერთ გაჩერებაზე, როცა ტროლეიბუსში ახალი მეზავრები აეტენნენ და კარიც დაიხურა, ვიღაც უცნობის დახვეწილი ბარიტონი გაისმა: – არ გრცხვენიათ, ქალბატონო?! ეს რა ჩაიდინეთ, თქვენც იტყვიან, რომ ოჯახის ქალი ვარო! შევარცხვინე თქვენი აღზრდა-განათლება!

გაგიგონიათ ხალხო?! აი, ამ ქალბატონმა წიხლი ამომარტყა. რას მოვესწართ, რას!

– ვინაა ეს შობელმადლი, რა უნდა, რა ხდება?! ერთბაშად აჩოქოლდა ერთმანეთს მიჭყლეტილი მასა და ტროლეიბუსის ფანჯრებს მიაწყდა – ტროტუარზე კაცი მიდი-მოდიოდა. ჭამპურიძეს კვლავ ბელეტრისტული განწყობილება დაეუფლა და ბარიტონის მგულობელი პერსონაჟის პორტრეტის სატკაცს შეუდგა. „ტროტუარზე შუახნის, საშუალოზე მაღალი, ტანთხელი, სანდომიანი სახის კაცი სცემდა ბოლოთას, ელეგანტური, ფერფლისფერი გრძელი ლაბადა, ნაცრისფერი შარვალი და ახალთახალი შინდისფერი ფესსაცმელები, ინტელიგენტის უხადო გემოვნებასა და მის მატერიალურ შესაძლებლობებზე მეტყველებდა. წლობით დაუღალავ გონებრივ შრომას, მის მაღალ შუბლზე სწორი და გრძელი ნაოჭები დაემჩნია, ხოლო თხელჩარჩოიანი დიდი სათვალე, სახის ფერის ოდნავი სიფერმკრთალე და თანაბრად შევერცხლილი თმა, იმისი დასტური იყო, თუ რამდენი უძილო ღამე ჰქონდა გატარებული წიგნზე თავდახრილს, ბნელ და ჩახუთულ არქივებსა და წიგნისაკაფებში უძველესი ხელნაწერებისა და პალიმფესტების კითხვის დროს. მარცხენა ხელში დიპლომატის შავი, თხელი ჩანთა ეკავა, მარჯვენა ხელის მოხდენილი ფესტიკულაცია კი მის სიტყვებს უფრო მეტ მასშტაბურობასა და დამაჯერებლობას სძენდა“. ასე აღწერდა ჭამპურიძე ტროტუარზე მოხტუნავე კაცს, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ფასიანი უნივერსიტეტის პრორექტორს წააგავდა (საფინანსო სამუშაო დარგში).

– გაგიგონიათ ხალხო?! მიმართავდა ბარიტონი სასეიროდ შეჩერებულ გამეღვლელებს და კარდაკეტილი ტროლეიბუსის ფანჯრებში სწრაფი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა.

– აი, შეხედეთ, ამ ტროლეიბუსში ერთმა მანდილოსანმა რა იკადრა. აი ასე ამოქრა! ასე! თქვა და მარჯვენა ფეხი მოიქნია. კაცი ისე სწრაფად დახტოდა, ისე სწრაფად გადაჰქონდა მხერა ფანჯრიდან ფანჯარაში, რომ ძნელი გასაგები იყო, გატენილ ტროლეიბუსში, კონკრეტულად რომელ ქალბატონს მიმართავდა. გაჯიუტებული ტროლეიბუსი, როგორც იქნა, დაიძრა, თითქოს ამას ელოდაო, მგზავრებიდან ვიღაცამ ხმაძალა გადახარხარა, მოგესხენებათ, სიცილი გადამდებია და მთელი ტროლეიბუსი ახარხარდა.

– რას იცინით რას! ადამიანის უფლებები შეილახა და თქვენ იცინით?! ქალმა

კაცს წიხლი რომ ამოჰკრა, ეგ გიხარიათ?! გამოედევნა კაცი დაძრულ ტროლეიბუსს.

თქვენ იცით? რომ არ არსებობს ცალკე, კონკრეტული პიროვნების უფლებების შელახვა, თუ ერთი კაცის უფლება დაირღვა – ეს ნიშნავს, რომ ზოგადად ადამიანის უფლებები შეილახა, ესე იგი მარტომე კი არა, თქვენც ამოგარტყეს! რას იცინით!

– თქვენც იტყვი, ხალხი ვართო, ნახევარფაბრიკატებო! პლებებო! ლუმპენებო! კომბოსტოსთავიანებო! იცინეთ, იცინეთ! იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს! მიიძახა კაცმა ტროლეიბუსს, რომელიც ნელ-ნელა უმატებდა სიჩქარეს და გამეღვლელებს შეერია.

რამდენიმე გაჩერება სულ სიცილ-ხარხარში გაიარეს.

– გამოტყდეს, რომელმა მანდილოსანმა შესცოლა!

– წიხლიო კაცო, პანდური მაინც ამოერტყა, რა უბედურებაა წიხლი.

– ამ ჭყლეტვაში თავი კულს ვერ მოიქნევს და როგორ მოახერხა, თანაც ქალმა, აა?

– ვიღაც დიდყურა ყოფილა ჩვენ შორის.

– ისე, მეც სიამოვნებით ამოვკრავდი ერთი-ორს.

– გიჟი იყო ვიღაც, ორი დღის წინ საგიჟეთში ავტომატის ხალხი მივარდინა და უკლებლივ ყველა გიჟი გარეთ გამოუყრია.

– გიჟი უძახე შენ და სამასდოლარიანი მარტო „პლაში“ ეცვა, ჩემსავით მერადი ტანსაცმლის მაღაზიაში ნაყიდი ძონძი კი არა.

– ისე თუ დააკვირდით, არც ერთი უცნაურობა სიტყვა არ დასცდენია, ისე კორექტულად გამოვლანდდა, კომბოსთავიანებო, თვითონ არის კომბოსტოსთავიანი.

– ავაშენა ღმერთმა, ასე გემრიელად დიდი ხანია არ მიცინია.

ისმორა ტროლეიბუსში სიცილ-ხარხარს შორის.

ერთმა ხანში შესულმა მგზავრმა, მარჯვენა მხარეს ფანჯარასთან რომ იჯდა მოკრძალებულად, მაინც გამოთქვა თავისი აზრი – მე თუ მკითხავთ, ეგ კაცი საერთოდ არ მჯდარა ჩვენს ტროლეიბუსში, საქმე რაღაც სხვა რამეშიაო.

– შენ, კაცო, რას ლაპარაკობ თუ იცი, შენი ორიგინალური აზრები შენთვის შეინახეო. უპასუხეს და წამსვე გააკმენდინეს ხმა.

– რა ანეკდოტი, რის ანეკდოტი, მივალ

და კაკო ტრაპიძეს ამ ცინცხალ ამბავს მოუყვები! დაწვება კაკო სიცილისაგან, ფიქრობდა ჭამპურიძე და ახლა იმაზე დარდობდა, ზეპირ მოთხრობებს რომ არ მიჰყო ხელი. ამასობაში ტროლეიბუსი ტრაპიძის სახლის მისადგომებთან გაჩერდა და კარი ისე სწრაფად გაიღო, შუქრი ჭამპურიძე ერთდროულად ჩამოვარდა და ჩამოხტა კიდეც.

– სიგუა გადაგიხდისო, გაიფიქრა და სახეგაბადრული სულის მოსათქმელად ტროტუარზე გაჩერდა.

– ამას რას მოვესწარი! ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა! შეჰვალადა შუქრის წინა კარიდან ჩამოსულმა მოხუცმა ქალბატონმა, რომელსაც კრაველის ძველი ქურქი ემოსა და ასევე ძველმოდური სირაქლე-ისფრითანი შავად გალაქული ჭილის შლაპა ეხურა. „სამ ველიკი კანსტანტინ ალექსანდროვიჩ მარჯანოვი... თვით დიდ კოტე მარჯანიშვილს შემურდებოდა, ისეთი სპექტაკლი დადგეს, გახსოვთ „ფუნტე ოვეზუნა“, ერთდროულად მაყურებელიც ხართ და მონაწილეც. მთელი ბრიგადა მუშაობდა, სულ სიცილ-ხარხარში გაასუფთავეს ტროლეიბუსი, კაპიკი არ დაუტოვეს ხალხს ჯიბეში, მართლაც, კომბოსტოსთავიანები, ახია მათზე! ამნისტია, ამნისტიაო. ესეც შენი ამნისტია. გაავსეს ჯიბეებში ქალაქი“. თქვა მოხუცმა სვენებ-სვენებით და ნელი ნაბიჯით გაუყვა თავის გზას. შუქრი ჭამპურიძეს, როგორც მსგავს სიტუაციაში ბელეტრისტები აღნიშნავენ, გულმა რეჩნი უყო, ან გული შეუქანდა, უფრო სწორედ, თავში დასცეცხლა, არა მარტო ტანის უახლოესი ნაწილით, არამედ სხეულის ყველა უჯრედით შეიგრძნო ამერიკული ჯინსის უკანა ჯიბის სიცარიელე, მაინც გააპარა ხელი მარჯვენა ჯიბისაკენ, დარწმუნდა რა მწარე, რეალობაში, ორივე ხელი მისდა უნებურად თავზე იტაცა, ცხელი ხელისგულებით ბაღჩეულის სამკურნალო და სასიამოვნო სიგრილე შეიგრძნო და წამით უმთავრესსა და ყოვლისმომცველში შეეპარა ეჭვი, მაგრამ მაშინვე უკუაგლო „ვაზროვნებ, ესე იგი...“ გაიფიქრა და შევებით ამოისუნთქა.

არც წვიმდა, არც თოვდა, არც ქარი ქროდა. კამუფლაჟით მოსილი სამოქალაქო ომის „გმირები“ საქმიანი იერით მიდი-მოდიოდნენ პირქუშ მოქალაქეთა შორის. ჭადრების გამხმარ ფოთლებში სიცივისაგან შეეყუჟული ბელურები უხალისოდ ფრთხილებდნენ და შიგადაშიგ გუანოთი „აბეღინებდნენ“ პროსპექტზე მოსიარულე დიდსა თუ პატარას...



# ...და ბოტიდან ამოვიდა...

# ჯიპი!

ჯიპი გასული საუკუნის ორმოციან წლებში მოველინა სამყაროს და ცნობიერებაში დარჩა, როგორც ამერიკული გამოგონება, ალბათ იმიტომაც, რომ მოგვიანებით ჯიპი მართლაც ამერიკულ მოვლენად იქცა. სტერეოტიპი იმდენად მყარი იყო, რომ ომის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირში ჯიპის რუსული მოდელის – ГАЗ-67Б მასობრივი წარმოება დაიწყო, ხალხმა მას... „ХБВ - Хочу быть Виллисом“ შეარქვა („ვილის-ოვერლანდის“ – პირველი ამერიკული ჯიპის შესახებ ვრცლად „გზის“ №25-ში ვწერ- დით).

თუმცა, ჯიპი, როგორც ავტომანქანის სახეობა, არც ამერიკული აღმოჩენაა და არც რუსული (თუნდაც საბჭოთა), მიუხედავად იმისა, რომ, მიუღრიგ სხვა ტექნიკურ ნოვაციებთან ერთად, რუსები ამ გამოგონებასაც მიიწერენ. გასაგები მიზეზების გამო, ჩვენში ნაცისტური გერმანიის ტექნიკური წარმატებების აფიშირება მიღებული არ არის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვადაიროთ, რომ მსოფლიოში პირველი ჯიპის სერიული წარმოება სწორედ გერმანიაში დაიწყო.

XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ომის საფრთხე უკვე გარდაუვალი იყო, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რამდენიმე ქვეყნის კონსტრუქტორები მუშაობდნენ დიდი გამტარიანობის პრინციპულად ახალი სამხედრო ავტომობილის შესაქმნელად, რომელიც, ცხადია, მხოლოდ კეთილმოწყობილ ტრასებზე არ ივლიდა. გერმანელთა პირველობა საკვებით ლოგიკური იყო: ქვეყანა შეგნებულად ემზადებოდა ომისთვის.

მესამე რაიხის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1934 წელს განიზრახა სრულყოფილი და ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფფასიანი ავტომობილის შექმნა. ავტომანქანის კონსტრუქცია და დიზაინი შეიმუშავა გენიალურმა ინჟინერმა, დოქტორმა ფერდინანდ პორშემ (რომელიც ნაცის-

ტურ ტანკებსაც ქმნიდა, 1949 წელს კი ჩამოაყალიბა სახელგანთქმული საავტომობილო ფირმა „პორშე“). დღეს ამის გახსენებას ყველა ერიდება, მაგრამ სახელწოდება მანქანას პირადად ფიურერმა შეურჩია – VOLKSWAGEN, ანუ „სახალხო ავტომობილი“. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პორშეს შექმნილი „ფოლკსვაგენი“, მეტსახელად „ხოჭო“, მსოფლიო ავტომობილიზმის ისტორიაში ყველაზე პოპულარული და ტირაჟირებული მანქანა გახდებოდა. „ფოლკსვაგენის“ კონცე-



რნის ფილიალებს ზოგიერთ ქვეყანაში პორშეს ეს შედეგრი დღესაც არ მოუხსნიათ კონვეიერიდან! მანქანის პროტოტიპი უკვე არსებობდა, სახელწოდებაც თითქოს უკვე მოძებნილი იყო. მიუხედავად ამისა, 1938 წლის 26 მაისს, როცა დოქტორმა ფერდინანდ პორშემ პატარა ქალაქ ფალერსლენთან (დღევანდელი ვოლფსბურგი) ქარხნის საძირკველში პირველი ქვა ჩალო, განაცხადა, რომ საწარმოს სახელწოდება იქნება KdF-Wagen. Kraft durch Freude ქართულად, ცოტა არ იყოს, მხიარულად ჟღერს და ნიშნავს „სიხარულით მიღწეული ძლიერება“. ეს იყო ნაცისტური ახალგაზრდული სამხედრო-სპორტული ორგანიზაცია, კომუნისტური ДОСААФ-ის მსგავსი. ასე იყო თუ ისე, მსოფლიოში პირველი ჯიპი სახელწოდებით KUBELWAGEN, რომლის კონსტრუქტორიც რაღა თქმა უნდა, ფერდინანდ პორშე იყო, 1940 წელს ჩამოვიდა კონვეიერიდან და ომის წლებში ორი სახელწოდებით გამოდიოდა – KdF KUBELWAGEN („კა-დე-ფე კიუბელვაგენი“) ან VW KUBELWAGEN („ფოლკსვაგენ-კიუბელვაგენი“). დღეს ეს მანქანა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომზე გადაღებულ ფილმებ-

ში თუ გამოჩნდება ხოლმე. 1942 წელს გამოვიდა მოდერნიზებული ჯიპი-ამფიბია (მსოფლიოს პირველი ავტომობილი-ამფიფია) VW SCHWIMMWAGEN („ფოლკსვაგენ-შვიმვაგენი“).

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია პირველი იყო, ამერიკელებსაც არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება, რადგან თვით ტერმინი JEEP შეერთებული შტატებში გაჩნდა. ტერმინის წარმოქმნის ისტორია თავისთავად საინტერესოა. 1942 წელს, როცა ამერიკის არმია „ვილის-ოვერლანდით“ აღიჭურვა, მანქანას ოფიციალურად GENERAL PURPOSE VEHICLE (საერთო დანიშნულების ტრანსპორტი) ეწოდა. ამერიკელები, რომლებიც ტრადიციულად, შემოკლებულ სახელწოდებებს ამჯობინებენ, რასაკვირველია, ამსივრძე სათაურს დიდხანს ვერ აიტანდნენ და მანქანას ჯერ GPV, შემდეგ კი GP შეარქვეს. მოგვიანებით აბრევიატურამ GP სახე იცვალა და უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც JEEP, 1950 წლის იენისში კი ოფიციალურ სავაჭრო მარკად გადაიქცა. ბოლო ათწლეულების მანძილზე ამ მარკის ერთპიროვნული მფლობელი ამერიკული კონცერნი „კრაისლერი“ (დღეს „დაიმილერ-კრაისლერი“).

იმისდა მიუხედავად, რომ JEEP – სავაჭრო ნიშანია და, ერთი კონცერ-



ნის გარდა, მისი, როგორც საფირმო ნიშნის გამოყენების უფლება არავის აქვს, „ჯიპის“, როგორც ტერმინის მნიშვნელობა, განუზომლად ფართო და განზოგადებულია. უკვე 50 წელია, „ჯიპი“ მიუღრიგ მსოფლიოში, ყველა ენაზე ნიშნავს დიდი გამტარიანობის ორხედიან მსუბუქ მანქანას, რომელსაც ოთხზე თვალი წამყვანი აქვს. თუმცა, ევროპასა და აზიაში სხვა აღნიშვნება მიღებული: 4WD, ანუ 4 WHEEL DRIVE („ოთხი წამყვანი თვალი“) და უნივერსალური სიმბოლო – 4X4. ლოგო JEEP, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ შეერთებულ შტატებში გამოიყენება და ჯიპების წარმოებაშიც უდავო ლიდერი, ჩვენში იაპონური ჯიპების მოძალდების მიუხედავად, სწორედ ამერიკაა. აქვე უნდა

ადინიშნოს, რომ მანქანათმშენებლობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯიპი მაინც ბრიტანული „ლენდ როვერი“ იყო, რომელიც კონვეიერს ყველაზე დიდხანს შემორჩა პრინციპული ცვლილებების გარეშე – 1955 წლიდან 1970-იანი წლების ბოლომდე.

ჯიპი შეიქმნა, როგორც სამხედრო ავტომობილი. ომის შემდეგ ჯიპებით პოლიციაც აღჭურვეს, სულ მალე კი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შემოიჭრა – ყველგან, სადაც ცუდი გზები იყო. გასული საუკუნის 70-იან წლების მეორე ნახევარში კი ჯიპი მოღურ ავტომანქანად იქცა.

საავტომობილო ფირმებმა დაუყოვნებლივ აუწყვეს ფეხი მოდას, რასაც ჯიპების ახალი, კომფორტული მოდიფიკაციების შექმნა მოჰყვა. მაგალითად, ინგლისური „რენჯ როვერი“ კომფორტით ზოგიერთ ლიმუზინსაც არ ჩამოუვარდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრანგულმა „სიტროენმა“ და იტალიურმა „ფიატმა“ გამოუმყეს მოდელები, რომლებიც გარეგნული დიზაინით ჯიპებს ჩამოჰგავდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ხიდი და ორი წამყვანი თვალი ჰქონდა. გაჩნდა ახალი საავტომობილო ქვეკლასი – ე.წ. „საქალაქო ჯიპი“ (ზოგჯერ მას „საპარკეტოსაც“ უწოდებენ). ეს კი დაახლოებით იგივეა, რაც „შვიდობიანი ტანკი“. ეს უფუნქციო და, არსებითად, უსარგებლო მოდა 1980-იანი წლების პირველ ნახევარში ჩაცხრა, თუმცა მომხმარებლებმა და მეწარმეებმა ბოლომდე უარი ვერ თქვეს კომფორტზე. ბოლო 12-15 წლის მანძილზე მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი საავტომობილო ქვეკლასი აწარმოებს ჯიპებს, რომლებიც თავიანთი სავალი თვისებებით ბევრად არ ჩამორჩებიან სამხედრო წინამორბედებს, კომფორტით კი, საშუალო კლასის მანქანას უტოლდებიან.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საავტომობილო მოდის მოთხოვნები შეიცვალა და კვლავ ჯიპის სამხედრო მოდიფიკაცია შემოვიდა, რასაც თავისი



საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მის ხელთ არსებული ჯიპის რამდენიმე მოდიფიკაციის (მათ შორის სატვირთო) პიკაპის, ერთი უნივერსალური ვარიანტით შეეცვლა. 1981 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფირმები: TELEDINE, GENERAL DINAMICS და AM GENERAL. ავტომოწყვარულებისთვის ეს სახელწოდებები ალბათ უცნობია, რადგან დასახელებული კომპანიები აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნაწილია და თავიანთი საქმიანობის აფიშირებით და ხმაურიანი რეკლამით დაინტერესებულები არ არიან. ტენდერში „ეი-ემ-ჯენერალმა“ გაიმარჯვა და სწორედ მან მიიღო შეკვეთა პირველ 55 ათას მანქანაზე ურთულესი სახელწოდებით: HIGH MOBILITY MULTI PURPOSE WHEELED VEHICLE. სახელწოდება სათარგმნელადაც ძნელია და დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერს: „მო-

ქნილი, მრავალფუნქციური, ბორბლებიანი ტრანსპორტი“. 1983 წელს, როცა კონვეიერიდან ახალი მანქანის პირველი პარტია ჩამოვიდა, ამსივრძე სახელწოდებით შემფოთებულმა სამხედროებმა გადაწყვიტეს აბრევიატურა გამოეყენებინათ – HMMWV, მოგვიანებით კი, ისტორია განმეორდა: აბრევიატურამ სახე იცვალა და ჯერ HUMVEE-დ იქცა, შემდეგ კი უწყინარი HUMMER-ის სახე მიიღო. თუმცა, სიტყვა მანქანასავით მრავალმხრივია და ნიშნავს ენერგიულ, საქმიან, მოხერხებულ ადამიანს, ამავე დროს – აქტიურ ორგანიზაციას, ან ზუმერს – ხმოვან სივანას.


„ჰამერი“ აღჭურვილია „ჯენერალ მორტორის“ 8 ცილინდრიანი, 180 ცხენისძალის ძალზე საიმედო დიზელის და გადაცემათა ავტომატური კოლოფით. 112 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარე არც თუ ისე ცოტაა 2,85 ტონიანი მანქანისათვის. ამ მართლაც შესანიშნავი ჯიპისათვის 45 გრადუსიანი აღმართიც არ წარმოადგენს დაბრკოლებას – ისევე, როგორც 1,2 მეტრამდე სიღრმის წყალი.

„ჰამერი“ 1991 წელს ერაყის საწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელებისას ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ კომპანია „ეი-ემ-ჯენერალმა“ მისი ცივილური ვარიანტის წარმოება გადაწყვიტა. 1990-იანი წლების შუა პერიოდის მანქანას სერიულად აწარმოებენ ფართო მოხმარებისთვის. მისი ფასი 60 ათას დოლარს შეადგენს. ეს ძალზე ძვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ჰამერის“ სამხედრო ვერსია „მხოლოდ“ 32.000 დოლარი ღირს; გარდა ამისა, „ჯიპ-ვრანგლერის“ თანამედროვე მოდიფიკაციების ფასი შტატებში 15-20 ათასი დოლარია. მაგრამ მყიდველები ფასს არ უშინდებიან. პირველი დამკვეთი კი სახელგანთქმული არნოლდ შვარცენგერი იყო. სუპერმენი სუპერმობილზე – საუკეთესო რეკლამაა ჯიპისათვის...

თინათინ თხილაძე



დიეგო რივერას  
ფრესკა ჩაპინგოს  
სასოფლო-სამეურნეო  
აკადემიის კედელზე



# ტინა მოდოტი

## გზას მიწისხეხული ჭაობის ყვავილი

### მელა გობსაძე

#### პატარა მეძავი

ერთი რამ უდავოა — ეს ქალი ჩვეულებრივ, მდაბიოთა ყოფისთვის არ იყო გაჩენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიმეორებდა თავისი დედის, უბრალო მრეცხავის, ასუნტა მოდოტის ცხოვრებას: ოხ-შივარმოკიდებული, ვეება, შეჭვარტლული ქვაბებით, ნავთის ლამპის გამურული სახით, მოჭყვიპინე, ნახევრად მშიერი წვრილშვილით და ქმართან, ავტომექანიკოს ჯუზეპე მოდოტისთან გაუთავებელი კინკლაობით. სხვა რა ელოდა ჩრდილოეთ იტალიის პროვინციულ ქალაქ უდინეში? სწორედ აქ იხილა მზის სინათლე ხელოვანთა მომავალმა მუზამ. სახელიც წმინდა იტალიური დაარქვეს — ასუნტა ადელაიდა ლუიჯე, მაგრამ პაწია შავტუნა ველურში მოურჯულებელი ალქაჯი თვლემდა — მან არ ისურვა გამხდარიყო ასუნტა მოდოტი მეორე.

... ოხშივარმოკიდებული, ჭვარტლიანი ქვაბები, სოდისაგან დამსკდარი ხელები, ყელში ამოსული პოლენტა, საცვალგამოხეული წვრილშვილი და გამურული ქმარი...

#### ღმერთო ჩემო, არასოდეს!

მხოლოდ ერთი რამ შეისისხლხორცა ამ ძლიერი, წინააღმდეგობრივი ბუნების ქალმა ნეორეალისტური ფილმივით შავთეთრი ბავშვობიდან — ავადმყოფური ზიზღი ოჯახის მიმართ. იტალიური

პროვინციის ატმოსფერომ, ხოლო მოგვიანებით, ამერიკულმა ბოჰემამ საბოლოოდ შეაძულა ქალის ბუნებრივი დანიშნულება — ცოლობა და დედობა. მისი პროტესტი თავიდან, ცხადია, ინსტინქტური იყო, პაწია ეშმაში ვნებები ბობოქრობდა, შინაგანი მუსტი უხვად იფრქვეოდა ღიღრონი თვალებიდან, ამობურცული ტუჩები თითქოს კოცნას გთხოვდნენ; იქით კი ნახევრად მშიერი, გაუხარელი ყოფა, გამუდმებით მოკინკლავე დედამა...

თხუთმეტი წლის ტინა პოლიციამ მეძაობისთვის დააკავა. გასაგებია, რომ ქალაქში აღარ დაედგომებოდა. გოგონა, ბევრი სხვა იტალიელის მსგავსად, სანფრანცისკოში გაემგზავრა, სადაც ოჯახიდან წასული მამა ეგულებოდა. ორიოდე თვეში ქუდების ატელიეში მოეწყო სამუშაოდ. სწორედ აქ დარწმუნდა, რომ სამყარო, რომელიც ოდესღაც ოთახად წოდებულ სოროში სიზმრად ელანდებოდა, თურმე ნამდვილად არსებულა: კოპწია, ელეგანტური ქალები, თავაზიანი მამაკაცები და „სხვანაირი ცხოვრება“.

ემზიან იტალიელ ლამაზმანს თაყვანიმცემლები არ აკლდა. მაღალი საზოგადოების ქალებთან უშუალო კონტაქტი მისთვის ჩინებულ სკოლად გადაიქცა — ვილას ახსოვდა ქათმებივით მოკრიახე იტალიელი მატრონები! ტინამ სრულყოფილად აითვისა თავისი კლიენტ მანდილოსანთა მანერები და უნაკლოდ მთიერგო ნაზი, იდუმალი ქალის მაცდუნებელი იმიჯი; თანდაყოლილმა არ-

ეს ქალი ორმოცდაათიოდენ წლის წინათ იდუმალებით მოცულ ვითარებაში დაიღუპა. მისი ცხოვრებაც ზღაპრისა და სინამდვილის ნაზავს წარმოადგენს, რის გამოც, ამ ქალზე უკვე რამდენიმე ფილმია გადაღებული. მისი სახით როკისა და ეკრანის ვარსკვლავი მადონა დაინტერესდა და თუ ჩანაფიქრს რეალიზაცია უნერია, ალბათ დაუვინყარ, უჩვეულო სანახაობას ვინილაგვთ. მას ანგელოზისსახიან ეშმაკად რაცხდნენ... იგი სძულდათ და გაგიჟებთ უყვარდათ... ვინ იყო ტინა მოდოტი?

ტისტიზმა აქ, მართლაც, დაუფასებელი სამსახური გაუწია. იტალიელი ალქაჯი ასუნტა, თავშეკავებულ, შინაგანი ცეცხლით აგიზგიზებულ ტინად გარდაიქმნა.

პატარა მეძავი, ასუნტინა იტალიაში დარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ღიღი მანძილი იყო გასავლელი ქალ-დემონადე, რომელმაც ათობით მამაკაცი ჭკუიდან გადაიყვანა, ზოგიერთის სიცოცხლეც შეიწირა და, ბოლოს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეპყრობილი, მსოფლიო რევოლუციისა და მიწიერი სამოთხის ილუზიამ გაიტაცა.

#### ჰოლივუდის ნიშნა

ტინა მოდოტის ჰოლივუდური პერიოდი შედარებით ხანმოკლეა, მაგრამ სწორედ აქ მოხდა მისი ხასიათში უმნიშვნელოვანესი გარდატეხა. ტინამ ბოლომდე იგემა „ტკბილი ცხოვრების“ მაღლი და მალევე მოყირჭდა შამპანურის შხეფებითა და ჯაზის მოტივებით შეზავებული კოქტეილი. ჰოლივუდი დალაშქრა თავისი მუდღელესთან, ფრანგ მხატვართან — რობო დე ლაბრი რინისთან ერთად, რომელთანაც წარმატებისა და აღიარების წყურვილმა დააკავშირა. მისი ჰოლივუდური კარიერა არც ისე წარმატებული გამოდგა, თუმცა სამ ფილმში მიიღო მონაწილეობა. აქვე სცადა ფოტომოდელობა პოპულარულ ჟანრში „ნიუ“. შესაძლოა, არც ისე უნაკლო აღნაგობისა გახლდათ, მაგრამ მის მიერ შექმნილი ფოტოსახეების გრაციოზულობა ეჭვს არ იწვევს,

თანაც მისი „ცხარე“, იღუმალი გარეგნობა კარგად ჯდება ეპოქის სტილში.

ტინას სულ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებდა ქმართან ურთიერთობა. რობო მისმა „იღუმალმა“, სიფრიფანა იმიჯმა მოხიბლა და არც სურდა ამ ეფექტური დეკორაციის მიღმა, მოგიზგიზე ნატურის დანახვა. მათმა ურთიერთობამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და სწორედ ამ დროს შეხვდა ტინას ფოტოგრაფი ედვარდ ვესტონი. მკაცრ მორალისტებში, ალბათ, დიდ აღფრთობას გამოიწვევს ის ფაქტი, რომ მშვენიერი ტინა გულარხეინად იღვწოდა ორ ასპარეზზე, მაგრამ არასწორი იქნებოდა მისი საქციელის მკაცრი შეფასება ეპოქის კონტექსტის გათვალისწინებლად. 20-იანი წლები ტრადიციულ ფასეულობათა კრიზისის პერიოდი იყო. ოჯახის ძველი სქემა კრიტიკის ობიექტი გახდა, ხოლო სქესთა ურთიერთობის ახალი მოდელის ძიებამ მრავალი მოხალისე „პიონერის“ სიცოცხლე დაამახინჯა. ტინა ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ძველს ვერ შეეგუა და ახლის ძებნაში შუა ჭაობში აღმოჩნდა. მაგრამ უძრავლესობისგან განსხვავებით, მზისკენ ცქერა მაინც ვერ მოიშალა. სწორედ ეს განასხვავებს საკუთარ ვნებებში ჩაძირული, ევოცენტრიკული მატა ჰარისაგან.

ედვარდ ვესტონთან ურთიერთობა მისთვის ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა, არა მარტო ეროტიკული, არამედ, პირველ რიგში, შემოქმედებითი თვალსაზრისით. ვესტონმა შექმნა საინტერესო კომპოზიციები – ტინა თამამად პოზირებდა და ეს იყო ჭეშმარიტი ფსიქოორექცია – გზა საკუთარი „მესკენ“. იგი გაშიშვლდა არა მარტო სატრფოს და პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე, არამედ პირველად ცხოვრებაში ივრძნო ის, რაც უნდოდა. სწორედ ამ პერიოდში დაეუფლა ფოტოხელოვნებას და,

მოგვიანებით, შექმნა ნამუშევრები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ახლახან „კრისტის“ აუქციონზე 50 ათას დოლარად გაიყიდა.


მექსიკაში, უკვე დაქვრივებული ტინა, თავისუფლად ეძლევა თავის გატაცებას და თამამად პოზირებს ფაზენდის ბრტყელ სახურავზე. მექსიკური მზე არაერთხელ გამხდარა ფოტოგრაფისა და მისი მუხის შემოქმედებით-სამიჯნურო დუეტის უტყვი მოწმე. ტინა რომ უფრო ორდინარული ნატურა ყოფილიყო, ალბათ მის ამბავს წერტილი აქვე დაესმებოდა. თავნება გოგონამ იტალიური პროვინციიდან პრაქტიკულად მიიღო რაც უნდოდა – მოშორდა უსიხარულო, მდაბიოთა გარემოს, იპოვა თავისი მოწოდება და საყვარელი ადამიანი.

მაგრამ სწორედ აქ გამოიკვეთა ტინას ჭეშმარიტი ბუნების გლობალური მასშტაბურობა. მან იპოვა პიროვნული „მე“ და, შესაძლოა მოულოდნელადაც, აღმოაჩინა მასში ახალი პლასტი – მსოფლიო სეკდა, პროტესტი ადამიანური ყოფის არასრულყოფილების წინააღმდეგ, რომელიც, ალბათ, ისევე იტალიური პროვინციის შავ-თეთრი მუხტით საზრდობდა. ტინამ უშველა საკუთარ თავს, მაგრამ ვერ დაიხშო გული საზოგადო ტკივილის მიმართ და ეს დიდებული შტრიხი ალბათ მის ყველა ცოდვას რამდენადმე ამსუბუქებს.

სხვა საკითხია, თუ რამდენად ჭეშმარიტი აღმოჩნდა ის გზა, რომელსაც თავისი შინაგანი ძახილის საპასუხოდ დაადგა.

„წითელი ტინა“

20-იანი წლების მექსიკა მარქსიზმ-ლენინიზმის მექედ თუ არა, ერთ-ერთ



მექსიკის რევოლუციური სიმბოლო. ტინა მოდოგის ფოტო, 1927 წელი

ცენტრად მაინც შეიძლება ჩაითვალოს. გავიხსენოთ, რომ სწორედ აქ პოვა თავმესაფარი დევნილმა ტროცკიმ, ხოლო მექსიკის რევოლუციაში ამკარად წითელი ფერი სჭარბობდა ყველა დანარჩენს.

ტინას სამეგობრო წრეში გაჩნდნენ მარქსისტული ფრთის წარმომადგენლები. ახლო ურთიერთობა აკავშირებდა მხატვარ დიეგო რივერასთან, აგრეთვე დავიდ ალვარო სიკეიროსთან, ალტაცებული იყო კლემენტე ოროსკოს იდეოლოგიური პოეზიით. რივერამ უკვდავყო შიშველი ტინა ჩაპინგოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ფრესკაზე. ამის შემდეგ ჩვენი გმირი ავანგარდისტულად მოაზროვნე საზოგადოებრივი ფრთის კერპი შეიქნა, სამაგიეროდ, დარბაისელი მოქალაქენი და პატიოსანი მეოჯახე ქალები ქუჩაში გვერდს უქცევდნენ. მალევე მოექცა ფემინიზმისა და ემანსიპაციის ტალღაში, თუმცა არც ის არის დასამალი, რომ ხშირად ეს ფრიად ფორმალურ საკითხებში ვლინდებოდა. ტინამ უარი თქვა წინდაზე, ყოველგვარი უხ-

ტინა მოდოგი, 1924, 1927 წწ.



ხულიო ანტონიო მელია, ტინა მოდოგის ფოტო 1928 წ.



ხავიერ გერერო. ედვარდ ვესტონის ფოტო 1923 წ.



ერხულობის გარეშე ეწეოდა თამბაქოს ხალხის თავშეყრის ადგილებში, ხშირად ხელაგდნენ ღამის სტრიპტიზ-კლუბში „ელ-ლირიკო“, უმაღლესი საზოგადოების წევრებზე კი გლეხი გოგონას ტანსაცმელში დაბრძანდებოდა. სწორედ ამ დროს გაიცნო მარქსისტი მხატვარი ჰაიეერ გერერო და მისი მაგნიტური გავლენის ქვეშ მოექცა.

საინტერესოა, რომ ტინას ყოველი მორიგი მეტამორფოზა კონკრეტულ მამაკაცს უკავშირდება. ვიღაც უცნობმა იტალიელმა მამაკაცმა მეძავად აქცია, რობი დე ლაბრი რიჩის ხელში ფოტომუზად ჩამოიქნა, ვესტონმა ფოტოხელოვნებას აზიარა, ხოლო ერერომ მასში ღრმად ჩაბუდებული მსოფლიო სევდა და მაღალი დანიშნულების ნოსტალგია მარქსიზმის ყალიბში გადაადნო. ვესტონს არ შეეძლო პატარა ალქაჯის შინაგანი წყურვილის დაკმაყოფილება, მის ხელში იგი, უბრალოდ, გაცნობიერდა, ზედაპირზე ამოვიდა. ვესტონამდე ტინა „ბრმა“ იყო, ემოციებით ცხოვრობდა, მაგრამ ფოტოობიექტივმა სამყაროს დანახვის უნარი შესძინა, აქამდე თუ თავად იყო ობიექტი, ახლა ობიექტად უკიდევანო სამყარო აქცია. ერეროს ხელში ტინას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სიბნელიდან ერთბაშად მზის სინათლეზე აღმოჩნდა და მკაფიოდ გაარჩია კომუნიზმის ჰორიზონტზე მიწიერი სამოთხის კონტურები. პატარა პროვინციელი ბავშვივით წაეპოტინა წითელ ოცნებას – მარქსიზმი მის მსოფლმხედველობად, ცხოვრების წესად გადაიქცა.

ერერო მალე მოსკოვში გაგზავნეს პარტისწავლების კურსებზე და მარტოდ დარჩენილი ტინა მალე არამდგრადი

აღმოჩნდა წარმოსადგეი კუბელი კომუნისტის, ხულიო ანტონიო მელიას ჯიქური შემოტევის წინაშე. მათი ვენებიანი რომანი ორი წელი გრძელდებოდა, სანამ ანტონიო დამეულ ბანდიტურ თავდასხმას არ შეეწირა. იგი ტინას თვალწინ დაცხრილეს. ერთ-ერთი ოფიციალური ვერსიით, მელიას სიცოცხლე ტინაზე უგონოდ შეყვარებულმა პარტიულმა თანამებრძოლმა, ვიტორიო ვიდალიმ იმსხვერპლა. ტინას თითქმის ყველამ ზურგი აქცია, მაგრამ მარქსიზმის იდეებს მის თვალში ავტორიტეტი არ დაუკარგავს. მამაკაცები მისთვის მხოლოდ ებოზოდური პერსონაჟები იყვნენ, ცხოვრების არსის ძიებას სულის სიღრმიდან ამოსული მუხტი ასაზრდოებდა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ მარტობის ჟამს შერისხა თავისი საუკეთესო მეგობრები – რივერა და ოროსკო. პირველი იმიტომ, რომ მთავრობის შეკვეთებზე მუშაობდა, ხოლო მეორე იმიტომ, რომ კერძო კლუბის მეპატრონე გახდა.

და კიდევ ერთი ამოუხსნელი პარადოქსი: შეუხედავმა, უფრო მეტიც – გონჯმა ვიდალიმ თავისი გაიტანა და ტინას მორიგი სატრფო, მოგვიანებით კი მეუღლე შეიქნა. რა იყო ეს – უპრინციპობა, ოფიციალური ვერსიის უნდობლობა თუ შექსპირისეული „ლედი ანას კომპლექსი“?

ამაზე დარწმუნებით ვერავინ გვიპასუხებს...

### მოსკოვის მსგოვარი

ვიდალიმ ტინა რუსეთში წაიყვანა და მისივე რეკომენდაციით სამუშაოდ მიიღეს ნახევრად გასაიდუმლოებულ ორგანიზაციაში МОПР (რევოლუცი-

ის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია). ამ წყვილისთვის იოსებ სტალინი, ჯერ კიდევ მექსიკაში იქცა მარქსისტის იდეალად და ტინას არც გასჭირვებია ახალი ამბლუის გათავისება. ხსენებული ორგანიზაცია, ფაქტობრივად სადაზვერვო უწყება გახლდათ და ტინა, რომელიც თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას (ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, ესპანურს, გერმანულს) ფრიად მნიშვნელოვანი „შენაძენი“ აღმოჩნდა – წარმატებით ათავსებდა მთარგმნელის, თარჯიმნის, მეკავშირის და კურიერის ფუნქციებს. ხშირად აგზავნიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში მოძმე კომუნისტებისათვის თანხის გადასაცემად. მოკლე ხანში მისი ავტორიტეტი მკვეთრად ამაღლდა და ლათინური ამერიკის საქმეთა კონსულტანტადაც დანიშნეს. სწორედ მისი დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ადგენდნენ ამ ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობების სტრატეგიას. როდესაც ესპანეთში სამოქალაქო ომი დაიწყო, ტინა და ვიდალი იქაურ კომუნისტთა საკოორდინაციოდ მიავლინეს, მაგრამ რუსების ჩანაფიქრი ჩაიშალა – ომი ფრანკოს შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა.

ამან გააცვივა სტალინის თბილი გრძნობები МОПР-ის მიმართ, ამასთან, დაიწყო რეპრესიების პერიოდი და „კუდიანებზე ნადირობამ“ ყველა რგოლი მოიცვა. ტინა კავშირში აღარ დაბრუნებულა, ვიდალის დაშორდა და მექსიკაში გაემგზავრა. საინტერესოა, რომ მექსიკის მთავრობამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მისცა.

არავინ იცის, რა მოხდა 1942 წლის იანვრის საღამოს, როდესაც მეგობრების ოჯახიდან გამოსული ტინა დაქირავებულმა ტაქსიმ სახლში მკვდარი მიიყვანა. მის მოშორებაში, შესაძლოა, რამდენიმე ქვეყანა ყოფილიყო დაინტერესებული, ამდენად დარწმუნებით არაფრის მტკიცება არ შეიძლება.

ტინა მოლოტის საიდუმლო, ისევე როგორც მრავალი სხვა, სუკ-ის საიდუმლო არქივებშია ჩამარხული.

და მაინც – ვინ იყო ტინა მოლოტი, პატარა ქალი, რომელმაც დიდი მიზნები დაისახა? ალბათ, პასუხი სწორედ ამ ეპითეტში უნდა ვეძიოთ. დიდ მიზნებს დიდი ფიგურა სჭირდება, მაგრამ მზის მონატრება უთუოდ აკეთილშობილებს ჭაობის ყვავილს, რომლისგანაც იგი ასე უსაშველოდ შორს აღმოჩნდა...





# კვირის (22-28 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი

## პირველი - 21/1-19/1



კვირის დასაწყისისთვის ენერჯის მოზღვავებას იგრძნობთ. იმდენად მოწადინებული იქნებით, ყველაფერი საუკეთესოდ და სწრაფად გააკეთოთ, რომ ცოტა აგრესიულად კი მოიქცევით. უძვლობისა, უქმეები შინ გაატაროთ - საინტერესო წიგნი წაიკითხოთ ან კარგი ფილმები ნახოთ.

## თხევები - 20/1-20/11



ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კვირაში მოხდება, ის არის, რომ თქვენს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს უფრო ღრმად ჩასწვდებით და სიმშვიდითა და საკუთარი ძალების რწმენით განიმსჭვალებით. კონკრეტულად როგორ გამოიყენებთ ამას, ეს უკვე თქვენი საქმეა, მაგრამ გასსოვდეთ, რომ ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის შანსი მოგეცემათ.

## პირი - 21/11-20/11



კვირის პირველსავე დღეებში ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გაიტყულებთ, თქვენს საქმეს სხვა თვალთ შეხედოთ და ფულის შოვნის დამატებითი საშუალებები გამოიხატოთ. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს თქვენს ახლობელს პრობლემები შეექმნება და ეს თქვენს ცხოვრებაზეც იქონიებს გავლენას.

## კირი - 21/11-21/11



ორშაბათსა და სამშაბათს ოფიციალური ინსტანციების წარმომადგენლებთან მოგიწევთ შეხვედრა, რაც გუნებას ნამდვილად ვერ გამოგიკეთებთ. ნეგატიურ ემოციებს მეუღლესა და საყვარელ ადამიანებზე ნუ გადაიტანთ. ოთხშაბათიდან კი ყველაფერი გამოსწორდება, მეტიც - საუკეთესო პერსპექტივაც კი დაგეხსნებათ.

## პარხი - 22/11-21/11




ამ კვირაში თქვენი სამსახურებრივი საქმიანობა მცირედი შეფერხებებით წარმართება, სამაგიეროდ, ოჯახში საუცხოო ატმოსფერო გექნებათ და სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვაც დიდ სიამოვნებას მოგვგვრით. დიდ სინარულს მოგანიჭებთ აგრეთვე მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა.

## პირხი - 22/11-22/11



წვრილმანებზე დროს ნუ დაკარგავთ. ახლა თქვენ არაჩვეულებრივ ინტელექტუალურ ფორმაში ხართ და ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრის უნარი შეგწევთ. ამიტომ ფუჭ საუბრებს მოერიდეთ და მთელი ძალები სერიოზულ, კონკრეტულ საქმეს მოახმარეთ.

## ლირი - 23/11-23/11



უამრავი სასიამოვნო ცვლილება გელით. ჯერ ერთი, კარიერისთვის ძალზე მიმზიდველი პერსპექტივა დაგეხსნებათ. წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით წაგადგებათ მოლაპარაკებების გამართვის უნარი და თანდაყოლილი დიპლომატიური ნიჭი. მეორეც, საკმაოდ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ძვრებია მოსალოდნელი თქვენს პირად ცხოვრებაში.

## ქალწული - 24/11-23/11



მთელი კვირის მანძილზე სამსახურში ზედმეტად გააღიზიანებთ ნებისმიერი შეცდომა, მცირედი უზუსტობა და შრომის დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევაც კი. შინ კი ყველაზე მიმზიდველ, ნახ და მხიარულ არსებად გადაიქცევით. ფრთხილად იყავით - ერთმანეთში არ აგერიოთ!..

## სასწორი - 24/11-23/11



ახალი წლის პირველ დღეებში ძალზელ გადაიღალეთ. ამ კვირაში თქვენი მოთმინება და შრომისმოყვარეობა დაფასდება. შეუდარებელი იქნებით სასიყვარულო ურთიერთობებში, დინამიკური და შედეგიანი საქმეებში. გელით სერიოზული ფინანსური წარმატება და ამასთან, გაგიმართლებთ კიდეც.

## ღრიანი - 24/11-22/11



ოთხშაბათამდე მნიშვნელოვანი საქმეების დასრულებასა და საჭირო ადამიანთათვის თქვენი ახალი იდეების გაცნობას მოასწრებთ, რაც უახლოეს მომავალში დადებით შედეგებს მოიტანს. კვირის მეორე ნახევარში ნურაფერზე ნუდარ იდარდებთ და ცხოვრების ღინებას მიჰყევით.

## მევიღობისანი - 23/11-21/11



რევოლუციური გეგმები და გენიალური აღმოჩენები თქვენთვის შეინახეთ. მათი გამხელა, მით უმეტეს, განხორციელებაზე ფიქრი, კარგს არაფერს მოგიტანთ. უძვლობისა, რაც გაქვთ, იმით დაკმაყოფილდეთ, მით უფრო, რომ ცუდად ნამდვილად არ ცხოვრობთ. თქვენს მართლობას კი, რასაც ასე განიცდით, მალე მოელება ბოლო - ახალი სასიყვარულო თავგადასავალი გელით!

## თხის რი - 22/11-20/11



ახალი ცხოვრება დაიწყეთ, ყოველ შემთხვევაში, შეეცადეთ მაინც. ძალა მოიკრიბეთ და უარი თქვით მავნე ჩვევებზე, ომი გამოუცხადეთ თქვენს ნაკლოვანებებს და გვერწმუნეთ - წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

# როგორი ნერვეზი გაქვს?



დღევანდელი სტრესული ცხოვრების ფონზე, აღნიშნული ტესტი საშუალებას მოგცემთ დაადგინოთ თქვენი ნერვული სისტემის მდგომარეობა, აღიქვით რეალური სიტუაცია და გაიადვილოთ ცხოვრება.

მოცემულია ათი კითხვა. თითოეულს აქვს სამი სავარაუდო პასუხი. სწრაფად, ბევრი ფიქრის გარეშე ამოირჩიეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი.

- ა) ერთი საათით ადრე;
- ბ) თხუთმეტი წუთით ადრე;
- გ) ნახევარი საათით ადრე.

**4. თუ იმყოფებით ისეთი ადამიანის გვერდით, რომელიც დაძაბულია და ნერვიულობს, გადმოგეცემათ თუ არა მისი განწყობა?**

- ა) თუ ახლობელია, კი;
- ბ) თუ ვერ შეველით პრობლემის გადაწყვეტაში, შეეცდებით ანუგეშოთ მაინც;
- გ) დაძაბულობა გადმოგეცემათ ნებისმიერ შემთხვევაში.

**5. თუ ნერვიულობთ და განიცდით რამეს, აისახება თუ არა ეს თქვენს ფიზიკურ მდგომარეობაზე (ცივება, მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა)?**

- ა) არა;
- ბ) ხდება ხოლმე;
- გ) მთელი დღის მანძილზე თავს ცუდად გრძნობთ.

**6. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს გამონათქვამი: „ადრე თუ გვიან, ყველაფერი თავისთავად გამოსწორდება“?**

ა) სავსებით სწორია;

- ბ) კარგი იქნებოდა, მაგრამ ამის არ გჯერათ;
- გ) უნდა ეცადოთ, რომ ასე მოხდეს.

**7. თუ დაგაგვიანდათ საქმიან შესვენებაზე და უკვე დაწყებულია საუბარი, რას განიცდით?**

- ა) ეს ყველას შეიძლება შეემთხვეს;
- ბ) უმჯობესია, აღარ შეხვიდეთ;
- გ) შეღისართ, მაგრამ უხერხულად გრძნობთ თავს.

**8. როგორ მოქმედებს თქვენი შრომის შედეგზე, სხვადასხვაგვარი საქმის კეთების საქიროება?**

- ა) უფრო მობილიზებული ხართ: ერთ საქმეს რომ დაამთავრებთ, მაშინვე მეორეს იწყებთ;
- ბ) თქვენ ეს გორგუნავთ – არ იცით, რომელი ერთით დაიწყეთ;
- გ) კარგად ანაწილებთ დროს და ყველა საქმესაც ართმევთ თავს.

**9. ეგუებით თუ არა ხალხმრავლობას?**

- ა) ხან კი, ხან არა;
- ბ) ვერ ეგუებით და ეს განერვიულებთ;

გ) ეს სრულიად არ გიშლით ხელს.

**10. შეგიძლიათ თუ არა ძილი ახალ, შეუჩვეველ ადგილას?**

- ა) თუ კარგი პირობებია, კარგად გძინავთ;
- ბ) ძალიან ცუდად ეგუებით;
- გ) ნებისმიერ ადგილას კარგად გძინავთ.

**1. შეგიძლიათ თუ არა ჩადგეთ დიდ რიგში?**

- ა) არაერთარ შემთხვევაში;
- ბ) აუცილებლობის შემთხვევაში, თუ სხვა გამოსავალი არ არის;
- გ) წახვალთ სხვა, თუნდაც დიდი მანძილით დაშორებულ მაღაზიაში.

**2. ფაქტობრივად თუ არა ტელეფონის უცვარი ხართ?**

- ა) სამსახურში ტელეფონის წკრიალს იმდენად მიეჩვიეთ, რომ მას ვეღარც ამჩნევთ;
- ბ) კი;
- გ) არა.

**3. თუ მიემგზავრებით სხვა ქალაქში, მატარებლის გასვლამდე რამდენი ხნით ადრე მიდინართ სადგურზე?**

კითხვა	პასუხის ვარიანტები		
	ა	ბ	გ
1	0	6	3
2	6	0	8
3	3	9	0
4	4	6	1
5	8	5	0
6	10	3	6
7	8	0	6
8	6	0	10
9	6	1	9
10	6	1	10

## დაითვალით მიღებული ქულები

**35 ქულაზე ნაკლები:**

მგრძობიარე ადამიანი ხართ და სუსტი ნერვული სისტემა გაქვთ. ამას ზოგჯერ განიცდით კიდევ. მფრთხალი ხართ და საკუთარ ძალებში დაეჭვებულიც, რთულ სიტუაციებში ხშირად იბნევით.

**36-65 ქულა:**

გონიერი, წინდახედული, მშვიდი ადამიანი ხართ, უკიდურესო-

ბაში არასდროს ვარდებით. თქვენს ქმედებებს განსაზღვრავს დასახული მიზნები და არა ემოციები. თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა მხოლოდ სერიოზული მიზეზით შეიძლება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი ხდება, პირველ რიგში პრობლემების მოგვარებას ცდილობთ და საკუთარი ნერვების მდგომარეობა ნაკლებად გაღვივებთ.

**66 ქულა და მეტი:**


„რკინის“ ნერვები გაქვთ. გარემომყოფნი წონასწორობიდან ზედმეტი თავშეკავებით გამოგყავთ ხოლმე. ნაკლებად აქცევთ ყურადღებას თქვენ ირგვლივ მომხდარ უსიამოვნო მოვლენებს, ან, შესაძლოა, ამგვარი რამ მართლაც იშვიათად ხდება თქვენს ცხოვრებაში. ასე, რომ მეტიმეტად ბედნიერი ადამიანი ხართ.





## წყაღქვეშა თამაშები

როცა ადამიანებს გატაცება ვნებაში გადა-  
ეზრდებათ ხოლმე, მათგან ყველაფერია მოსალოდ-  
ნელი. გერმანიის ქალაქ პფორცჰაიმის სამი მკვიდ-  
რი, წყაღქვეშა ცურვასთან ერთად კარტის თამ-  
აშით არის გატაცებული. უცნაურმა გერმანელებმა  
წყაღქვეშ კარტის თამაშში ერთი დღე-ღამე გაა-  
ტარეს და თავისებური რეკორდიც დაამყარეს.  
ასეთ გარემოში აზარტულ თამაშს ერთი დიდი  
პლუსი აქვს, - განაცხადეს აუზიდან ამოსულებმა:  
დავაკამათის საშუალება არ გვაქვს და ჩხუბიც  
არ მოგვდისო.




## ზატახა ვიხტეობი

ჩინელი გოგონა ფანმენდი, რომელსაც  
შეუძლია ერთდროულად 50 ბოკალ  
დაიჭიროს, ჯერ მხოლოდ 10 წლისა  
მაგრამ უკვე ჩინეთის აკრობატთა სა-  
ელმწიფო ნაციონალურ დასში მოღვაწე-  
ბის ხუთი წლის სტაჟი აქვს. ასეთ  
ოსტატობის შესანარჩუნებლად და დას-  
ვეწად მას ყოველდღიურად 7 სთ-ის გა-  
მავლობაში უწევს ვარჯიში.

## მგზავხობა ჯომპიუტეხის დახმარებით

იაპონელი მძღოლები საჭირო მოსახ-  
ვეს თუ გასცდნენ, სანერვიულო არაფერი  
აქვთ, რადგანაც მათი მანქანები ისეთი კო-  
მპიუტერული ტექნიკით არის აღჭურვილი,  
რომ დისფლევზე ხედავს, რა დაბრკოლება  
ელის გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე. კო-  
მპიუტერი ამომწურავ ინფორმაციას აწე-  
დის მძღოლს იმის შესახებაც, თუ რომელ  
გზაზე, მოძრაობის როგორი ინტენსივობაა  
და რა მიმართულებით სვლობს მოძრაობა.



## ხისჯიანი შეჯიბხება

მდინარე ტონლესაპი, კამბოჯაში  
ჩამოედინება და მსოფლიოს სხვა მდინა-  
რებისგან იმით გამოირჩევა, რომ ყოველ-  
წლიური წყლის დღესასწაულის აღნიშ-  
ვნისას, მასზე ადგილობრივი ტრადი-  
ციული კმბერული ტიპის 200 ნავის  
ეკიპაჟი სამი დღის განმავლობაში ეჯი-  
ბრება ერთმანეთს. საინტერესოა, რომ  
ასეთ ვიწრო ნავში 50 სპორტსმენი  
ეტევა და მათი მოძრაობები თუ აბსო-  
ლუტურად სინქრონული არ იქნება,  
შეიძლება მცირე ბიძგის დროსაც კი  
ამოციროდნენ.



## სიახლე ტაიდანში

არც ისე დიდი ხნის წინ, ტაილანდში  
მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ქვეყანაში დაწ-  
ლებულ ნებისმიერ თამბაქოს ნაწარმზე აღი-  
მშოს ჩვენი თამბაქოს კოლოფზე წარწერ-  
ილის მსგავსი გაფრთხილება - „ჯანმრთე-  
ლობის დაცვის სამინისტრო გაფრთხი-  
ლებით...“. ოღონდ ეს წარწერა, აზიურ ქვე-  
ანაში თამბაქოს წვეთ წარმოქმნილი პრო-  
ბლემებიდან გამომდინარე, უფრო დაკონკრეტ-  
ბულად ასე უნდა გამოიყურებოდეს: „თამ-  
ბაქოს მოწვევა იწვევს იმპოტენციას!“

## ფანტაზია . ფანტაზია . ფანტაზია . ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის - „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ვახტანგ გოგუაძემ, პანტელეიმონ გიორგაძემ და რეზო ყიფიანმა. ვულოცავთ ბატონ ვახტანგს, ბატონ პანტელეიმონს და ბატონ რეზოს და ვუსურვებთ წარმატებებს.

### — ქალის გულის მკურნალი ვარ


(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას  
გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და  
ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება  
მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის  
შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით  
გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.  
გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში  
განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით.  
ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (23 იანვრის) 13 საათამდე.

# „ფანტაზია“

- ქალის გულის  
მეურნალი ვარ



მასწავლებელი  
პატივსაცემი  
„ფანტაზია“  
გორგოლაძე



**ახალი  
სახე**

**ზორანა  
მიქიაშვილი**



**მოხილავო გოგონაო!**

**ამ შეიქვავ თქვანი  
ფოვო დავიჯადოს!**

თქვენი ფერადი სურათი,  
საკონტაქტო ტელეფონის  
მითითებით გამოგვიგზავნეთ  
„კვირის პალიტრის“ საფოსტო  
ყუთების საშუალებით.

**„კვის“ ფოტოგრაფია**

**გზად არიან ახალი**

**ფოტოსახევის შესაქმნელად!**